ირინა ძუცოვა

ორი პორტრეტის ისტორია

თბილისი 2016

ირინა ძუცოვა

ორი პორტრეტის ისტორია

თბილისი 2016

UDC (უაკ) 75.041.5
ძ – 939
Д – 43

რედაქტორები

ნანა შერვაშიძე, ნინო ნადარაია

რუსულიდან თარგმნა

ნინო ნადარაიამ

ISBN 978-9941-0-8438-6

ირინა პეტრეს ასული ძუცოვა დაიბადა ქ. თბილისში 1941 წელს. განათლებით – ისტორიკოსი და ფილოლოგი. მრავალი წელი მუშაობდა ქართულსა და საბჭოთა პრესაში, იყო ჟურნალ «Декоративное искусство СССР»-ის კორესპონდენტი საქართველოში.

1972-2010 წლებში ი. ძუცოვა იყო საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი, ხელმძღვანელობდა ხელნაწერთა – მემუარულ განყოფილებას. 1984 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „ხალხური მიმართულება XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის ქართულ დაზურ ფერწერაში“ (ხელმძღვანელი – აკად. ვ. ბერიძე).

ირინა ძუცოვა არის ავტორი წიგნებისა და მრავალი წერილისა, რომლებშიც გაშუქებულია ქართული სახვითი ხელოვნების საკითხები XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე. მასვე ეკუთვნის არაერთი ნაშრომი ქართულ-რუსული, ქართულ-სომხური თუ ქართულ-ფრანგული კულტურულ-მხატვრული ურთიერთობების შესახებ. წლების განმავლობაში მონაწილეობდა საერთაშორისო სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა და სამეცნიერო სესიებში. თანაავტორია შრომებისა ხელოვნებისა და კულტურის ისტორიის შესახებ.

წინასიტყვა

ყაჯარული ფერწერის ნიმუშები – „შაოსანი ჭაბუკი“ და „ბავშვიანი ქალი“ გამოფენილი იყო საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლეთის ხელოვნების მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში. ამ ორმა სურათმა დიდი ხანია მიიქცია ჩემი ყურადღება. მოგვიანებით მათ შესახებ წავიკითხე დიდძალი სახელოვნებათმცოდნეო და საისტორიო ლიტერატურა, თუმცა მიღებული ინფორმაცია არ აკმაყოფილებდა ჩემს სამეცნიერო ინტერესს.

წლების განმავლობაში მიმძაფრდებოდა სურვილი, რაც შეიძლება მეტი შემეტყო ამ სურათების მოდელთა ცხოვრებისა და მათთან დაკავშირებული ისტორიული პერიპეტიების შესახებ. ამ მიზნით გავეცანი ჩემთვის ხელმისაწვდომ წიგნებსა თუ სტატიებს. საკვლევი თემის არაერთწლიანი კვლევის შედეგია სწორედ წინამდებარე ნარკვევი. მიუხედავად აღნიშნულისა, მას მაინც არა აქვს პრეტენზია სრულყოფილი და ამომწურავი სამეცნიერო გამოკვლევისა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მასში მოცემულია პორტრეტირებულთა იდენტიფიკაციის შესახებ ახალი მოსაზრებანი და ვარაუდები. სამწუხაროდ, ნაშრომის გამოცემა მხოლოდ ახლა მოხერხდა. ვფიქრობ, ხელოვნების ამ შესანიშნავი ნაწარმოებების გახსენება და მათზე დამატებითი ინფორმაციის გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის არ იქნება ინტერესმოკლებული. სწორედ ამიტომ ვბედავ და წარმოვადგენ ამ ნაშრომს სპეციალისტთა და ხელოვნების მოყვარულ მკითხველთა სამსჯავროს წინაშე.

ავტორისაგან

საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლეთის ხელოვნების მუდმივ ექსპოზიციაში წლების განმავლობაში ყაჯართა[1] ეპოქის ფერწერის ბრწყინვალე ნიმუშებთან ერთად გამოფენილი იყო ორი პორტრეტი, მოგვიანებით სახელდებული ამგვარად: „ბავშვიანი ქალი“ (179x83,5. სხმ/აღ.№927) და „შაოსანი ჭაბუკი“ (179x83,5. სხმ/აღ.№928). პორტრეტები (შ. ამირანაშვილი მათ მოიხსენიებს – «Женщина с мальчиком» და «Юноша в черном»)[2] ყოველთვის იფინებოდა წყვილად და როგორც სპარსული ფერწერის ნიმუშები 1910 წელს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს წყვილადვე შესწირა სოფელ მელაანის[3] მკვიდრმა თინათინ თომას ასულმა ჯორჯაძე-ანდრონიკაშვილმა. ძველ სამუზეუმო დავთრებში[4] ორივე პორტრეტი შეტანილია სახელწოდებებით – „ახალგაზრდა სპარსი“ და „სპარსი ქალი ბავშვით“ და დათარიღებულია XVII საუკუნით. უსახელწოდებოდ იყო მოხმობილი ორივე პორტრეტი მათ შესახებ უპირველეს საჯარო პუბლიკაციაშიც – ექ. თაყაიშვილისა და ალ. სარაჯიშვილის საგაზეთო ცნობაში[5]. მასში ავტორები, რომელთაც პირადად ჩაიბარეს აღნიშნული პორტრეტები („ფერადებით ნახატი სპარსელი ქალისა და ვაჟისა“, როგორც აღნიშნულია გაზეთში), გამოხატავენ მადლიერებას ყველა იმ პირთა მიმართ, რომლებმაც შესწირეს ან მიჰყიდეს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს საქართველოს ისტორიულ მოღვაწეებთან დაკავშირებული ნივთები. ისინი მადლობას სხვებთან ერთად უხდიან თინათინ ჯორჯაძე-ანდრონიკაშვილსაც ამ ფერწერული სურათების გადმოცემისათვის, ასევე ქონების გაყოფის დამადასტურებელი დოკუმენტებისათვის, მინანქრის ჯვრისთვის, ორი შუბისთვის, პისტოლეტისთვის, ქიზიყის მოურავ პაპუა (პაპუნა) ანდრონიკაშვილის თოფისა და დროშისთვის. აქ და 1727-1764 წლების საისტორიო დოკუმენტებში მოხსენიებული პაპუა (პაპუნა) იესეს ძე ანდრონიკაშვილი იყო მესაძირკვლე თავად ანდრონიკაშვილთა საგვარეულოს იმ შტოსი, რომელსაც მიეკუთვნებოდა პერსონაჟი

[1] ყაჯართა დინასტია სპარსეთს მართავდა 1795-1925 წლებში. დინასტიის მესაძირკვლე იყო აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი, ყაჯართა თურქი ტომის წინამძღოლი.

[2] შ. ამირანაშვილი მიუთითებს „ძველი ფერწერის სურათების“ ზომებზე–179x84 სმ-ზე. Ш.Я. Амиранашвили. *Иранская станковая живопись.* Тбилиси, 1940, стр. 19.

[3] სოფელი მელაანი, უწინ – სიღნაღის რაიონი, დღეს – გურჯაანის რაიონი, კახეთი.

[4] მაგალითად, საქართველოს ეროვნული გალერეის გამოფენისათვის გამზადებულ სურათთა სია. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საინფორმაციო კოლექციების ხელნაწერთა მემუარული განყოფილება. ფ. №2, აღ. №2, საქმე № 2. 1920 წ.

[5] ექ. თაყაიშვილი, ალ. სარაჯიშვილი. *კახეთში მოგზაურობა არქეოლოგიური მიზნით (წერილი რედაქციის მიმართ).* გაზ. „*სახალხო გაზეთი*“. 1911. №404. გვ. 3-4.

პორტრეტისა „შაოსანი ჭაბუკი“, ანუ მალხაზ (მელქისედეკ) ანდრონიკაშვილი (1775-1822), იმავე პაპუას (პაპუნას) შვილიშვილი[6]. მასზე (და არამარტო მასზე) ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

საოცარია, რომ ზემაძიებლური ბუნებით სახელცნობილმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა არ გაარკვია ამ ფერწერულ ტილოებზე („შაოსანი ჭაბუკი“ და „ბავშვიანი ქალი“) პორტრეტირებულთა ვინაობა. ისინი არაა სახელდებული არც საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დოკუმენტებში. უფრო მეტ გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ სურათების შემომწირველმა თინათინ ჯორჯაძე-ანდრონიკაშვილმაც არ აუწყა მეცნიერს ვინაობა იმ კაცისა, ვინც ახლო ნათესავად ერგებოდა მის მეუღლე ზაქარია იესეს ძე ანდრონიკაშვილს (1829-1905). ის კი იყო მალხაზ ანდრონიკაშვილის უფროსი ძმის შვილიშვილი, ფლობდა ვენახებს საგვარეულო მამულში, სოფელ მელაანში, მუდმივად იქ ცხოვრობდა 1830-1905 წლებში. თინათინ ჯორჯაძისგან მას ჰყავდა 8 შვილი. მათი უფროსი ვაჟი იოსები იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სარკინიგზო ინჟინერი, მუსიკოსი, რუსული სამუსიკო საზოგადოების ტფილისის განყოფილებისა და ქართული დრამატული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. იოსებისა და პეტრე ჩაიკოვსკის მეგობრობას არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა ქართულ პრესაში.

იოსების ძმა ივანე (ნიკოლოზი), ცნობილი აგრონომი, ბათუმის ქალაქის თავი (1902-1916), დაქორწინებული იყო რუსი პოეტის–ა. ნ. პლეშჩეევის ნათესავზე, ლიდია ნიკოლოზის ასულზე. მათ ჰყავდათ შვილები. ერთ-ერთ მათგანს, სალომეს, ფარულად და უიმედოდ ეტრფოდა პოეტი ოსიპ მანდელშტამი. სალომე XX საუკუნის რუსი პოეტებისა და მხატვრების მუზაც გახლდათ, მეგობრობდა მ. ცვეტაევასა და ა. ახმატოვასთან. სხვა შვილები იყვნენ: მარიამი, იასე (იესე), კონსტანტინე კი – პირადი თარჯიმანი გენერალ დე გოლისა და საფრანგეთის პრეზიდენტ ჟორჟ პომპიდუსი, გახდა საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი. სხვათა შორის, 1924 წელს ზინაიდა სერებრიაკოვას მიერ შესრულებული სალომე ნიკოლოზის ასულ ანდრონიკაშვილის პორტრეტი, მისი ანდერძის თანახმად, საქართველოს ხელოვნების მუზეუმს 1983 წელს გადასცა ცნობილმა კოლექციონერმა და მეცენატმა, თავადმა ნ. ლობანოვ-როსტოვსკიმ.

---

[6] Думин С., Чиковани Ю., Гребельский П., Катин-Ярцев М., Шумков А. *Дворянские роды Российской империи (Князья царства Грузинского. Князья Андроникашвили).* Москва, 1998, т. 4, стр. 117-129 (შემდგომ – Думин С., Чиковани Ю.,... *Дворянские роды...).*

1980-იან წლებში მანვე სალომე ნიკოლოზის ასულ ანდრონიკაშვილის სხვა პორტრეტი, შესრულებული 1922 წელს ა. იაკოვლევის მიერ, აჩუქა მოსკოვის მ. ცვეტაევას მუზეუმს[7].

პორტრეტები – „შაოსანი ჭაბუკი“ და „ბავშვიანი ქალი“ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმიდან გადაეცა საქართველოს ეროვნულ სამხატვრო გალერეას[8], მოგვიანებით კი – მუზეუმ „მეტეხს“ (1933), ბოლოს – საქართველოს ხელოვნების მუზეუმს (1950). ისინი არცთუ იშვიათად ქცეულა სამეცნიერო კვლევის საგნად. შ. ამირანაშვილი ორივე პორტრეტს განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებდა სპარსული დაზგური ფერწერის ისტორიაში, ხატვის მანერისა და სტილის იდენტურობის გამო კი ორივე ტილო ერთი და იმავე უცნობი მხატვრის ნამუშევრებად მიაჩნდა. მეცნიერი გამოყოფდა მსგავს მოდელირებასა და წერის ფაქტურას, ასევე პერსონაჟთა ქართულ იერს. შ. ამირანაშვილი[9] ხაზგასმით აღნიშნავდა სხვაობას მათსა და სპარსულ პორტრეტთა შორის, რაც გამოიხატებოდა არა მარტო ქართულ ტიპაჟში, არამედ ქალის ქართული ყაიდის კოსტიუმში, რაც ესოდენ სახასიათო იყო XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოსათვის. შ. ამირანაშვილის აზრით, ორივე პორტრეტში ადგილობრივ მხატვრულ ნიადაგზე დასავლურ და გვიანსპარსულ ხელოვნებათა სახასიათო ნიშნების ერთგვარი გარდაქმნა-შერწყმა მოხდა. იმავდროულად, იგი ორივე სურათს გვიანქართული პორტრეტის ნიშანდობლივ ნიმუშებად მიიჩნევდა. შ. ამირანაშვილის ეს ზოგადი შეხედულება რომ გვერდზე გადავდოთ, გვსურს შევნიშნოთ სხვა რამ: ეს პორტრეტები რომც მივიჩნიოთ ქართულ დაზგურ ფერწერად, ისინი გვიანქართული დაზგური პორტრეტის კი არა, არამედ ადრეული (XVIII საუკუნის დასასრულისა და მომდევნო პერიოდის) ქართული დაზგური პორტრეტის ნიმუშებია. შ. ამირანაშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება „ქართული“ კვალის არსებობას ორივე პორტრეტში, თუმცა, არ დაინტერესებულა ისტორიული და მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით ამ მოვლენის კვლევით. პორტრეტირებულთა ვინაობა ანონიმური რჩებოდა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორ ირ. კო-

---

7 И.П. Дзуцова. *Четыре блестящие красавицы Грузии*. Газета «*Европейский вестник*». Лондон, 1999. №33, стр. 8-10; И.П. Дзуцова. *Музы. Записки Русской Академической группы в США*. Нью-Иорк, 1999 – 2000. Т. XXX, стр. 413. ამ სტრიქონების ავტორის სხვა პუბლიკაციების.

8 1920 წელს შექმნილი დიმიტრი შევარდნაძის მიერ.

9 Ш.Я. Амиранашвили. *Иранская живопись*. XVIII-XIX вв. Тбилиси, 1941, стр.25.

შორიძის პუბლიკაციებამდე[10]. ავტორი, ითვალისწინებს რა სურათთა გადმოცემას თინათინ ჯორჯაძე-ანდრონიკაშვილისაგან (სოფელ მელაანიდან), დიდი დამაჯერებლობით ვარაუდობს, რომ „შაოსანი ჭაბუკი“ მალხაზ (მელქისედეკ) მელქისედეკის ძე ანდრონიკაშვილია, ხოლო „ბავშვიანი ქალი“ (იგივე «Женщина с мальчиком») მალხაზის მეუღლე – მარიამ (მაია) არჩილის ასული ბაგრატიონ-ანდრონიკაშვილი[11] ვაჟიშვილ ივანესთან ერთად. ხანგრძლივი ძიებისა და ზემოთ დასახელებულ პორტრეტთა შესაძლებელი მოდელების ბიოგრაფიების შედარებითი ანალიზის შედეგად მეც ვიზიარებ ირ. კოშორიძისეულ ატრიბუციას. საისტორიო-ბიოგრაფიული ხასიათის კვლევისას (იხ. ქვემოთ) ამ შეხედულებას ამყარებს ისიც, რომ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცულია მარიამ (მაია) არჩილის ასულ ბაგრატიონ-ანდრონიკაშვილის ფერწერული პორტრეტი, ორიგინალი, შექმნილი 1854 წელს ტფილისში მცხოვრები მხატვარი ქალის–ელენ ფრანკენის მიერ[12]. ის 1911 წელს ნადია დიმიტრის ასულ ანდრონიკაშვილმა (კახეთის სოფელ კაჭრეთიდან)[13] შესწირა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს. ეს ოვალური პორტრეტი (საინვ. №189. ქაღალდი, პასტელი. 39x49), სამწუხაროდ, ვერ გამოდგება იმის უტყუარ

---

10 ირ. კოშორიძე. *ზოგიერთი ახალი ცნობა საქართველო-ირანის ურთიერთობის შესახებ*. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის *ნარკვევები*. თბილისი, 2003, ტ. VIII, გვ. 110; ირ. კოშორიძე. *სილამაზის ესთეტიკური კანონი გვიანირანულ ფერწერაში*. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის *ნარკვევები*. თბილისი, 2004, ტ. IX, გვ. 137.

11 გარდაიცვალა 1854 წელს.

12 ელენ ფრანკენი, პორტრეტისა და ჟანრული სცენების ოსტატი. სწავლობდა თავის ქმართან, პაულ ფრანკენთან დრეზდენში. დაიბადა 1825 წელს, გარდაიცვალა ტფილისში. მათი ქალიშვილი იყო ტფილისის ქალთა პირველი გიმნაზიის დირექტორ კ.ფ. განის მეუღლე. საქართველოში პაულ ფრანკენმა 6 წელი იცხოვრა და შემდეგ დაბრუნდა გერმანიაში. ცნობილია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ელ. ფრანკენის მიერ შექმნილი სხვა პორტრეტებიც.

13 ნადია დიმიტრის ასული არაგვის ერისთავი-ანდრონიკაშვილი (1875-1965), გენერლის ქალიშვილი და მეუღლე სოლომონ არჩილის ძე ანდრონიკაშვილისა (1859-1896). ეს უკანასკნელი კი გახლდათ შვილთაშვილი მალხაზ და მარიამ ანდრონიკაშვილებისა, შთამომავალი მათი ერთადერთი ვაჟის, ივანესი (ივანე გამოსახულია პორტრეტზე „ბავშვიანი ქალი“). ნადია დიმიტრის ასულმა მუზეუმს ასევე შემოსწირა თავისი მამამთილის–არჩილ ივანეს ძე ანდრონიკაშვილის აკვარელური პორტრეტი, რომელიც 1850 წელს დახატა ტფილისში 1840-1860 წლებში მცხოვრებმა იტალიელმა მხატვარმა გიორგი კორადინიმ (18 ? ფლორენცია– 1891. სანკტ-პეტერბურგი). არაერთი უცხო ენის მცოდნე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების ბაკალავრი და შესანიშნავი მხატვარი გიორგი კორადინი ტფილისის გიმნაზიაში ხატვას ასწავლიდა, იბრძოდა კავკასიის ფრონტზე და მაიორის ჩინით სამშობლოში გაემგზავრა, სადაც ქანდაკების დარგში მოღვაწეობდა. მასზე იხ.: ი. ძუცოვა. *ერთი მოდელის ორი პორტრეტი* (ხელნაწერი რუსულად); ი. ძუცოვა. *ძველი აკვარელის საიდუმლო*. ჟურნ. „ ჩვენი მწერლობა“. თბილისი. 2013. №24 (206). გვ. 57-64; И.П. Дзуцова. *Загадка старой акварели*. Журнал «*Литературная Армения*». Ереван, 2014, №1, стр. 161-175. მის მიერ შესრულებული ბატონიშვილ თეკლას; ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლის–მარიამ აღამალიანის; ელენე დადიანის; ვახტანგ ორბელიანისა და სხვა ქართველ არისტოკრატთა აკვარელური პორტრეტები გხიბლავთ შესრულების მაღალი ხარისხით.

დასტურად, რომ სურათზე „ბავშვიანი ქალი“ ნამდვილად მარიამ არჩილის ასული ანდრონიკაშვილია, რამეთუ ამ ორ პორტრეტზე გამოსახულთა ტიპაჟის შედარებითი ანალიზი შეუძლებელია: ელ. ფრანკენის მიერ შესრულებულ ტილოზე გამოსახულია ხანშიშესული (გარდასული სილამაზის კვალით) ქალი, გარდაცვლილი, მწოლიარე ლამაზი ყვავილებით ორნამენტირებულ-მოჩითულ საფარებელქვეშ, წითელი ჩიხტიკოპით, თხელი ბაგეებით, სწორი ცხვირით, ხშირი წარბებით. გარდაცვლილის პორტრეტი აშკარად შეკვეთილი უნდა იყოს და ალბათ ნატურიდანაა შესრულებული. სახის იდენტიფიკაცია ცალსახად შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია შევადაროთ სურათზე („ბავშვიანი ქალი“) აღბეჭდილი ბავშვისა და ხელოვნების მუზეუმშივე დაცული გეორგ კორადინის მიერ შესრულებული ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის პორტრეტები (საინვ. №96. ქაღალდი, აკვარელი. 33,5x19). კორადინისეულ პორტრეტზე გამოსახულია საკმაოდ ხანმოკიდებული მამაკაცი, კავალერიის სამხედრომუნდირიანი გენერალი, მკერდზე ორდენებით, ჩაფსკვნილი, ტანმორჩილი, ცისფერთვალა, სახეშეშუპებული, პატარა, თავმომწონედ ბოლოებაწკეპილი ულვაშებით. მასში ძნელია, ამოიცნო ბავშვი პორტრეტიდან „ბავშვიანი ქალი“. კორადინის მიერ შესრულებული პორტრეტი შეიძლება დათარიღდეს 1850-იანი წლებით. მოდელი აქ 60 წლამდე ასაკისაა. მელქისედეკ მელქისედეკის ძე ანდრონიკაშვილის (1775-1822) მეორე, შინაურული, სახელია მალხაზი. იგი ეკუთვნოდა თავადთა უძველეს საგვარეულოს, რომლის წარმოშობასაც ქართული გადმოცემები ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე I კომნენოსს უკავშირებს[14]. მასში ქართული სისხლიც ჩქეფდა, მისი შთამომავლები კი, პოლიტიკურ გარემოებათა გამო, კახეთში დამკვიდრდნენ და XVI საუკუნიდან ქიზიყის მოურავის მემკვიდრეობითი თანამდებობაც ერგოთ. XVII საუკუნეში მცხოვრები გარსევან და მერაბ ანდრონიკაშვილები იყვნენ მამამთავრები სახელოვანი და დიდი გვარისა, რომლის წარმომადგენლად შეიძლება დასახელდეს: აბელ და ზაქარია ანდრონიკაშვილები (ერეკლე II-ის სიძე); სიმონი, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის–გიორგი XII-ის სიძე; მეფის პირველი მეუღლე ქეთევანი; ხორეშან ზაქარიას ასული ანდრონიკაშვილი (ნიკოლოზ ბარათაშვილის ბებია); XX საუკუნეში კი – ზემოთ ნახსენები ცნობილი სალომე ნიკოლოზის ასული ანდრონიკაშვილი,

[14] ანდრონიკე კომნენოსი, ბიზანტიის იმპერატორ მანუელის ბიძაშვილი, ოჯახთან ერთად დასახლდა კახეთში, გიორგი III-ის მიერ მისთვის ბოძებულ მამულში. იხ.: Л.С. Исарлов. *Письма о Грузии*. Тифлис, 1899, стр. 251.

მრავალი პოეტისა და მხატვრის მუზა, მისი ძმისშვილი კონსტანტინე, საფრანგეთის პრეზიდენტების – შარლ დე გოლისა და ჟორჟ პომპიდუს პირადი თარჯიმანი.

ანდრონიკაშვილებთან დაკავშირებით უნდა ვახსენოთ ქაიხოსრო სიმონის ძე ანდრონიკაშვილიც (გარდ. 1792 წელს), მეფის მდივანბეგი[15], დიპლომატი და მწერალი[16]. 1772 წელს მეფე ერეკლე II-მ ის განამწესა თავის ელჩად სპარსეთში, რათა მას დაერწმუნებინა ქერიმ-ხანი, ხელი აეღო საქართველოს დალაშქვრის განზრახვაზე. ქაიხოსრომ წარმატებით გაართვა თავი მისიას და 1778 წელს მეფემ იგი დანიშნა განჯის გამგებლად. ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი გარდაიცვალა თავის მამულში, ფხოველში. მისი ქალიშვილი ნინო (1766-1816-ის შემდეგ) ცოლად გაჰყვა ბატონიშვილ ლევან ერეკლეს ძეს, რომელიც 1781 წელს მოკლეს სოფელ ვეჯინში (სადაც ცხოვრობდა და განისვენებს მალხაზ ანდრონიკაშვილი). თავად ანდრონიკაშვილთა საგვარეულო შტოდან, რომელსაც მიეკუთვნებოდნენ მალხაზ ანდრონიკაშვილის ძმისშვილი იესე იოსების ძე; ნიკოლოზ ბარათაშვილის ბებია ხორეშანი (ანა-ხანუმი); მარიამ არჩილის ასულის მამინაცვალი ზაქარია თამაზის ძე ანდრონიკაშვილი და სხვები, წარმომავლობენ საქართველოში ყველასთვის ცნობილი ადამიანები: ნატო ანდრონიკაშვილი-ვაჩნაძე, მისი ვაჟები ელდარ და გიორგი შენგელაიები, მწერალი ბორის პილნიაკი-ანდრონიკაშვილი და მისი დედა კირა ანდრონიკაშვილი (ნატო ვაჩნაძის და).

ტრადიციულად ანდრონიკაშვილები მამულებს ფლობდნენ კახეთის სოფელ ვეჯინში, მელაანში, ჩალაუბანში, ფხოველში, კოდალოსა და სხვაგანაც. ყველა ეს სოფელი ტფილის-სიღნაღის უძველეს გზაზე მდებარეობდა და თითქმის ყველა დროში ბრძოლათა შუაგულში ექცეოდა. 1772 წელს აკადემიკოსმა ა. გიულდენშტადტმა ერეკლე II-სთან ერთად კახეთში იმოგზაურა ტფილის-სიღნაღის მარშრუტით, იყვნენ პატარძეულში, საგარეჯოში, კოდალოში, დაივანეს მელაანში, მოიხილეს ბოდბე[17].

ამ გვარის არაერთმა თაობამ თავი გამოიჩინა სამხედრო და დიპლომატიურ ასპარეზზე, იყვნენ ბოდბის, ალავერდის, ნინოწმინდის, ნეკრესის ეპისკოპოსები. ისინი ერთგულებდნენ ქართველ მეფეებს, მათგან ზოგიერთს მეფეებთან დამოყვრების პატივიც ერგოთ,

---

15 მდივანბეგები–უმაღლესი მსაჯულ-მოსამართლენი. ინიშნებოდნენ მსხვილ ფეოდალთა წრიდან.

16 კ. კეკელიძე. *ქართული ლიტერატურის ისტორია. ძველი ლიტერატურა.* თბილისი, 1958 წ.

17 დ. გვასალია. *კახეთის ქალაქთა გეოგრაფიისათვის.* ჟურ. „მაცნე“. თბილისი, 1986, №1, გვ. 59.

რითაც ერთგვარად ხაზს უსვამდნენ თავიანთ წარმომავლობას ბიზანტიის საიმპერატორო სახლიდან. ეს ისტორიული ფაქტი ჰქონდა მხედველობაში ოსიპ მანდელშტამს, როცა სალომე ანდრონიკაშვილს ასე მიმართავდა:

«Дочь Андроника Комнена
Византийской славы дочь!»[18]

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენციკლოპედიაში შეტანილია სტატიები ანდრონიკაშვილთა გვარის 18 წარმომადგენლის შესახებ. მალხაზ (მელქისედეკ) მელქისედეკის ძე ანდრონიკაშვილი (მის სახელსა და მამის სახელში ორჯერაა ხაზგასმული მათს გვარში გავრცელებული სახელი)[19] ცნობილი პოლიტიკური ფიგურა გახლდათ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებში. სახელი გაითქვა ამ ორივე სამეფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და აღდგენისათვის დაუცხრომელი ბრძოლით. თანამედროვენი მას იცნობდნენ როგორც მამაცსა და გაბედულ ადამიანს. ის იზრდებოდა ერეკლე II-ის სამეფო კარზე, გახდა ეშიყ-აღაბაში (გენერალ-ადიუტანტი) ბატონიშვილ იულონ ერეკლის ძისა (მოგვიანებით-იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ II-ისაც). ერეკლე II-ემ თავდადებისა და ერთგული სამსახურისათვის მადლობის ნიშნად მას მიათხოვა მისსავე სამეფო კარზე აღზრდილი თავისი შვილიშვილი მარიამ (მაია) არჩილის ასული ბაგრატიონი. დოკუმენტური მასალა არ იძლევა საშუალებას, დავაზუსტოთ, თუ რომელ წელს შედგა ეს ქორწინება, მაგრამ ნ. ბერძენიშვილი[20] წერს, რომ სოფელ ყარაღაჯში 1789 წელს ლეკებთან ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ (მასში მონაწილეობდა 16 წლის მალხაზ ანდრონიკაშვილი – ბატონიშვილ იულონის ეშიყ-აღაბაში) მადლიერმა მეფე ერეკლე II-ემ მალხაზ ანდრონიკაშვილს ცოლად გაატანა თავისი შვილიშვილი მარიამი. ანდრონიკაშვილების[21] გენეალოგიაში აღნიშნულია, რომ მალხაზი დაქორწინდა 1795 წელს (მათ შეეძინათ ქალიშვილი ნინო). ამასთან, იმერეთის მეფე სოლომონ II-ის სიგელში აღნიშნულია, რომ იმერეთში საცხოვრებლად მოწვეულ იქნა ანდრონიკაშვილების მთელი ოჯახი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ უკვე შვილიც ჰყავდათ (ქალიშვილი ნინო, ივანე კი დაიბადა 1798 წელს).

---

18 ო. მანდელშტამი. ლექსი «*Соломинка*». 1916. კრებულიდან «*Tristia*». Berlin, 1921.

19 ისტორიკოსი ნ. ბერძენიშვილი ახსენებს XIV საუკუნეში მცხოვრებ ალასტანელთა (ჯავახეთში) მეფე მელქისედეკს. ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები.* თბილისი, 1965, წ. 2, გვ. 145.

20 იქვე. თბილისი. 1964. ნ. 1. გვ. 145.

21 Думин С., Чиковани Ю.,... *Дворянские роды*... Москва, 1998, т. 4, стр. 122.

მალხაზის მამის შესახებ თუ ცნობილია, რომ ის გახლდათ ქიზიყის მოურავი, დედამისზე არაფერი ვიცით. ის არაა მოხსენიებული მალხაზის საფლავის ქვის (სოფელ ვეჯინის მაცხოვრის ეკლესია) ეპიტაფიურ წარწერაშიც: „მე ვიყავი სიყრმიდგანვე ბედნიერებითა გარემოზღუდვილი. მე ვყვაოდი სიხარულისა წალკოტსა შინა. მე ვიზრდებოდი უმაღლესისა მეფისა პალატსა ძეთა მეფისათა და განსაკუთრებით თანზრდილით და პატივითა ეშიკაღაბაშობისა მეფისა ძისა იულონისა. მე ღირს ვიქმენ სიძედ ორთა მეფეთა საქართველოისა და იმერეთისა. მყვანდა მეუღლედ უძვირფასედსა საუნჯედ ჩემდა იმერეთის მეფის ძის არჩილის ასული და დაი მეფე სოლომონისა, ასული მეფის ირაკლის და ელენესი მარიამ და ვიყავ გვარევნობით კეთილთა შთამოსიარებითა თავადი ანდრონიკოვი ქიზიყის სარდალ-მოურავის პაპუას ძის ძე მელქისედეკ და მკვირცხლობისა სახელწოდებულ მალხაზად“[22].

სავარაუდოდ, ეპიტაფიის ავტორი იყო ვეჯინშივე მცხოვრები იერობერი იოსებ (ბერობაში-იოსტოსი) რამაზის ძე ანდრონიკაშვილი. ის იყო თავისი დროის ცნობილი ღვთისმეტყველი, განათლებული ბერი, მოღვაწეობდა შუამთის მახლობლად, წმ. შიოს მონასტერში, ვეჯინის მაცხოვრის ეკლესიაში[23]. რუსეთის მმართველობა იოსტოსს მეამბოხედ თვლიდა. ბატონიშვილ ფარნაოზთან, მომავალ პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, რუსეთში პირველი ქართველი ელჩის, გარსევან ჭავჭავაძის ნათესავ დიმიტრი ვახვახიშვილთან ერთად იოსტოსი მონაწილეობდა მთიულეთის 1804 წლის აჯანყებაში. რუსეთის ხელისუფალთ განზრახული ჰქონდათ მისი გადაკარგვა რუსეთის რომელიღაც შორეულ მონასტერში. იოსტოსის ძმისშვილი დავით ანდრონიკაშვილი იყო სიმამრი ერეკლე II-ის ძის, ბატონიშვილ ვახტანგისა (ალმასხანისა). იოსტოსი გარდაიცვალა 1823 წელს სოფელ ვეჯინში. ვეჯინშივე, სადაც მიიცვალა მალხაზ ანდრონიკაშვილი, ცხოვრობდა და დასაფლავებულია მალხაზის ბიძაშვილი ადამ იესეს ძე ანდრონიკაშვილი. ადამი იყო მეამბოხე ალექსანდრე ბატონიშვილის თანამზრახველი (ალექსანდრეს ახლობლობდა თავად მალხაზიც)

---

22 ეპიტაფიის ქართული ტექსტი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“: *ღვთაების ეკლესია და თამარ-ციხის ნანგრევები ს. ვეჯინში (მცირე საისტორიო და საარქეოლოგიო შენიშვნა).* გაზ. „დროება“. 1884, №269, გვ. 3.

23 სადაც სწავლობდა მომავალი ბერი, პოეტი, მხატვარი, მექანიკოსი. ფილადელფოს კიკნაძე იყო 1832 წლის თავადთა შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეც. ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ მალხაზ და მარიამ ანდრონიკაშვილების შვილიშვილის–კიაზო გიორგის ძე არაგვის ერისთავის სახლზე იყო მარმარილოს დაფა ფ. კიკნაძის მიერ ამოტვიფრული მზის საათითა და ქართული ასოებით.

და 1803 წელს ბატონიშვილ თეიმურაზ გიორგის ძესთან[24] ერთად ალექსანდრესთან გაიქცა სპარსეთში.
მალხაზ ანდრონიკაშვილის თანამეცხედრის–მარიამ არჩილის ასულის დედა იყო ბატონიშვილი ელენე (1753-1786), ერეკლე II-ის ქალიშვილი. მეფეს ის შეეძინა მესამე ქორწინებიდან დარეჯან დადიანთან. ქალიშვილობაში ბატონიშვილ ელენეს უყვარდა ზაქარია თამაზის ძე ანდრონიკაშვილი (1740-1802). იგი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს ცნობილი პოლიტიკურ-საზოგადო მოღვაწე. მეფე ერეკლემ არ გაუწია ანგარიში ქალიშვილის გრძნობას და მისი შეყვარებული რუსეთს გაიწვია. ამით უზომოდ დამწუხრებული 17 წლის ელენე კი 1770 წელს მიათხოვა იმერეთის მეფის, სოლომონ I–ის ძმას, არჩილ ალექსანდრეს ძეს. მათ შეეძინათ ვაჟი დავითი[25], ქალიშვილები – ბარბარე (შემდეგ დავით წულუკიძის მეუღლე) და მარიამი (მაია. დაიბადა თავისი მამის გარდაცვალების წელს – 1775 წელს).
1775 წელს 22 წლის ბატონიშვილი ელენე დაქვრივდა. მოგვიანებით, 1785 წელს, ის მაინც გაჰყვა ცოლად რუსეთიდან დაბრუნებულ ზაქარია ანდრონიკაშვილს და შეეძინა მასთან ქალიშვილი ხორეშანი[26]. ხორეშანისა და დიმიტრი (ზურაბ) ორბელიანის შვილიშვილი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი. ამდენად, მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე მარიამ (მაია) არჩილის ასული და მისი და ხორეშან ზაქარიას ასული ბატონიშვილ ელენეს ქალიშვილებია სხვადასხვა ქორწინებიდან. ნიკოლოზ ბარათაშვილი კი, გამოდის, მარიამის (მაიას) ნახევარდის შვილიშვილია. საჭიროა აღინიშნოს, რომ ზაქარია თამაზის ძე ანდრონიკაშვილმა მეუღლის–ბატონიშვილ ელენეს გარდაცვალების შემდეგ, 1786 წელს, იქორწინა მარიამ ციციშვილზე. ამ ქორწინებაში მას შეეძინა ერთადერთი ქალიშვილი ნინო (?–1841), რომელიც იყო თავად იესე იოსების ძე ანდრონიკაშვილის (1798-1863) პირველი

---

24 რომლის დედა იყო ქეთევან პაპუნას ასული ანდრონიკაშვილი, ერეკლე II-ის საყვარელი რძალი, გარდაცვლილი 1782 წელს.

25 შემდგომ–იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II, რომელსაც ეს სახელი მეფე სოლომონ I-ის პატივსაცემად შეარქვეს.

26 მოგვიანებით თავად დიმიტრი (ზურაბ) ორბელიანის მეუღლე, დედა პოეტისა და გენერლის, გრიგოლ ორბელიანისა. გრ. ორბელიანმა თავის პაპას პოეტური სტრიქონებიც კი უძღვნა:
„და ზაქარია, მიწისა მგელი
ანაზდეულად მუნ აღჩნდებოდა,
სადაცა მტერი გალაღებული,
მისგან შემუსვრას არ მოელოდა!
ვითარც ჭექა, მისი დაცემა
მტერთა ზედ იყო ესე საზარლად,
სადაც იელვა მახვილმა მისმა,
მუნ მტრის სიცოცხლე განქარდა მსწრაფლად!“ (გრ. ორბელიანი. *ლექსები. სადღეგრძელო.* თბილისი, 1947. გვ. 93). *მიწის მგელს* უწოდებდნენ ლეკები ზაქარია ანდრონიკაშვილს.

მეუღლე. იესე კი გახლდათ ზაქარია თამაზის ძე ანდრონიკაშვილის პირველი მეუღლის-ბატონიშვილ ელენეს სიძის, ანუ მალხაზ ანდრონიკაშვილის („შაოსანი ჭაბუკი“) ნათესავი. უნდა ითქვას, რომ იესე იოსების ძე ანდრონიკაშვილის მეორე ცოლი 1842 წლიდან იყო იმერეთის სარდლის ქალიშვილი, სალომე ქაიხოსროს ასული წერეთელი (1810-1889), რომლის პორტრეტი ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ახალი ქართული ხელოვნების ფონდებში. ამ პორტრეტში ირ. კოშორიძე ხედავს „გარკვეულ გენეტიკურ კოდსა“ და „მსგავსებას“ ცოლ-ქმარ ანდრონიკაშვილების პორტრეტებთან[27]. ამ შემთხვევაში სრულიად გამოსარიცხია „გარკვეული გენეტიკური კოდი“, რადგან სალომე ანდრონიკაშვილი წარმომავლობით წერეთელი გახლდათ. პირველად იგი ცოლად გაჰყვა თავად ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზს (კარის მხატვარ ნიკოლოზ აფხაზის ვაჟს), მეორედ კი – იესე იოსების ძე ანდრონიკაშვილს (მალხაზ ანდრონიკაშვილის ნათესავს). სალომე წერეთლის მამა, მდივანბეგი და იმერეთის მთავარსარდალი, ერთგული თანამებრძოლი მეფე სოლომონ II-ისა, დაეხმარა მას ტფილისის პყრობილებიდან გაქცევაში, ჩაიტანა მეფის წერილი სტამბოლში, სადაც ქაიხოსრომ გააცხადა თავისი პრეტენზიები იმერეთის ტახტზე და სადაც მას უწყალობეს სიასამურის ქურქი. რუსეთის სამხედრო მმართველობამ სარდლის ოჯახი ერთ-ერთ ციხესიმაგრეში გამოამწყვდია, ქონება კი ჩამოართვა[28]. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კუთვნილი სალომე წერეთელ-ანდრონიკაშვილის პორტრეტს ათარიღებენ XIX საუკუნის შუა ხნით[29], უგულებელყოფენ რა მოდელის დაბადების თარიღს – 1810 წელს. ის კი პორტრეტზე გამოსახულია ახალგაზრდა, დაახლოებით 33 წლისა, 1840-იანი წლების დასაწყისში, იესე იოსების ძე ანდრონიკაშვილთან ქორწინების შემდეგ. დღემდე უცნობია პორტრეტის შემქმნელი მხატვარი. თუმცა სომეხი მკვლევრები მის ავტორად მიიჩნევენ „ტფილისელ რაფაელს“ – აკოფ ოვნათანიანს (1806-1881)[30].

ანდრონიკაშვილების საგვარეულო-ნათესაურ კავშირებზე საუბრისას ისიც აღსანიშნავია, რომ მარიამ არჩილის ასულის დეიდა,

---

27 ირ. კოშორიძე. *ზოგიერთი ახალი ცნობა ქართულ-ირანული ურთიერთობის შესახებ.* საქართველოს ხელოვნების მუზეუმის *ნარკვევები.* თბილისი. 2003. ტ. VIII. გვ.117.

28 Акты, собранные Кавказской археографической комиссией (შემდგომ – Акты). Тифлис, 1873, т.V. стр. 831.

29 *XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული ფერწერა* (მ. ციციშვილის შესავალი წერილი). თბილისი, 1997, გვ. 124.

30 *Акоп Овнатанян*. Ереван, 1972, стр. 32 (предисловие Р. Дрампяна); *Акоп Овнатанян и его предшественники*. Каталог выставки. Ереван, 1969, стр. 36; М. Казарян. *Художники Овнатаняны.* Москва, 1968, стр. 42.

ბატონიშვილი თამარი (მისი დედის და, ერეკლე II-ის ქალიშვილი მეორე მეუღლისგან, ლამაზთვალება ანა აბაშიძისაგან[31]) იყო სალომე ივანეს ასულ ორბელიან-ჭავჭავაძის (პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლის) პაპის მეუღლე. ამრიგად, სალომეს მამა, სარდალი ივანე დავითის ძე ორბელიანი გახლდათ ნათესავი მარიამ არჩილის ასულ ანდრონიკაშვილისა. მისი მეუღლეც, მალხაზ მელქისედეკის ძე, ენათესავებოდა სალომე ივანეს ასულ ორბელიან-ჭავჭავაძეს, რომლის მამიდები – ანა და ბარბარე იყვნენ მეუღლეები აბელ და ივანე (ნინია) ანდრონიკაშვილებისა. აბელ თამაზის ძემ (1764-1835), კაპიტანმა, მანამდე–გიორგი XII-ის მინბაშმა[32], სოფელ კოდალოში ააგო მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელზე ეკლესია ტფილისის ქვაშვეთის ძველი ეკლესიის გეგმით. ის იყო ძმა მარიამ (მაია) არჩილის ასულ ანდრონიკაშვილის მამინაცვალ ზაქარიასი. აბელ თამაზის ძე ანდრონიკაშვილი იყო ბიძა ხორეშანისა (ანა-ხანუმისა), ნიკოლოზ ბარათაშვილის ბებიისა.

ბარბარე დავითის ასულ ორბელიანის მეუღლე ივანე (ნინია) ზაალის ძე ანდრონიკაშვილი (1760-1831), მარტყოფის მოურავი, მოგვიანებით გახდა გენერალ-მაიორი[33]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მალხაზ და იოსებ ანდრონიკაშვილებს ჰყავდათ და პელაგია (1771-1830), დაბადებული სოფელ ფხოველში (მას მარიასაც ეძახდნენ). ის ცოლად გაჰყვა ჭავჭავაძეთა საგვარეულოს ყვარლური შტოს წარმომადგენელს, თავად პაატა ბეზპაზის ძე ჭავჭავაძეს (1771-1828). პაატა იყო დაახლოებული პირი ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ისა, თავი გამოიჩინა სოლომონ II-ის წარმატებულ ბრძოლაში ტახტისთვის. პაატას მამამ, ბეზპაზ პარემუზის ძემ, ასევე ისახელა თავი 1755 წელს ხუნძახის ხანის–ნურსალ ბეგის წინააღმდეგ ბრძოლაში ყვარლის ციხის დაცვისას[34]. ერეკლე II-ის 1775 წლის სიგელში მასზე ნათქვამია, რომ „იგი ლომებ იბრძოდა 23 დღე“. ბეზპაზის მამას –პარემუზს (ილია ჭავჭავაძის პაპის პაპას) ჰყავდა ვაჟი იოსები, რომელიც მძევლად წარგზავნეს სპარსეთში. იქ მან ისლამი მიიღო და იწოდებოდა ლუთ-ვალი-ხანად. მისი შვილი მელქისედეკი კი (1766-1839), მართალია, სპარსეთიდან მუსულმანად დაბრუნდა, მაგრამ მართლმადიდებლად მოინათლა (მისი ნათლია გახლდათ ერეკლე II) და დაქორწინდა

---

31 პლ. იოსელიანი. *ცხოვრება გიორგი მეცამეტისა*. ტფილისი, 1936, გვ. 64. დები ელენე და თამარი 1786 წელს გარდაიცვალნენ ორი თვის ინტერვალით.

32 მინბაში–ათასმეთაური, სპარსეთსა და თურქეთში-რაზმის მეთაური.

33 Думин С., Чиковани Ю.,... *Дворянские роды* ... Москва, 1998, т.4., стр. 120,128.

34 ყვარლის ციხის დაცვას სტრიქონები მიუძღვნა გრ. ორბელიანმა პოემა *სადღეგრძელოში*. გრ. ორბელიანი. *ლექსები*. თბილისი, 1947, გვ. 93.

მელანია იოსების ასულ ანდრონიკაშვილზე (?–1858. მისი გენეალოგია ვერ დგინდება).
პარემუზის მეორე ვაჟი პაატა (ზედმეტი სახელი დიდი) ერეკლე II-ის მსახურთუხუცესი იყო[35] და 1789 წელს თავკაცობდა სამეფო ელჩიონს სოლომონ II-ის აღსაყდრებაზე ქუთაისში. მანვე პატივი მიაგო ერეკლე II-ს და მის კუბოს ახლდა მეფის ცხედრის თელავიდან მცხეთის სვეტიცხოველში გადმოსვენებამდე[36].
პაატა და პელაგია ჭავჭავაძეებს ჰყავდათ 6 შვილი. მათი მესამე შვილის, გიორგის (გრიგოლის, 1811-1852), პირმშოა დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, რომელიც 1987 წელს ილია მართლის სახელით ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ილიას მამა, შტაბის კაპიტანი, იბრძოდა 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, მსახურობდა ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში, იყო კავალერი წმ. ანას მე-2, მე-3 და მე-4 ხარისხის ორდენებისა, დააჯილდოვეს ვერცხლის მედლით „თურქეთის ომისათვის“. ილია ჭავჭავაძის დედა იყო მაგდალინა ქრისტეფორეს ასული ბებუროვა (1818-1848), ტფილისელი თავადის გონიერი, ლამაზი და ქართული ლიტერატურის მცოდნე ქალიშვილი (დასაფლავებულია ყვარელში, კახეთში). მაგდალინას მამას, ქრისტეფორე ბებუროვს, 1800 წელს გიორგი XII-ემ დაუნიშნა ხელფასი. იარაღის ცნობილი ოსტატი კი ხაჩატურ ბებუროვი (ბებურიშვილი), რომელიც იარაღს უმზადებდა ქართველ მეფეებს, მათ შორის, სოლომონ II-საც, სავარაუდოდ, იყო მაგდალინა ბებუროვის ნათესავი[37]. ასე რომ, ილია ჭავჭავაძე „შაოსანი ჭაბუკის“ მოდელს–მალხაზ ანდრონიკაშვილს დისშვილის შვილიშვილად ერგებოდა. ილია ჭავჭავაძეს მალხაზ ანდრონიკაშვილის ოჯახთან სხვა ნათესაური ხაზიც აკავშირებდა. მალხაზის ქალიშვილმა ნინომ თავისი მამის დისშვილის შვილიშვილი–ილია ჭავჭავაძე მონათლა. სოფელ ყვარლის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის საეკლესიო წიგნში ჩაწერილია: „1837 წლის 20 იანვარს თავად გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძესა და მის კანონიერ მეუღლე მაგდალინა ქრისტეფორეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ილია. ლოცვანს კითხულობდა და ნათლობას ატარებდა იმავე თვის

35 მსახურთუხუცესი – ერთ-ერთი მაღალი სახელო საქართველოს სამეფო კარზე.

36 Думин С., Чиковани Ю.,...*Дворянские роды*... Москва, 1998, т. 4., стр. 122.

37 გ. შარაძე. *ილია ჭავჭავაძე*. თბილისი. 1987. ტ.1; ი. ჩიქოვანი. *თავადი ჭავჭავაძეები*. თბილისი, 2002. გვ. 7, 31, 33; ა. იოვიძე. *ილია ჭავჭავაძე (დოკუმენტური მასალები ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდიდან ილ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ)*. საქართველოს სსრ-ის შსს-ის მთავარი საარქივო სამმართველოს ჟურ. „*საისტორიო მოამბე*.“ თბილისი, 1947, №3, გვ. 162, 174, 212.

26 რიცხვში მღვდელი დანიელ ზურიევი, ნათლია იყო მეუღლე გარდაცვლილი თავად გიორგი ერისთავისა, ნინო მალხაზის ასული“[38]. ნინო მალხაზის ასული შემთხვევით არ გამხდარა მომავალი პოეტის ნათლია. ის ალბათ აირჩია ილია ჭავჭავაძის მამიდა მაკრინემ (მან აღზარდა თავისი ძმის – გრიგოლის ოთხივე შვილი 1848 წელს მისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ), ყველას მიერ პატივცემულმა და ღვთისმოსავმა ქალბატონმა[39]. ის და ნინო მალხაზის ასული ანდრონიკაშვილი იყვნენ მეუღლეები არაგვის ერისთავებისა, ორივე ცხოვრობდა ქისტაურში, ორივე ადრე დაქვრივდა, მათი მეუღლეები კი იყვნენ ერთმანეთის ნათესავები. მაკრინე ჭავჭავაძის მეუღლე ივანე რაფიელის ძე (1788-1840) ერისთავი იყო ნინო მალხაზის ასულის მეუღლის – გიორგი ბეჟანის ძე არაგვის ერისთავის ძმისშვილი. და-ძმა რაფიელი და ბარბარე არაგვის ერისთავები–ცნობილი ქართველი ლიტერატორები–ნინო მალხაზის ასულის მეუღლის მეორე ძმისშვილის–დავით რაფიელის ძის შვილებია. ნინო მალხაზის ასულ ანდრონიკაშვილ-ერისთავისა და ილია მამიდის – მაკრინე პაატას ასულ ჭავჭავაძე-ერისთავის მეუღლეთა გვარის ისტორია მიდის ნუგზარ არაგვის ერისთავისა (?–1618) და მისი შვილების (ბაადური, ზურაბი, გიორგი, ზაალი, რევაზი) საგვარეულომდე, ასევე მათს შთამომავლებამდე. ესაა საქართველოს ისტორია, აღსავსე დრამატული მოვლენებით, ღალატით, მკვლელობებითა და, ამავე დროს, სიმამაცით. მათი სახელები და ბიოგრაფია უკავშირდება გიორგი სააკაძეს, მარაბდის ბრძოლას, კახეთის მეფე როსტომს, ვახტანგ V-ს, წმინდა დიდმოწამე შალვა ქსნის ერისთავს, ვახტანგ VI-ს, გიორგი XI-ს, ა.ს. პუშკინს[40].

ერეკლე II-ემ თავისი შვილიშვილის, იმერეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრის–დავით არჩილის ძის (იმერეთის მომავალი მეფე სოლომონ II-ის) დასახმარებლად გააგზავნა თავისი სიძე ზაქარია თამაზის ძე ანდრონიკაშვილი, ასევე თავისი რძლის–ქეთევანის (ბატონიშვილ გიორგის მეუღლის) ძმა რევაზ ანდრონიკაშვილი და მალხაზ ანდრონიკაშვილი ჯარითურთ. უნდა განიმარტოს, რომ ბატონიშვილი დავით არჩილის ძე (სოლომონ II) 1785 წლამდე იმერეთში იმყოფებოდა, 1785 წლიდან კი (თავისი დედის მეორედ ქორწინების

---

38 გ. შარაძე. *ილია ჭავჭავაძე.* თბილისი, 1987. ტ. 1. გვ. 39; ა. ოვიძე. *ილია ჭავჭავაძე (დოკუმენტური მასალები ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდიდან ილ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ).* საქართველოს სსრ-ის შსს-ის მთავარი საარქივო სამმართველოს ჟურ. „*საისტორიო მოამბე.*“ თბილისი, 1947, №3, გვ. 162.

39 მალხაზ ანდრონიკაშვილის ძმისშვილის შვილი.

40 Думин С., Чиковани Ю.,... *Дворянские роды...* Москва, 1998, т. 4., стр. 258-265.

შემდეგ) დედასთან–ელენე ერეკლეს ასულთან ერთად ცხოვრობდა ტფილისში და იზრდებოდა გაიოზ არქიმანდრიტის მეთვალყურეობით. მეფობის მოსურნე დავით არჩილის ძეს განზრახული ჰქონდა, აღედგინა და გაეგრძელებინა თავისი განსვენებული ბიძის-სოლომონ I-ის პოლიტიკა, ანუ განემძლავრებინა იმერეთის მეფის უფლებები დასავლეთ საქართველოში და გაეერთიანებინა მთელი საქართველო თავისი პაპის–ერეკლე II-ის მეფედ ხელდასხმით.

დავით არჩილის ძის დასახმარებლად ჩამოსულმა (16 წლის?) მალხაზ ანდრონიკაშვილმა 1789 წელს მათხოჯთან შეტაკებისას 6 მძიმე ჭრილობა მიიღო. ამგვარი მსხვერპლის ფასად გაუკაფა მან გზა თავისი მომავალი მეუღლის–მარიამ არჩილის ასულის ძმას სამეფო ტახტისაკენ. ამისთვის მადლიერმა დავით არჩილის ძემ (სილომონ II-ემ), რომელიც მეფედ ეკურთხა 1789 წელს, მალხაზ ანდრონიკაშვილი ოჯახთან ერთად 1795 წელს, ქალიშვილ ნინოს სოფელ კოდალოში დაბადების შემდეგ, მიიწვია იმერეთში საცხოვრებლად, უწყალობა მას სოფელ სვირის მახლობლად მიწები 800 კომლი გლეხით (შევნიშნავ, რომ ეს მიწები მან წაჰგვარა სოლომონ I-ის სიძეს, ელიზბარ ქსნის ერისთავს (1751-1826). ელიზბარ ქსნის ერისთავი–მარიამ სოლომონის ასულის მეუღლე, პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე (მოგვიანებით – რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკი) იყო ერეკლე II-ის მოწინააღმდეგე, რომელმაც იგი იმერეთში გააძევა, მიუხედავად იმისა, რომ ელიზბარის და ანა იყო მეუღლე ბატონიშვილ ფარნაოზისა, ხოლო ელიზბარის უფროსი ძმა რევაზი დაქორწინებული იყო ბატონიშვილ ანასტასიაზე. ანდრონიკაშვილებისათვის სვირის მამულის[41] ბოძება გამყარებული იყო სოლომონ II-ისა და დედოფალ მარიამ კაციას ასულის წყალობის სიგელით. მასში ნათქვამი იყო, რომ ისინი წყალობის სიგელს აძლევენ თავიანთ სიძეს, ქიზიყის მოურავის ვაჟს – მალხაზსა და თავიანთ დას – მარიამს, მათს შვილებსა და შთამომავალთ. იქვე იყო აღნიშნული, რომ მათ ისინი მიიწვიეს იმერეთში ტფილისის 1795 წლის აოხრების დროს, უბოძეს მარიამს მზითვად სვირის ციხე მამულით, თავადებითა და მიწებით. წყალობის სიგელის მოწმეები იყვნენ: იმერეთის სახლთუხეცესი ზურაბ წერეთელი, სარდალი[42] ქაიხოსრო წერეთელი (მალხაზ ანდრონიკაშვილის მომავალი რძლის–სალომე

---

41 სვირი (ჭიათურის რაიონი) მდებარეობს მაღლობზე, ხეობაში. აქ შუა საუკუნეთა ციხესიმაგრეა, რომელიც არაერთხელ დაუნგრევია მომხდურ მტერს. 1757 წლიდან ის ეკუთვნოდა მხოლოდ იმერეთის მეფეებს. 1810 წელს ის დაიკავა რუსეთის ჯარმა. დავით ბატონიშვილი. *მასალები საქართველოს ისტორიისათვის.* ტფილისი, 1905.

42 სარდალი– სამხედრო მეთაური, სამხედრო ოლქის ხელმძღვანელი.

წერეთელ-ანდრონიკაშვილის მამა), დავით აბაშიძე და სხვ.[43]
ცოლ-ქმარი ანდრონიკაშვილები გადასახლდნენ სვირში. 1795 წელს, როგორც ითქვა, სოფელ კოდალოში, კახეთში, მათ შეეძინათ ქალიშვილი ნინო, 1798 წელს კი – ვაჟიშვილი ივანე, გამოსახული პორტრეტზე „ბავშვიანი ქალი“. სვირამდე ცოლ-ქმარი, სავარაუდოდ, ცხოვრობდა კახეთის სოფელ კოდალოში, საგვარეულო მამულში, რამეთუ მათ აქ შეეძინათ პირველი შვილი ნინო.
მოვლენებს წინ გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ იმერეთის სამეფოს გაუქმებისა და ვორონეჟში გადასახლებიდან დაბრუნების შემ-დეგ მარიამ კაციას ასული ემუდარებოდა რუსეთის ადგილობრივ მმართველობას, დაებრუნებინათ სვირის მამული მისი მულისთვის. სვირის დაბრუნებას ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილიც სთხოვდა ა. ერმოლოვს 1822 წლის 11 აპრილს პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში, თან იმედოვნებდა, რომ მატერიალური შეჭირვების გამო ერმოლოვი ამ საკითხს მალე მოაგვარებდა.[44] ერმოლოვის 1822 წლის 21 მარტით დათარიღებულ მიმართვაში ნათქვამია, რომ სვირი მარიამ არჩილის ასულის მზითევია, რომ მას მატერიალურად უჭირს, ცხოვრობს ქალიშვილთან ერთად, მათი შემოსავლის წყარო კი მხოლოდ პენსიაა, ასევე აღნიშნულია, რომ მას არ ძალუძს ისე შეინახოს თავისი ვაჟი, როგორც ეს შეეფერება ცხენოსანთა პოლკის ლაიბ-გვარდიის ოფიცერს (კორნეტს). ერმოლოვი ითხოვდა მარიამ არჩილის ასულისათვის სამუდამო შემწეობის დანიშვნას 3000 მანეთის ოდენობით, რამეთუ სვირის მამული სახელმწიფო ხაზინის საკუთრება იყო.
პოლიტიკური სიტუაცია, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდა მალხაზ ანდრონიკაშვილი, უაღრესად რთული და წინააღმდეგობრივი იყო როგორც იმერეთში, ისე მთელ საქართველოში. ჯერ კიდევ ერეკლე II (1798 წლის 11 იანვარს მისი გარდაცვალების შემდეგაც), ასევე მეფე გიორგი XII მიმართავდა რუსეთს ქართლ-კახეთის სამეფოთათვის რუსეთის იმპერიის მფარველობის თხოვნით. 1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან მიერთების შესახებ. 1804 წლიდან რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა იმერეთის სამეფოც (ისევე როგორც სამეგრელოსა და გურიის სამთავროები). 1803 წელს სოლომონ II-ემაც მიმართა ალექსანდრე I-ს იმერეთის სამეფოს რუსეთის

43 Акты. Тифлис,1874, т. VI, часть I, стр. 534-535.
44 იქვე გვ. 603.

პროტექტორატში მიღების თხოვნით. 1804 წელს ხელი მოეწერა შესაბამის შეთანხმებას, მაგრამ დააეჭვა რა რუსეთის განზრახვამ, სოლომონ II-ემ, თავისი სამეფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, დაამყარა კავშირი თურქებთან. მალე ქუთაისში შემოვიდა რუსეთის ჯარი და მეფე იძულებული გახდა, მთებში გახიზნულიყო. ის მოითხოვდა ჯარის გაყვანას, თანახმა იყო, დაეწყო მოლაპარაკებები, მაგრამ მოტყუებით შეიპყრეს, ჩამოიყვანეს ტფილისში და გამოკეტეს ბადრაგის მეთვალყურეობით სუმბათოვის სახლში. 1810 წელს მოსამსახურის სამოსში გადაცმული სოლომონ II ქაიხოსრო წერეთელთან ერთად გაიქცა და თავი შეაფარა ახალციხის ფაშას. იმერეთში დაბრუნებულმა მეფემ კვლავ გააგრძელა ბრძოლა რუსეთის ჯარის წინააღმდეგ, ისევ გაიქცა ახალციხეში, იქიდან–ართვინში, ბოლოს–ტრაპიზონში, სადაც გარდაიცვალა კიდეც სიმსივნით 1815 წელს. ის მხოლოდ 44 წლის იყო.

სოლომონ II-ის არაერთწლიანი ბრძოლის განმავლობაში მის გარდაცვალებამდე მეფის გვერდით იყო თანამოაზრე და თანამებრძოლი მალხაზ ანდრონიკაშვილი. მეფესთან დაკავშირებულნი იყვნენ ანდრონიკაშვილების გვარის სხვა წარმომადგენლებიც, მაგალითად, მინბაში და 1812 წლის კახეთის აჯანყების მონაწილე აბელ თამაზის ძე ანდრონიკაშვილი, ასევე გიორგი XII-ის ამილახვარი ადამ ანდრონიკაშვილი, რომელიც სპარსეთიდან დაბრუნდა და 1854 წელს სოფელ ვეჯინში გარდაიცვალა. ქართული სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბატონიშვილი ალექსანდრე, ერეკლეს II-ის ყოფილი მსაჯული სოლომონ ლიონიძე, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი, სხვა თავადები, აზნაურები და მათი თანამებრძოლნი.

მალხაზ ანდრონიკაშვილის გამათავისუფლებელი ხასიათის მოღვაწეობისა და მისი შემდგომი ბედის სრული სურათის აღსადგენად მოგვიწია სპეციალურ ლიტერატურაში გაბნეული ინფორმაციის მოძიება. აი სრული ქრონოლოგია მისი მოღვაწეობისა 15 წლის განმავლობაში:

1795-1802 წლებში მალხაზ ანდრონიკაშვილი, უდავოა, ცხოვრობს სვირის მამულში, დროდადრო ჩადის ქუთაისში, სამეფო კარზე. 1801 წელს იმერეთშივე ეძებენ თავშესაფარს მეამბოხე ბატონიშვილები იულონი და ფარნაოზი. ყველანი ხვდებიან ახალციხის შერიფ-ფაშას და სთხოვენ, დაეხმაროს სამეფო ტახტის დაბრუნებაში. 1803 წელს მალხაზ ანდრონიკაშვილი იმყოფება ულუმბოს მთაზე თანამებრძოლებთან – თავად გორჯასპ ნათალიშვილთან (ბატონიშვილ ალექსანდრეს

უახლოეს ადამიანთან, სოლომონ ამირეჯიბსა და სხვებთან ერთად[45].
1804 წლის სექტემბერში მალხაზი სტუმრობს იმერეთის სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელს (ალბათ, საჩხერეში). სოლომონ II-სთან სიახლოვის მიუხედავად, ის ყოველთვის ზრუნავდა პირად კეთილდღეობაზე და მეფის შემდეგ სიმდიდრითა და გავლენით იმერეთში მეორე კაცი გახლდათ. მას არ ეშინოდა სოლომონ II-ისაც კი, ლავირებდა მეფესა და რუსეთის ხელისუფალთ შორის, მის მამულში მალხაზ ანდრონიკაშვილის ყოფნის დროს უკვე ჰქონდა მიღებული ჯილდო – რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ინიციალებითა და ბრილიანტებით შემკული სათუთუნე მისი უდიდებულესობისადმი გაწეული ერთგული სამსახურისთვის[46]. მოგვიანებით ზურაბ წერეთელი დიდად დაეხმარა რუსეთის მმართველობას სოლომონ II-ის შეპყრობაში, ახლდა დაპატიმრებულ მეფეს ტფილისში გადაყვანის დროს, გახდა რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. რუსეთის მმართველობამ არაერთხელ შეიტანა ეჭვი მის გულწრფელობაში, როცა შეიტყო, რომ მის სახლს თავს აფარებდა მალხაზ ანდრონიკაშვილი, მისგან მოითხოვდნენ, არ გაეშვა და ემეთვალყურა მისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ზურაბ წერეთელს ჩაეთვლებოდა მის მიერ რუსეთისადმი მიცემული ერთგულების ფიცის დარღვევად[47].
1808 წლის მაისში სოლომონ II-ის დავალებით მალხაზ ანდრონიკაშვილი იხმობს ბატონიშვილ ალექსანდრეს იმერეთში, მაგრამ ის იმ დროისათვის მონაწილეობს ერევნის დაცვაში სპარსეთის ჯართან ერთად. 1809 წლის აგვისტოში მეფე სოლომონ II კვლავ გამოიხმობს ბატონიშვილ ალექსანდრეს იმერეთში. ისინი ერთმანეთს ხვდებიან იმერეთისა და ახალციხის საზღვარზე, იქვე იმყოფებოდნენ ბატონიშვილები იულონი, ლევანი და სპარსეთის ელჩიონი. რამდენიმე დღის შემდეგ სოლომონ II მალხაზ ანდრონიკაშვილს აგზავნის ახალციხის ფაშასთან.[48] შემდეგ ის უნდა გამგზავრებულიყო სპარსეთში ბაბა-ხანთან (ფათალი-შაჰთან) თხოვნით, რომ ერთობლივად შებრძოლებოდნენ რუსეთის ჯარს. 1810 წელს რუსეთის მმართველობამ სცადა, შუამავალ არქიმანდრიტ ბენედიქტეს მეშვეობით, დაერწმუნებინა მალხაზ ანდრონიკაშვილი, რომ თავის თანამებრძოლებთან ერთად დაბრუნებულიყო იმერეთში.

---

45 მაქ. ბერძნიშვილი. *მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრიობის ისტორიისათვის.* თბილისი, 1983, *ნ. 2,* გვ. 115.

46 *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საისტორიო დოკუმენტები და არქივი.* თბილისი, 1953, ტ. II, გვ. 47.

47 იქვე. გვ. 49.

48 შ. ხანთაძე. *მასალები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის.* საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჟურნ. *„მოამბე“.* თბილისი, *1961. XXII- B,* გვ. *239.*

გენერალ-მაიორ ფ.ა. ახვერდოვისათვის განკუთვნილი, 1810 წლის 12 ივლისით დათარიღებული, გენერალ ტორმასოვის წერილობითი შეტყობინებით[49] მტკიცდება, რომ მალხაზ ანდრონიკაშვილი იმყოფებოდა ახალციხეში 11 წლის ვაჟიშვილთან ერთად (იგულისხმება ივანე, რომელიც გამოსახულია პორტრეტზე „ბავშვიანი ქალი“) და რომ უკვე განზრახული ჰქონდათ მისთვის კახეთის მამულების ჩამორთმევა იმიტომ, რომ იგი მონაწილეობდა სოლომონ II-ის მიერ წარმოებულ მოლაპარაკებებში სპარსელებთან, ანუ უღალატა რუსეთის ტახტს. გენერალი ტორმასოვი ასევე იტყობინება, რომ ახალციხეში მალხაზ ანდრონიკაშვილი შეხვდა ბატონიშვილ ალექსანდრესა და ბატონიშვილ იულონის ვაჟს-ლეონს[50]. ბედი ლეონისა (ლევანისა) ტრაგიკული აღმოჩნდა: იგი მუხანათურად მოკლეს ლეკებმა, მისი თავი, ტანსაცმელი და იარაღი კი გადასცეს ახალციხის ფაშას იოსებ ანდრონიკაშვილის (მალხაზის უფროსი ძმის) თანდასწრებით.

1810 წლის 11 მაისს ტფილისის ტყვეობიდან გაქცეული სოლომონ II ხვდება ბატონიშვილ ალექსანდრეს სოფელ ქოთელიაში (ახალქალაქის მახლობლად). სექტემბერში ახალციხეში ისინი უერთდებიან უკვე 1810 წლის 22 მარტიდან იქ მყოფ სოლომონ ლიონიძეს, პატრ ნიკოლო რუტელიანს[51], ლევან იულონის ძეს, შაჰის ელჩებსა და, რა თქმა უნდა, მალხაზ ანდრონიკაშვილს ოჯახითურთ. ისინი გეგმავდნენ თავიანთ მომავალ ქმედებებს იმერეთში, პროკლამაცია-წერილებით მიმართავდნენ იმერლებს, მოახერხეს კიდეც მათი შეიარაღებული ნაწილის ამხედრება რუსის ჯარის წინააღმდეგ. მათ ჰქონდათ სპარსეთის, თურქეთის[52], ინგლისის იმედი, იმედოვნებდნენ ტფილისზე გალაშქრებასაც. სოლომონ II ახალციხის შერიფ-ფაშის ჯართან ერთად ამბოხებულ იმერეთში იმ დროს შევიდა, როცა სპარსეთის ჯარი მიუახლოვდა ქართლის საზღვრებს. შეიტყო რა მათი დამარცხებისა და იმის შესახებ, რომ რუსებს განზრახული ჰქონდათ ახალციხის აღება, სოლომონ II განერიდა არტაანში, მაგრამ კვლავ დაბრუნდა ახალციხეში და სტამბოლში დახმარების სათხოვნელად გააგზავნა მალხაზ ანდრონიკაშვილი. მანამდე ის მონაწილეობდა ბრძოლაში სოფელ კორტოხტთან. ამ დროს კი მისი მეუღლე მარიამ არჩილის ასული და დედოფალი მარიამ კაციას ასული ოდიშში გაიხიზნენ. მთავარსარდალი ტორმასოვი კი მოითხოვდა დადიანისაგან მათს

---

49 Акты. Тифлис, 1870, т. IV, стр. 206, 219, 266, 303, 308, 322, 334, 337, 340, 351, 365, 384, 794.

50 რუსეთის ხელისუფლება მას უნოდებდა მეამბოხესა და ყაჩაღს.

51 მეფის პირადი ექიმი.

52 1810 წლის გაზაფხულისთვის უკვე გაფორმდა სპარსეთ-თურქეთის კავშირი.

გადაცემას. ამის შესახებ–ქვემოთ.

1811 წლის ბოლოს, ერთი ვერსიით, სილომონ II-ემ მალხაზ ანდრონიკაშვილი გააგზავნა სტამბოლიდან სპარსეთში, სადაც ის იმყოფებოდა 1812 წლამდე. მისი მეუღლე კი 1810 წლის დეკემბრიდან მცირეწლოვან ვაჟთან–ივანესთან ერთად (დედოფალი მარიამიც) ტფილისიდან გადაასახლეს ვორონეჟში.

1815 წლის 7 თებერვალს სოლომონ II გარდაიცვალა ტრაპიზონში, ბოლო წუთამდე მასთან მყოფი მალხაზ ანდრონიკაშვილი კი ჩავიდა ერზერუმში, სადაც სარასკირმა[53] ბაბა-ხანმა იგი დიდი პატივით მიიღო და კავკასიურ ლაშქრობაშიც იახლა. ხსენებული ბაბა-ფაშა ირ. კოშორიძეს[54] მიაჩნია ფათალი-შაჰად ტახტზე ასვლამდე (1801 წელს ფათალი-შაჰი იწოდებოდა ბაბა-ხანად და არა ბაბა-ფაშად). ბაბა-ფაშა ერზერუმელი სარასკირია, რომელსაც თანამედროვენი შეუბრალებელ ჯალათად თვლიდნენ. მისი რაზმები დასცინოდნენ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას, თავად ფაშას კი დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მოწინააღმდეგისთვის თავის მოკვეთა. მან გამოაგზავნა ახალციხეში ერზერუმელი მამასახლისები, ომით იმუქრებოდა, ივლისში კი აქ შემოვიდა თურქთა 15 ათასიანი ჯარით, მაგრამ გაქცევით უშველა თავს, რადგან ვერ აიღო ქალაქი 11 დღიანი დაცვის შემდეგ. წარმატებით ვერ მოილაშქრა იმერეთი და გურიაც. ბაბა-ფაშა მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. მას ემორჩილებოდნენ ახალციხის ფაშები[55]. მისი საშუალებით ისინი ურთიერთობდნენ თურქეთის სულთანთან[56]. ამავე 1815 წელს ბაბა-ფაშა ცდილობს, თავისთან გამოაღწევინოს ანწუხში (დაღესტანი) მყოფ ბატონიშვილ ალექსანდრეს და ჰპირდება მას იმერეთის სამეფო ტახტსა და ფულს თურქეთის სულთნის სახელით[57].

1815 წელს მალხაზ ანდრონიკაშვილმა მოატყუა თურქი მეთვალყურეები და ერევანში გაიქცა. სულთმოფენობისას მან ჩააღწია ეჩმიაძინში და მუხლმოდრეკით ტაძარში საჯაროდ მოინანია თავისი ქმედებანი, შეევედრა სომეხთა პატრიარქ ეფრემს, რომ მას ეშუამდგომლა მთავარსარდალ, გენერალ რტიშჩევთან მისი შეწყალებისა და სამშობლოში დაბრუნების თაობაზე. რამდენიმეგზისი წერილობითი თხოვნის შემდეგ რტიშჩევმა შეისმინა პატრიარქის თხოვნა,

---

53 სარასკირი–თურქეთის არმიის მთავარსარდალი.

54 ირ. კოშორიძე. *ქართულ-ირანული ურთიერთობა*. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის *ნარკვევები*. თბილისი, 2003, ტ. VIII, გვ. 119.

55 უმრავლესობა ჯაყელების საგვარეულოდან იყო.

56 შ. ლომსაძე. *სამცხე-ჯავახეთი XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე*. თბილისი, 1975, გვ. 125.

57 Акты. Тифлис, 1873, т.V, стр. 511.

გაუგზავნა მას საპასუხო წერილი, რომელშიც იტყობინებოდა მალხაზ ანდრონიკაშვილის შეწყალების შესახებ.[58] მალევე ამის შემდეგ, 1815 წლის ზაფხულს, მალხაზ ანდრონიკაშვილი ჩამოვიდა ტფილისში, სადაც იგი მიიღეს მარკიზ პაულუჩმა და გენერალმა რტიშჩევმა. მალხაზს მხოლოდ კახეთის მამულები დაუბრუნეს. ის სოფელ ვეჯინში ცხოვრობდა გარდაცვალებამდე, 1822 წლამდე[59].

გენერალ რტიშჩევისა და ვორონეჟში გადასახლებული მალხაზის მეუღლის მიმოწერიდან ირკვევა, რომ უმაღლესი ბრძანება შინაგან საქმეთა მინისტრთან მალხაზ ანდრონიკაშვილის შეწყალების შესახებ მხოლოდ 1817 წლის 26 იანვარს გადაიგზავნა. რტიშჩევის თქმით, მატერიალური შეჭირვების გამო არ დაელოდნენ იმპერატორის ბრძანებას და მალხაზ ანდრონიკაშვილს დაუბრუნეს სოფელი ლაჯაბადინი 17 კომლი გლეხითურთ (ეს სოფელი მას ერეკლე II-ემ და გიორგი XII-ემ უბოძეს). რტიშჩევი მარიამ არჩილის ასულს იმასაც ატყობინებდა, რომ მისი მეუღლე კეთილშობილურად იქცეოდა და ამის გამო პატივისცემა დაიმსახურა.[60] მალხაზ ანდრონიკაშვილს „ღვთისა და კაცისგან მივიწყებული“ სოფელი შიბლიანიც ეკუთვნოდა სიღნაღის მაზრაში 100 კომლით. 1911 წლისათვის ეს სოფელი ტფილისის ერთ-ერთი ბანკის საკუთრება გახდა გარდაცვლილი თავადის ვალის საფასურად.

მარიამ არჩილის ასულ ანდრონიკაშვილისა და მისი მეუღლის, მალხაზ ანდრონიკაშვილის, ბიოგრაფიის სრული მონაცემების მოსაძიებლად მოგვიწია საქართველოს ისტორიის დარგში არსებული უამრავი ნაშრომის გადახედვა, ასევე საარქივო მასალის, ძველი პრესის გაცნობა, რათა მისხალ-მისხალ აღგვედგინა სურათის – „ბავშვიანი ქალის“ მოდელის დრამატული ცხოვრება.

ზემოთ უკვე ითქვა მარიამ არჩილის ასულის დედის–ბატონიშვილ ელენეს, ერეკლე II-ის უფროსი ქალიშვილის (რომელიც გარდაიცვალა 33 წლისა), ასევე მეფის მესამე მეუღლის–დარეჯან დედოფლის შესახებ. ისიც აღინიშნა, რომ მარიამი და გახლდათ იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II-ისა, ძმისშვილი კი – სოლომონ I-ისა. მარიამის მამა არჩილი სახელოვანი ბატონიშვილი იყო, რომლის სახელი იმერულ სახალხო სიმღერა-თქმულებებს შემოუნახავს.

გახდა რა მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე, მარიამის ცხოვრება

---

58 იქვე. გვ. 512.

59 *მოწერილი ამბები.* გაზ. *„სახალხო გაზეთი“.* 1911. №349, გვ. 3.

60 არცთუ დიდი ხნის წინ რუსეთის ხელისუფლებას, კერძოდ, მთავარსარდალ მარკიზ პაულუჩს მალხაზ ანდრონიკაშვილი მიაჩნდა რუსეთის უბოროტეს მტრად. იხ.: Акты. Тифлис, 1873, т.V, стр. 44.

მჭიდროდ დაუკავშირდა XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს უმთავრეს ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებს. მარიამ არჩილის ასულის დედის–ბატონიშვილ ელენეს მეორე ქმრის მამა, თამაზ პაატას ძე ანდრონიკაშვილი, ენათესავებოდა ერეკლე მეფეს. ის დაქორწინებული იყო მის ნათესავზე–გიორგი არაგვის ერისთავის ქალიშვილზე. მალხაზ ანდრონიკაშვილისათვის მარიამ არჩილის ასული პირველი ცოლი იყო, მარიამისთვის[61] კი ის არ იყო პირველი ქმარი. მარიამ არჩილის ასული ერთ წყაროში მოხსენიებულია „წერეთლის (პირველ ქორწინებაში) ქვრივად"[62]. მეორე წყაროში კი ლ. დადიანთან დაკავშირებით მოხმობილ მასალაში ი. ჩიქოვანი[63] წერს, რომ მალტის ორდენის კავალერი ლეონ ალექსანდრეს ძე დადიანი (1770-1847), ვაჟიშვილი ალექსანდრე დადიანისა (რომელიც ცხოვრობდა შვილებსა და შვილიშვილებთან ერთად მოსკოვში, საკუთარ სახლში) და ანა ლევანის (ლეონის) ასულ გრუზინსკაიასი (ბატონიშვილ ბაქარ ვახტანგის ძის შვილიშვილი), პირველად დაქორწინებული იყო ბატონიშვილ მარიამ (მაია) არჩილის ასულზე. მათი ქორწინების თარიღის დადგენა, ლიტერატურის მიხედვით, ვერ მოხერხდა. სად და რა ვითარებაში გაიცნეს ერთმანეთი და დაქორწინდნენ ისინი? ჩამოდიოდა და ცხოვრობდა თუ არა ლეონ დადიანი საქართველოში, იქნებ მარიამ არჩილის ასული თავად ცხოვრობდა ქმართან მოსკოვში? მეორედ ის დაქორწინებული იყო თავად წერეთელზე[64], მესამედ–თავად მალხაზ ანდრონიკაშვილზე.

ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ მარიამ არჩილის ასულის ყოფილ ქმარს–ლეონ დადიანს ჰყავდა ვაჟი ალექსანდრე (1800-1865) მ.დ. ნარიშკინასაგან. ალექსანდრე მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-თურქეთის ომებში, რისთვისაც

---

61 უნდა აღვნიშნოთ, რომ მაქ. ბერძნიშვილისა და ი. ჩიქოვანის მონაცემებით, მარიამი დაიბადა 1775 წელს. ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი მარიამის დაბადების თარიღად ასახელებს 1768 წელს. იხ.: Брокгауз Ф.А., Ефрон И.А., *Энциклопедический словарь*, т.1а (=2). Санкт-Петербург, 1894, стр. 770; გაზეთ *«Кавказ»*–ში გამოქვეყნებულ საინფორმაციო წერილში (*Кавказ. Тифлисъ.* Газета «*Кавказ*», 1854, № 72, стр. 287) აღნიშნულია, რომ იგი გარდაიცვალა 86 წლისა. გამოდის, რომ მისი დაბადების თარიღად უნდა მივიჩნიოთ 1768 წელი. მაგრამ ეს თარიღები სავსებით მიუღებელია, რადგან მარიამის დედა – ბატონიშვილი ელენე ერეკლეს ასული ცოლად გაჰყვა მარიამის მამას – ბატონიშვილ არჩილს, 1770 წელს. 1775 წელს დაიბადა მარიამი, რომელიც 79 წლისა გარდაიცვალა.

62 Брокгауз Ф.А., Ефрон И.А.,... *Энциклопедический словарь.* Санкт–Петербург, 1894, т.1а (=2), стр. 770.

63 Думин С., Чиковани Ю.,... *Дворянские роды*...Москва, 1998, т. 4, стр. 91, 122.

64 ცნობები წერეთელზე, როგორც მარიამ ანდრონიკაშვილის მეუღლეზე, არასწორია. მხედველობაში ჰყავდათ მარიამ არჩილის ასულის შვილთაშვილი, მისი ვაჟის, ივანეს შვილიშვილი, ასევე მარიამ არჩილის ასული (1861 –?), რომელიც ცოლად გაჰყვა კამერგერს, მომრიგებელ მოსამართლესა და ქუთაისის თავადთა წინამძღოლს, სიმონ გიორგის ძე წერეთელს (1843–?). მათ შესახებ იხილეთ ქვემოთ.

დააჯილდოვეს ორდენებით და 1829 წელს მიანიჭეს ნიკოლოზ I-ის ფლიგელ-ადიუტანტის წოდება. მისი პირველი მეუღლე 1822 წლიდან იყო ფარნაოზ ბატონიშვილის ქალიშვილი ნინო გრუზინსკაია (ანუ ბიძაშვილი მარიამ არჩილის ასულისა). ნინო გარდაიცვალა 1828 წელს. მეორედ ალექსანდრემ იქორწინა ფრეილინა და ბარონესა ლიდია გრიგოლის ასულ როზენზე, კავკასიის საგანგებო კორპუსის უფროსისა და გენერალ-ადიუტანტის ქალიშვილზე. ა.ს. პუშკინის დედის, ნადეჟდა იოსების ასულის, 1829 წლის ივლისით დათარიღებულ წერილში ქალიშვილ ოლგასადმი მოხსენიებულია ა. ლ. დადიანი, რომელიც ჩამოსულა კავკასიიდან ახალ-ახალი ამბებით რუსეთის ჯარის გამარჯვებების შესახებ (რუსეთ-თურქეთის ომში, რომლის ბრძოლის ველზე ა. ს. პუშკინიც იმყოფებოდა). კერძოდ, ამ წერილში ასეთი სტრიქონებია: „გახსოვს მისი დედილო, ჩვენი ბიძაშვილი, პატარაობისას როგორ უყვარდი, როგორც კი გათხოვდა და საქართველოში გაემგზავრა, მას შემდეგ აღარ მოუწერია. ღმერთი იყო მისი შემწე“ [65]. „ჩვენი ბიძაშვილი“-ეს ა.ლ. დადიანის დედაა, მარია დიმიტრის ასული ნარიშკინა, კარის მრჩევლის (1779-1854) ქალიშვილი, ლ. ა. დადიანის მეორე ცოლი (მარიამ არჩილის ასულთან განქორწინების შემდეგ).

რაც შეეხება ანდრონიკაშვილების ვაჟს, ივანეს, მისი დაბადების შესახებ ლიტერატურაში არაა ერთნაირი თარიღი მითითებული. ბროკჰაუზისა და ეფრონის ლექსიკონი, ასევე შ. მეგრელიძე ასახელებენ 1798 წელს[66], ი. ჩიქოვანი ანდრონიკაშვილების გენეალოგიაში კი უთითებს 1796 წელს. კიდევ ერთი წყარო – 1793 წელს[67]. Акты-ში აღნიშნულია, რომ 1810 წელს ივანე 11 წლის იყო[68]. გამომდინარე აქედან, იგი დაბადებულა 1798 წელს. ირ. კოშორიძე ივანე მალხაზის ძის დაბადების თარიღად მიიჩნევს 1796 წელს, გარდაცვალების თარიღად კი – 1898 წელს (!), იმ დროს, როცა ის გარდაიცვალა 1868 წელს.[69] ყველა მონაცემის შეჯერებით დაბადების ყველაზე რეალურ თარიღად მიმაჩნია 1798 წელი. ანდრონიკაშვილების ქალიშვილ ნინოს შესახებ (შეგახსენებთ, რომ იგი დაიბადა სოფელ კოდალოში

---

65 Л. Павлищева. *Воспоминания об А.С. Пушкине*. Москва, 1890, стр. 8.

66 შ. მეგრელიძე. *ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები*. თბილისი, 1979, გვ. 102.

67 მ. დუმბაძე. *გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი*. თბილისი. 1943.

68 Акты. Тифлис, 1870, т. IV, стр. 303.

69 ირ. კოშორიძე. *ზოგიერთი ახალი ცნობა ქართულ-ირანული ურთიერთობის შესახებ*. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის *ნარკვევები*. თბილისი, 2003, ტ. VIII, გვ. 120.

1795 წელს) სპეციალურ ლიტერატურაში ძალიან მწირი ცნობებია. ანდრონიკაშვილების შვილებზე ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი.

1810 წლის ოქტომბერში ახალციხიდან მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე, სადაც ის იმყოფებოდა ქალიშვილსა და ვაჟიშვილთან ერთად, თხოვნით მიმართავს რუსეთის მმართველობას, დართონ ქუთაისში დაბრუნების ნება. საპასუხოდ გენერალი ტორმასოვი წერს მას: „თქვენი მეუღლის, მალხაზ ანდრონიკაშვილის, არაკეთილსაიმედო ქმედებებმა და პირადმა ღალატმა გამოიწვია იმპერატორის რისხვა და დაღუპეს სამუდამოდ“[70]. ტორმასოვს მიაჩნდა მარიამ არჩილის ასული „არათანამონაწილედ მეუღლის საქმეებისა“ და სთავაზობდა მას ტფილისში ჩამოსვლას, სადაც მას მისი წოდების საკადრისად დახვდებოდნენ და მატერიალურადაც უზრუნველყოფდნენ. 1810 წლის 16 ნოემბერს ბატონიშვილი შვილებთან – ნინოსა და ივანესთან ერთად ბადრაგის თანხლებით ქუთაისიდან ტფილისში ჩამოიყვანეს და დააბინავეს ბეგთაბეგოვის სახლში, დაუბრუნეს ჩამორთმეული ნოხები და თეთრეული. მისი ზედამხედველობა დაევალა კოლეგიის მდივან ბებუთოვს. მარიამ არჩილის ასული დათანხმდა, დაეტოვებინა ახალციხე, რადგან საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მეამბოხე მეუღ-ლისათვის დახმარების გაწევა არც მას და არც შვილებს არ მოუტანდა სიკეთეს. გარდა ამისა, ტფილისში ნებაყოფლობითი ჩამოსვლის სანაცვლოდ იმედოვნებდა, რომ რუსეთის მმართველობა დაუბრუნებდა იმერეთის მამულებს. 1810 წლის დეკემბრის ბო-ლომდე ის ჯერ კიდევ ტფილისში იმყოფებოდა, მაგრამ, გენერალ ტორმასოვის შეტყობინების თანახმად, 1811 წლის 7 იანვარს ის თავის ვაჟსა და დედოფალ მარიამ კაციას ასულთან ერთად უკვე გააგზავნეს ვორონეჟში[71]. არსებობს ისტორიული ცნობა, რომ, როცა მეფე სოლომონ II გაიქცა ტფილისის ციხიდან 1810 წლის 10 მაისს, მისი მეუღლე, და, დისშვილი გამოამწყვდიეს ფოთის ციხესიმაგრეში, მაგრამ შემდეგ მარიამ არჩილის ასული გადაიყვანეს ქუთაისში ნათესავების მეთვალყურეობით და ყველა საჭირო ნივთი თავისი მამულიდან ჩამოუზიდეს. მისი არაერთგზისი თხოვნა, დაეტოვებინათ საცხოვრებლად ქუთაისში, არ შეისმინა გენერალმა სიმონოვიჩმა.

---

70 Акты. Тифлис, 1873, т.V, стр. 44.

71 უნდა ვიფიქროთ, რომ ვორონეჟის არქივში დღემდე დაცულია დოკუმენტები მათი იქ ყოფნის შესახებ.

1811 წლის 24 იანვარს გენერალი სიმონოვიჩი წერდა: „მალხაზმა დაკარგა სამუდამოდ მეუღლე“. ეს ნიშნავდა, რომ მარიამ არჩილის ასული ვაჟიშვილსა და რძალთან, სოლომონ II-ის მეუღლე მარიამ კაციას ასულ დადიანთან, ერთად[72] უკვე ვორონეჟში გადაასახლეს. 1811 წლის იანვარში ისინი უკვე იქ იმყოფებოდნენ. ორივე ქალი გადაასახლეს, რადგან თვლიდნენ, რომ ისინი თანაუგრძნობდნენ იმერეთის ამბოხებას. გენერალი ტორმასოვი 1810 წლის 29 დეკემბრით დათარიღებულ გრაფ რუმიანცევისადმი გაგზავნილ მეორე წერილში წერდა: „ქალი გონიერი და წინდახედული“. ტორმასოვს აღაშფოთებდა ის, რომ მარიამისთვის ტფილისში გამოყოფილი 50 მანეთი ვერცხლით არცთუ საკმარი იყო „ფუფუნებას ჩვეული მისი აზიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად“.

თავდაპირველად, ხელისუფლებას სურდა, მარიამ არჩილის ასული გამოემწყვდია მთელ ოჯახთან ერთად ფოთის ციხესიმაგრეში, მაგრამ ფარულად, რათა ამას სახალხო მღელვარება არ გამოეწვია ანდა გადაეყვანათ ქუთაისში ბადრაგის უმკაცრესი მეთვალყურეობით. ქართულ წყაროებში მარიამ არჩილის ასულის ვორონეჟული გადასახლების შესახებ ცნობები არაა, მაგრამ, უცილობლად, დოკუმენტები ინახება ვორონეჟის არქივში. გადასახლების ვადის ამოწურვის შემდეგ მარიამ არჩილის ასული ანდრონიკაშვილი ვაჟთან ერთად პეტერბურგში ჩავიდა. 1815 წლის 16 მაისს ვორონეჟელმა ტყვე ქალებმა შეიტყვეს ძმისა და მეუღლის – სოლომონ II-ის ტრაპიზონში „გულის გახეთქვისაგან“ გარდაცვალების შესახებ. გენერალი რტიშჩევი ატყობინებდა მარიამ არჩილის ასულს, რომ მისი მეუღლე ტრაპიზონშია, თავს კარგად გრძნობს და სთხოვდა მათი ვაჟის, ივანეს, გამწესებას რუსეთის სამსახურში. ამასთან, გენერალი მას ჰპირდებოდა, რომ შეეცდებოდა, ეშუამდგომლა, რათა ივანე ჩაერიცხათ პაჟთა კორპუსში, ხოლო საქართველოში ჩამოსვლისას მარიამისთვის დაენიშნათ პენსია. რტიშჩევი აღნიშნავდა, რომ ორივე ქალბატონი, ბატონიშვილი და დედოფალი, გადასახლების განმავლობაში მოთმინებითა და თავშეკავებით იქცეოდნენ. მიუხედავად ამისა, მარიამ კაციას ასულს მაინც არ დართეს საქართველოში ჩამოსვლის ნება. იგი გარდაიცვალა პეტერბურგში, თუმცა ის ითხოვდა სოლომონ II-ის გადასვენებას გელათში.

პეტერბურგში მარიამ არჩილის ასულმა თავისი რძლის მზრუნველობის

---

[72] მარიამ კაციას ასული დადიანი და დედოფალი დარეჯანი (ერეკლე II-ის მეუღლე) ნათესავები იყვნენ. დარეჯანი მას მამიდად ერგებოდა ან ბიძაშვილის ქალიშვილად.

იმედად დატოვა ივანე (მარიამ კაციას ასულს ნება დართეს, რომ 1817 წელს გამგზავრებულიყო მოსკოვში, მოგვიანებით–პეტერბურგში). რუსეთის მონარქის უმაღლესი ნებით, მარიამ არჩილის ასული საქართველოში დაბრუნდა 1817 წელს. უცნობია 1832 წლამდე სამშობლოში მისი ცხოვრების დეტალები (არ ვიცით, სად ცხოვრობდა, თავის მეუღლესთან ვეჯინში თუ ტფილისში, რას საქმიანობდა, იყო თუ არა მასთან მისი ქალიშვილი ნინო). ჯერ კიდევ 1810 წელს გადასახლებაში მყოფ მარიამ არჩილის ასულ ანდრონიკაშვილსა და სოლომონ მეორის მეუღლე დედოფალ მარიამ კაციას ასულზე საუბრისას ხალხი ამბობდა, რომ მეფედყოფილი კიდევ დაქორწინდება, მალხაზ ანდრონიკაშვილმა კი საბოლოოდ დაკარგა მეუღლე. რა იყო ამ მითქმა-მოთქმის მიზეზი, რომელიც, ჩანს, შემდგომ მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრებამაც დაადასტურა.

1832 წლიდან მარიამ არჩილის ასული იმყოფებოდა (რა მიზეზითა და სტატუსით, უცნობია) კახთუბნის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში (სოფელ გურჯაანის მახლობლად)[73], 1840 წლიდან კი – სადა, ნაქირავებ ბინაში ტფილისის ანჩისხატის ტაძრის ეზოში.

მიხეილ თუმანიშვილმა (თუმანოვმა, საქართველოს მეფეთა მდივანბეგის, ბირთველ გიორგის ძის, ვაჟმა), რომელიც იბეჭდებოდა მ. ხელთუბნელის ფსევდონიმით, მკითხველებს მოუთხრო მარიამ არჩილის ასულ ანდრონიკაშვილის ცხოვრებისა და დასაფლავების შესახებ[74]. საგაზეთო სტატიაში ის იტყობინება, რომ 1854 წლის 10 სექტემბერს, პარასკევს, 86 წლისა[75] გარდაიცვალა ბატონიშვილი მარიამ არჩილის ასული. მეორე დღეს, საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს მიერ პანაშვიდის გადახდის შემდეგ, მისი ცხედარი სახლიდან გადაასვენეს ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში ყოველგვარი პატივდებისა და მხოლოდ ახლო ნათესავების (გარდაცვლილის ნების

---

73 ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ძველი ტაძარი მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის *„საქართველოს გეოგრაფიაში."* სხვანაირად უწოდებენ *ყოვლადწმიდას* ან *ყველა წმინდას*. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აქ იყო კანკელი ხატებით, ივერიის ღვთისმშობლის ხატი ოქროს კუბოში და ფრესკათა ნაშთები. ეს ტაძარი ითვლებოდა გათხოვილი ქალების მფარველად. წელიწადში ორჯერ აღინიშნებოდა ხატის დღესასწაული–აღდგომასა და ღვთისმშობლის მიძინების დღეს, მაგრამ ძველთუძველესი დროიდან 1845 წლამდე (ან 1850 წლამდე) აქ იყო მამათა მონასტერი (შემდეგ ბერები გადაიყვანეს ხირსის მონასტერში). საინტერესოა, რომ კახთუბნის მონასტერი 1640 წლამდე გარშემო მიწებიანად ეკუთვნოდა უშვილძირო ჯანო ანდრონიკაშვილს (წარმოშობით მისი საგვარეულოდან იყო სწავლული ბერი იოსტოს ანდრონიკაშვილი). იხ.: Л. Меликсет-Беков. *Кахтубанский храм.* Журнал «*Христианский Восток*». Петроград, 1915, т. III, стр. 309.

74 *Кавказ. Тифлисъ*. Газета *«Кавказ»,* 1854. №72, стр. 287; М. Туманов. *Кавказ. Тифлисъ*. Газета *«Кавказ»*. 1854, № 73, стр. 290-291.

75 უნდა ვიფიქროთ, რომ მარიამ არჩილის ასულის ცხოვრების აღნიშნული თარიღები არაა სწორი. თუ ცნობილია, რომ იგი 1775 წელს დაიბადა, გარდაიცვალა კი 1854 წელს, შესაბამისად, აქედან გამომდინარე, იგი 79 წლის იყო.

თანახმად) თანდასწრებით. მიუხედავად ამისა, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. 13 სექტემბერს კი, წმ. დიდმოწამე ქეთევანის ხსენების დღეს, ეკლესიაში გახლდათ უმაღლესი მღვდელმთავრობა, ქართველი თავადობა. მარიამ არჩილის ასული ანდრონიკაშვილი დაასაფლავეს ანჩისხატის ტაძარში, დასავლეთ კედელსა და ჩრდილო-დასავლეთ სვეტს შორის[76]. მ. თუმანიშვილის სტატიაში მარიამ ანდრონიკაშვილი ხასიათდება როგორც ქრისტიანული შემწყნარებლობის მაგალითი, რომელმაც 35 წელი ამასოფლიური ცხოვრებისგან განდეგილობაში დაჰყო (ე. ი. 1819 წლიდან. ამიტომაც ჩნდება ეჭვი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მისი და მეუღლის თანაცხოვრების შესახებ). ის იყო უდიდესი ნებელობის ქალბატონი. ყოველ დილით საგულდაგულოდ იმოსებოდა, მიდიოდა ტაძარში, მოწყალებას გასცემდა[77] და არც ერთხელ არ უღალატია თავისი ცხოვრების მკაცრი განაწესისთვის. თავის სადა, უბრალო სახლში „ეს მაღალი, პირხმელი, მაგრამ ჯერ კიდევ მშვენიერი და დიდებული სახის მოხუცი“ თავისთან იწვევდა უპოვართ, უმასპინძლდებოდა მათ და ურიგებდა ფულს პენსიიდან. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ავედრებდა უფალს ვაჟიშვილს, ვისაც ყველა ახალციხისა და ჩოლოქის გმირად თვლიდა, ეშინოდა ეულად, ვაჟის უნახავად, სიკვდილისა. მართლაც, იგი ივანეს თანდასწრებით მიიცვალა.

მარიამ არჩილის ასული ემუდარებოდა მსოფლიო პატრიარქებს, ნება დაერთოთ მისთვის, მოეხილა წმინდა მიწა–იერუსალიმი და ანდერძად დააგდო, დაესაფლავებინათ ანჩისხატის ტაძრის იმ ნაწილში, სადაც ის, როგორც წესი, ლოცვისას იდგა. სხვათა შორის, აქ დასაფლავებულია მალხაზ ანდრონიკაშვილის რძალი, სალომე ქაიხოსროს ასული წერეთელი (1810-1889), რომელიც დაქვრივდა თავისი პირველი მეუღლის, გენერლისა და კავალრის, კარის ფერმწერ ნიკოლოზ აფხაზისა და გიორგი XII-ის ნათლულის, სოფიო გურამიშვილის ვაჟის, გარდაცვალების შემდეგ. ანჩისხატის ტაძარში დასაფლავებულია სალომეს მეორე ქმარიც, მალხაზის ძმისშვილი იასე (იესე) იოსების ძე ანდრონიკაშვილიც[78].

უნდა ვიფიქროთ, რომ სალომესა და მის მეუღლეს ჰქონდათ ნათესაური კავშირ-ურთიერთობა მარიამ არჩილის ასულსა და მის შვილებთან. ეჭვი არაა, რომ მასთან ურთიერთობდა ანჩისხატის ტაძრის დეკანოზიც,

---

76 П. Карбелов. *Древний Анчисхатский собор в Тифлисе.* Тифлис, 1899, стр. 79.

77 ანჩისხატის ტაძარში ინახებოდა თასი ნაკურთხი წყლისთვის და ვერცხლის სურა, რომელიც მან ტაძარს შესწირა 1842 წელს.

78 П. Карбелов. *Древний Анчисхатский собор в Тифлисе.* Тифлис, 1899, стр. 50.

თავისი დროის ცნობილი მწიგნობარი დიმიტრი სოლომონის ძე, ალექსი-მესხიშვილის სახელგანთქმული გვარიდან[79]. საქმე ისაა, რომ დიმიტრის ქალიშვილზე 1835 წლიდან დაქორწინებული იყო მარიამ ანდრონიკაშვილის მეორე დისშვილი ზაქარია ორბელიანი[80].

უეჭველია, რომ მარიამ არჩილის ასული ახლობლობდა თავისი დის შვილიშვილთან, ნიკოლოზ ბარათაშვილთანაც. მარიამმა არცთუ შემთხვევით დაიდო ბინა ანჩისხატის ტაძრის უბანში, ტფილისის ოდითგანვე ცნობილ ამ ცენტრში, სადაც სამეფო სასახლე იდგა, სადაც ბინადრობდნენ ორბელიანები, ჭავჭავაძეები, ბარათაშვილები და თავადთა სხვა საგვარეულოს წარმომადგენლები. ბევრი მათგანი ასე თუ ისე ენათესავებოდა მარიამსა და მის მეუღლეს. უნდა შევნიშნოთ, რომ მარიამ არჩილის ასულის სახლის ახლოს, ანჩისხატის ქუჩაზე, ცხოვრობდა მისი ახლო ნათესავი თამარ იულონის ასულიც.[81] თამარიც, მარიამის მსგავსად, ასკეტურად ცხოვრობდა. ორჯერ მოიხილა იერუსალიმი და მიიცვალა მარიამ არჩილის ასულის გარდაცვალებიდან სამი წლის თავზე. შეუძლებელია, არ გავიხსენოთ, რომ თამარ იულონის ასული დაპატიმრებულიც იყო თავადთა 1832 წლის შეთქმულებაში თანამონაწილეობისათვის, მაგრამ ტფილისშივე დატოვეს პოლიციის მკაცრი ზედამხედველობით. სხვა მონაცემებით კი თამარ იულონის ასული 1833 წელს ციმბირში გადაასახლეს, რადგან მან შეადგინა შეთქმულების გეგმა, დიდ გავლენას ახდენდა თავადთა საგვარეულოების ქართველ მანდილოსნებზე, კავშირი ჰქონდა შეთ-ქმულ ბიძასთან – ალექსანდრე ბატონიშვილთან და იერუსალიმის მოხილვა მხოლოდ საბაბი იყო ბიძასთან შესახვედრად და მასთან შეთქმულთა გეგმის განსახილავად. ხელისუფლებამ უწყოდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის ჩამოსვლამდე (შეთქმულების წარმატებით აღსრულების შემთხვევაში) სამეფო ტახტზე თამარის დროებითი აღსაყდრება იყო განზრახული. შეიძლება, ხელისუფლებამ ვერ აპატია მასა და მის ძმა ლევანს (როგორც ითქვა, ის მოკლეს 1811 წელს) აქტიური მონაწილეობა ანტირუსულ ბრძოლაში. თამარ იულონის ასულს შეიძლება ახსოვდა კიდეც მარიამ არჩილის ასული 10 წლის ასაკიდან, როცა ის 1804 წელს ძმებსა და დედასთან – სალომე

---

79 მისი პორტრეტი ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში.

80 გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის დედის–ეფემიას ძმა. სამივე და-ძმის დედა ხორეშანი, ანუ ანა-ხანუმი (1786-1833) იყო მარიამ ანდრონიკაშვილის ნახევარდა (ბატონიშვილ ელენეს მეორე ქორწინებიდან ზაქარია თამაზის ძე ანდრონიკაშვილთან).

81 თამარის მამა-ბატონიშვილი იულონი და მარიამის დედა- ბატონიშვილი ელენე და-ძმანი იყვნენ. გარდა ამისა, ბატონიშვილი იულონი და მარიამის მეუღლე მალხაზ ანდრონიკაშვილი იყვნენ თანამებრძოლები ანტირუსულ ბრძოლაში.

ამილახვართან ერთად იმერეთს, სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის სახლს, აფარებდა თავს[82].

მარიამ ანდრონიკაშვილის ანდერძთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: რატომ ისურვა მან ანჩისხატის ტაძარში დაკრძალვა და არა სოფელ ვეჯინში მეუღლის გვერდით? რატომ დაწერა მ. თუმანიშვილმა გაზეთ „Кавказ"-ში, რომ მან 35 წელი ამასოფლიური ცხოვრებისგან განრიდებით იცხოვრა? მარიამ არჩილის ასული საქართველოში დაბრუნდა 1817 წელს. სად ცხოვრობდა იგი 1819 წლამდე (იმ დრომდე, ვიდრე დაიწყებდა განდეგილ ცხოვრებას?), იმ დროს, როცა მისი მეუღლე მალხაზი უკვე ვეჯინში ცხოვრობდა, სადაც 1822 წელს მიიცვალა კიდეც.

რაც შეეხება ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს, ბიჭს, რომელიც დედის გვერდითაა გამოსახული სურათზე „ბავშვიანი ქალი", ვორონეჟში გადასახლების შემდეგ, მან, პეტერბურგში დარჩენილმა, 1817 წელს დაამთავრა იუნკრების კავალერიის სასწავლებელი და 1818 წელს დაიწყო ლაიბ-გვარდიის კავალერიის პოლკში სამსახური. ივანე ანდრონიკაშვილმა გამოავლინა ძალიან კარგი თვისებანი როგორც მეთაურმა, მოიპოვა ავტორიტეტი. 1824 წელს[83] მაიორის ჩინით ნებაყოფლობით გადავიდა კავკასიის არმიის ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. ივანე ანდრონიკაშვილი მონაწილეობდა 1826-1828 წლების რუსეთ-სპარსეთის ომში, ისახელა თავი ელიზავეტოპოლის, ერევნის, ახალციხისათვის ბრძოლებში, ჰქონდა საბრძოლო ორდენები და მედლები[84]. 1829 წელს ბაიბურთთან ბრძოლისათვის მიიღო წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი[85]. რუსეთ-თურქეთის ომში პოლკოვნიკი და დრაგუნთა პოლკის მეთაური გახდა. მონაწილეობდა მთიელთა წინააღმდეგ საომარ კომპანიებში. ელიზავეტოპოლთან წარმოებულ ბრძოლაში მონაწილეობისათვის მიღებული ჰქონდა წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენი. 1827 წელს ჯევან-ბულახისათვის ბრძოლაში

---

82 ისინი იმალებოდნენ, რადგან ოჯახის თავკაცი ბატონიშვილი იულონი იყო მთიულეთის აჯანყების ერთ- ერთი მოთავე. იხ.: თ. პაპავა. *დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში.* თბილისი, 1990.

83 მამის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, 1822 წელს.

84 ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებობს ძალიან ვრცელი ლიტერატურა: ი. ბაბალაშვილი. *ქართველი და რუსი ხალხის ერთობა.* ჟურ. *„მაცნე."* თბილისი, 1983, №3. გვ. 96; შ. მეგრელიძე. *ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები.* თბილისი, 1979. გვ. 102; *Эсадзе Б.С. Летопись Грузии. Юбилейный сборник к 300-летию царствования Дома Романовых – Державных Покровителей грузинского народа. 1613-1913.* Вып. 1 [и единственный]. Тифлис, 1913, стр. 272, 287; მ. დუმბაძე. *გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი.* თბილისი, 1943.

85 ამ გამარჯვებისათვის მთავარსარდალმა ი.ფ. პასკევიჩმა გმირი გადაკოცნა და უთხრა, რომ მას მთელი თავისი სამხედრო სამსახურის განმავლობაში არ უხილავს მსგავსი შეტევა. ვინ იცის, იქნებ თურქეთის ფრონტზეც შეხვედრია ივანე ანდრონიკაშვილი პუშკინს, ვისი ნათესავიც იყო ცოლი მისი დედის პირველი ქმრის.

დაიჭრა თავში, რისთვისაც მიიღო წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენი, ახალქალაქთან ბრძოლისთვის – წმ. ანას მე-2 ხარისხის ორდენი. 1830 წელს წამოვიდა მოქმედი არმიიდან, შეურაცხყოფილი (თუ განაწყენებული), მის ნაცვლად ნიჟეგოროდის პოლკის უფროსად სხვისი დანიშვნის გამო. 19 წელი თადარიგში იმყოფებოდა, მაგრამ მაინც მონაწილეობდა მთიელთა წინააღმდეგ საომარ ექსპედიციებში. დაღესტნის აულების–გერგებილისა და სალთის შტურმისათვის ის 1847 წელს დააჯილდოვეს წმ. სტანისლავის 1-ლი ხარისხის ორდენით. კიდევ რას საქმიანობდა მეომარი ოფიცერი ამ წლებში, უცნობია, მაგრამ, როცა 1831-1832 წლებში ტფილისში მზადდებოდა თავადთა შეთქმულება საქართველოს სამეფო სახლისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად, კახეთის მამულში, კოდალოში, პოლკოვნიკ ანდრონიკაშვილს ესტუმრა ამ შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე, ბატონიშვილ თეკლას ვაჟი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი. მან ამცნო თავის ნათესავსა და მეგობარს შეთქმულთა განზრახვის შესახებ–აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ივანე ანდრონიკაშვილმა უთხრა, რომ ღმერთმა დაიფაროს ქართველები ამგვარი ფიქრისგანაც კი. 1832 წლის ზაფხულში გენერალ ფ.ი. ახვერდოვის სახლში[86] მეგობართა მორიგი შეხვედრისას სოლ. დოდაშვილის თანდასწრებით, ერეკლე II-ის შვილთაშვილმა, რუსეთის არმიის პოლკოვნიკმა, რომლის მამამ ახალგაზრდობა შეალია ანტირუსულ ბრძოლას და რის გამოც თავად ივანეს ბავშვობამ რუსეთში გადასახლებაში ჩაიარა, შეთქმულნი დატუქსა და შეახსენა მათ, რომ 1812 წელს, როცა მთელი ევროპა შეკავშირდა რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთი მაინც გამარჯვებული გამოვიდა ამ მსოფლიო დაპირისპირებიდან. მიუხედავად ამისა, ივანე განდობილი იყო 1832 წლის შეთქმულების მზადებას, მით უმეტეს, რომ მისი უამრავი მეგობარი და ნათესავი ამ შეთქმულებაში მონაწილეობდა ამა თუ იმ სახით[87].

1853-1856 წლების ყირიმის ომის დროს ივანე ანდრონიკაშვილი კავკასიის ფრონტზე, ახალციხესთან, იბრძოდა. ქართველთა 5 ათასკაციანი ჯარით მან მუსრი გაავლო ალი-ფაშას თურქულ კორპუსს, რისთვისაც მიანიჭეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება. ისახელა თავი მდინარე

---

86 ჩახრუხაძის ქუჩაზე, ანჩისხატის ტაძრის ახლოს, ამ სახლში ამავე პერიოდში ცხოვრობდა შეთქმულების მონაწილე სოლომონ დოდაშვილი.

87 ალექსანდრე ჭავჭავაძე, ივანე აფხაზი, ვასილ ბებუთოვი, ნიკოლოზ ფალავანდიშვილი – ყველანი იყვნენ რუსეთის სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურში. იხ.: გ. გოზალიშვილი. *1832 წლის შეთქმულება*. თბილისი. 1935, გვ. 216,327.

ჩოლოქთან, ოზურგეთთან ახლოს, ბრძოლაშიც, როცა რაოდენობით რუსულ ჯარს ოთხჯერ აღმატებული თურქული კორპუსი დაამარცხა. ამისთვის მას უბოძეს ალექსანდრე ნეველისა და წმ. გიორგის მე-3 ხარისხის ორდენები. ჩოლოქთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ძალზე პოპულარული იყო ლექსი-სიმღერა, რომელიც განადიდებდა „ხელმწიფის ერთგულ ქართველ მხედართმთავარს“[88]. 1854 წელს[89] მან საბრძოლველად მოამზადა გურიის რაზმი.[90] 1868 წელს ივანე ანდრონიკაშვილს 50 წლიანი სამხედრო მსახურების გამო მიანიჭეს რუსეთის არმიის კავალერიის გენერლის უმაღლესი წოდება. ამ თარიღთან დაკავშირებით მას გაუმართეს საიუბილეო საღამო.

მთელი ცხოვრების განმავლობაში გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა სახელი გაითქვა როგორც წესიერმა, კეთილმოსურნე და სტუმართმოყვარე ადამიანმა. ჯარისკაცებს იგი უყვარდათ, მასზე სიმღერებს თხზავდნენ და „ჩვენს მამას“ უწოდებდნენ. კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვს ძალიან უყვარდა და პატივს სცემდა ივანე ანდრონიკაშვილს. როცა ახალციხის გმირს მთელი ტფილისი ზარ-ზეიმით ხვდებოდა, ვორონცოვი პირადად გამობრძანდა მეფისნაცვლის სასახლის აივანზე, პატივი მიაგო მას, საღამოთი კი თეატრში მის გვერდით დაჯდა. მიხეილ ვორონცოვის დაჟინებული თხოვნით დათანხმდა ივანე ტფილისის სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორობას. გუბერნატორობის პერიოდში – 1849 წლიდან 1856 წლამდე მან მოასწრო ბევრი რამის აშენება-გამშვენება დედაქალაქში.

მოხუცებულობის ჟამს ივანე ცხოვრობდა მამულეთში, სოფელ კოდალოში. უყვარდა გრძელი ჩიბუხის მოწევა, ასევე ხალათში გამოწყობილსა და არაქჩინით თავდაბურულს შინ ყოფნა. მისდევდა სოფლის მეურნეობას, მეაბრეშუმეობას, მევენახეობას, აგებდა წისქვილებს.

გენერლის ოჯახური ცხოვრება, როგორც ჩანს, ბედნიერი იყო. მას ცოლად ჰყავდა იმპერატორ ალექსანდრე I–ის ფლიგელ-ადიუტანტის, გენერალ-მაიორის, ბატონიშვილ (ბაგრატიონთა იმერული შტოდან) კონსტანტინე დავითის ძის ასული ნინო[91]. ზოგიერთი მკვლევარი

---

88 *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа* (СМОМПК). Тифлис, 1908, выпуск 38, стр. 88.

89 ამა წლის სექტემბერში მან დაასაფლავა დედა მარიამ არჩილის ასული.

90 *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* 8 ტომად. თბილისი, 1970, ტ.V, გვ. 204. აქვეა მოთავსებული მისი ახალგაზრდობისდროინდელი პორტრეტი. ის გამოსახულია მუნდირში, მკერდდამშვენებული 5 საბრძოლო მედლით.

91 ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები.* თბილისი, 1965, წ. 2. გვ. 142.; თ. პაპავა. *საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი.* თბილისი. 1989; Гребельский П., Думин С.,

ნინოს დედად თვლიდა ბატონიშვილის მეუღლეს, წარმოშობით პორტუგალიელ მარია-ტერეზია ლოპეს დე დამაგოს[92], სხვანი– ანასტასია აბაშიძეს. ეს ასეა, თუ სწორია ნინოს დაბადების თარიღი–1807 წელი. თუმცა, ზოგიერთი მკვლევრის[93] თანახმად, კონსტანტინე დავითის ძისა და ანასტასია აბაშიძის ქორწინების თარიღად მიჩნეულია 1809 წელი[94]. ნინოს ბებია, იმერეთის დედოფალი ანა მამუკას (მათეს) ასული ორბელიანი იყო უახლოესი ნათესავი ანა თამაზის ასულ ორბელიანისა, ლუარსაბ ივანეს ძე ორბელიანის მეუღლისა. ლუარსაბი კი იყო სალომე ორბელიან-ჭავჭავაძის, რომანტიკოსი პოეტისა და გენერლის, ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის მეუღლის, ღვიძლი ძმა. ასე რომ, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი გარკვეულად ენათესავებოდა იმერეთის სამეფო სახლსა და მალხაზ ანდრონიკაშვილის ოჯახს[95].

ნინოს მამა იყო ბატონიშვილი კონსტანტინე (1793-1844), ძმისშვილი მეფე სოლომონ II-ისა, რომელსაც იგი დატყვევებული ჰყავდა მუხურის ციხესიმაგრეში და რუსეთის ხელისუფლების ჩარევის შედეგად გაათავისუფლა 1803 წელს[96]. კონსტანტინე ტფილისში ცხოვრობდა ბიძასთან, თამაზ მამუკას ძე ორბელიანთან (ერეკლე II-ის დის–ანას შვილიშვილი. ანას, ერთი ლეგენდის თანახმად, უპასუხოდ ეტრფოდა XVIII ს-ის ცნობილი აშუღი პოეტი საიათ-ნოვა). თამაზ ორბელიანი, სახელმწიფო მრჩეველი და გენერალ-მაიორი განისვენებს სიონის საკათედრო ტაძარში[97]. მოგვიანებით, ბატონიშვილი კონსტანტინე დედასთან ერთად ცხოვრობდა პეტერბურგში, გახდა გენერალ-მაიორი, მარია-ტერეზია ლოპესი, ალბათ, მისი მეორე ცოლი იყო[98].

ცნობილია, რომ ნინო, ჩვენთვის გაურკვეველ მიზეზთა გამო,

Апакидзе Г., Бичикашвили И., Катин-Ярцев М., Ковылов-Алексеевский С., Кудищева Ф., Ленчевский Т., Михаилов Г., Первушкин В., Унковский Ю., Чиковани Ю., Шишлов С., Шумков А. *Дворянские роды Российской империи (Князья царства Грузинского)*. Москва, 1996, т. 3, стр.91 (შედგომ – Гребельский П., Думин С., Апакидзе Г.,... *Дворянские роды*… Москва, 1996); *იმერეთის დედოფალი ანნა და ძე მისი კონსტანტინე*. გაზ. „კვალი“, № 41, 1895, გვ. 8; სცსა. ფ. 2, საქმე 4909; თ. პაპავა (თ. პაპავა. *დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში*. თბილისი, 1990, გვ. 140) ნინოს მარიამს უწოდებს, რადგან მის საფლავზე, სოფელ კოდალოში, სწორედ ეს სახელია აღნიშნული; ვ. გონიკიშვილი. *ბაგრატიონთა მოღვაწეობა და განსახლება რუსეთში*. თბილისი, 1985, გვ. 140.

92 უფრო ზუსტად, რუსეთში პორტუგალიის გენერალური კონსულის ქალიშვილი ანა დენისის ასული ლოპეს დე სილვა.

93 Думин С., Чиковани Ю.,... *Дворянские роды*... Москва., 1998, т. 4, стр.123.

94 Гребельский П., Думин С., Апакидзе Г.,... *Дворянские роды* ... Москва, 1996, т. 3, стр. 91.

95 მამიდები სალომე ჭავჭავაძისა – ანა დავითის ასული და ბარბარე დავითის ასული (ანუ შვილიშვილები ერეკლე II-ისა) ცოლად ჰყავდათ აბელ და ივანე (ნინია) ანდრონიკაშვილებს.

96 ამისთვის სოლომონ II დააჯილდოვეს ალექსანდრე ნეველის ალმასებიანი ორდენით.

97 ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები*. თბილისი, 1965, წ. 2, გვ. 147-148.

98 მისი მესამე ცოლი სტრახოვა.

იშვილა ბატონიშვილმა დავით გიორგის ძემ (გიორგი XII-ისა და მისი პირველი მეუღლის, ქეთევან პაპუნას ასულ ანდრონიკაშვილის, ვაჟმა. ქეთევანი წარმოშობით სოფელ ვეჯინიდან იყო, სადაც 12 წლის ქეთევანს პირველად მოჰკრა თვალი მაშინ ჯერ კიდევ ბატონიშვილმა გიორგიმ და იმავე 1763 წელს მასზე იქორწინა. ქეთევანი მალხაზ ანდრონიკაშვილის ნათესავი იყო (გარდაიცვალა 1782 წელს, როცა მალხაზი 9 წლის იყო). თავად ბატონიშვილ დავითსა და მის მეუღლე ხამპეროვან (ელენეს) აბამელიქს შვილები არ ჰყავდათ. მათი ქორწინება არცთუ იღბლიანი აღმოჩნდა. ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე ცხოვრობდა ბატონიშვილის გარდაცვალებამდე, 1819 წლამდე.

ივანე და ნინო ანდრონიკაშვილებს ჰყავდათ სამი შვილი: ელენე, არჩილი და ბარბარე[99]. ნინო ანდრონიკაშვილი გარდაიცვალა 40 წლისა 1847 წელს და დასაფლავებულია სოფელ კოდალოს საგვარეულო ეკლესიაში, სადაც 1868 წელს ივანეც დაასაფლავეს. თანასოფლელებს ახსოვდათ, რომ მათს სახლში, სოფელ კოდალოში, ინახებოდა მეფე ერეკლე II-ის, გიორგი XII-ის, ბატონიშვილ დავით გიორგის ძის, მარიამ არჩილის ასულისა და მარიამ დავითის ასულის პორტრეტები[100].

ივანე და ნინო ანდრონიკაშვილების შვილმა, არჩილ ივანეს ძემ (1834-1864 გარდაიცვალა მამაზე ადრე) 5 შვილიდან სამს თავისი სახელოვანი წინაპრების სახელები დაარქვა: სოლომონი, მელქისედეკი (მალხაზი) და, ყველაზე უმცროსს–არჩილი. შტაბის როტმისტრი არჩილ ანდრონიკაშვილი დაქორწინებული იყო ბარბარე მერაბის ასულ ანდრონიკაშვილზე (1839-1907).[101] სოლომონ არჩილის ძე (1859-1896), შვილთაშვილი მალხაზ და მარიამ ანდრონიკაშვილებისა, დაქორწინდა ნადია დიმიტრის ასულ ერისთავ-გურიელზე (1875-1905). 1911 წელს მან შესწირა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს სურათი თავისი მამამთილის – არჩილ ივანეს ძის გამოსახულებით.[102] მან ასევე აჩუქა მუზეუმს მხატვარ ელენ ფრანკენ-კიუბერის მიერ შესრულებული ფერწერული პორტრეტები ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილისა და მისი დედის–მარიამ არჩილის ასულისა.

1854 წელს მხატვარ გეორგ კორადინის მიერ შესრულებული არჩილ

---

99 ელენე–ილია ჩოლოყაშვილის მეუღლე. ბარბარე–ფრეილინა, ალექსანდრე თუმანიშვილის მეუღლე.

100 თ. პაპავა. *დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში*. თბილისი, 1990, გვ. 140. ჩამოთვლილი პორტრეტები გადაეცა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს.

101 მისი აკვარელური პორტრეტი, შესრულებული გიორგ კორადინის მიერ, ინახება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში (საინვ. №97. ქაღალდი, აკვარელი. 22x17). მოდელი აქ წარმოდგენილია ახალგაზრდა ოფიცრის სახით მკერდზე წმ. ვლადიმერის ჯვრით, სახის ლამაზი ნაკვთებითა და ხშირი თმით.

102 დღეს სურათი ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ივანეს ძისა და ივანე მალხაზის ძის აკვარელური პორტრეტები[103] ისევე, როგორც მხატვარ ი. ვასილენკოს[104] მიერ დახატული პორტრეტი ივანე მალხაზის ძისა, ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ და სოლომონ არჩილის ძისა, ანუ შვილთაშვილი მალხაზ და მარიამ ანდრონიკაშვილებისა, მარიამი (1861–?), იყო მეუღლე სიმონ გიორგის ძე წერეთლისა (1843–?), რომლის მამა კი იყო გარე ბაბუა მწერალ აკაკი წერეთლისა (1840-1915). თავის მოგონებებში[105] აკაკი წერეთელი წერდა, რომ მისი პირდაპირი ბაბუა ივანე (იოანე) ქაიხოსროს ძე აბაშიძე (?-1822) იყო ლიდერი 1822 წლის იმერეთის აჯანყებისა და იმერეთის ტახტის პრეტენდენტადაც ითვლებოდა (როგორც სოლომონ II-ის შვილიშვილი დედის მხრიდან). თუმცა, ის მოკლეს მიგზავნილმა პირებმა. თანამედროვენი იოანე აბაშიძეს არაორდინალურ პიროვნებად თვლიდნენ. ის ცდილობდა, კეთილსაიმედო ურთიერთობა შეენარჩუნებინა როგორც იმერელ თავადებთან, ისე რუსეთის ხელისუფლებასთან. იოანე აბაშიძეს ელისაბედ სიმონის ასულ გურიელთან (გურიის უკანასკნელ მთავარ მამიას დასთან) ქორწინებიდან ჰყავდა ქალიშვილი ეკა. ამგვარად, ეკა იყო სოლომონ I-ის შვილთაშვილი და დედა აკაკი წერეთლისა, ასევე ნათესავი მარიამ არჩილის ასულ ანდრონიკაშვილისა (პორტრეტი „ბავშვიანი ქალი“)[106].

ნაკლებადაა შესაძლებელი, თვალი გავადევნოთ ლიტერატურასა და ქართულ საისტორიო წყაროებში მალხაზ და მარიამ ანდრონი-

---

103 ექ. თაყაიშვილი, ალ. სარაჯიშვილი. *კახეთში მოგზაურობა არქეოლოგიური მიზნით (წერილი რედაქციის მიმართ).* გაზ. „*სახალხო გაზეთი*“. 1911, №404, გვ. 3-4.

104 მხატვარი ივანე ვასილის ძე ვასილენკო საქართველოში მუშაობდა 1850-იან წლებში «Русский художественный листок»—ის კორესპონდენტად (გამომცემელი – მხატვარი ი. ტიმი). ის ხატავდა რუსეთ-თურქეთის (1853-56) ომის ქართველ მონაწილეთა პორტრეტებს. ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის პორტრეტი 1853 წელს ახალციხესთან მისი გამარჯვების შემდეგ მოთავსებულია ვ. ტიმის № 13 გამოცემაში, ასევე მის მიერ ჯარისკაც გოგნიაშვილის გადარჩენის ამსახველი სცენა; გენერალ-მაიორ იასონ ჭავჭავაძისა და კავკასიის სარეზერვო ბრიგადის მეთაურის, 1854 წელს ნიგოეთთან შეტაკების გმირის, ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის პორტრეტები. ცნობილია ვასილენკოს მიერ შექმნილი გენერალ ვ. ო. ბებუთოვის ქალიშვილის, სოფიო გურიელის, პორტრეტი (ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში). იხ.: თ. ფერაძე. *რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში. XIX ს.* თბილისი, 1964, გვ. 32-33.

105 აკ. წერეთელი. რჩეული 5 ტომად. თბილისი, 1989, ტ.3. გვ. 23; აკ. წერეთელი. ჩემი *თავგადასავალი*. თბილისი, 1925, ტ. 1, გვ. 17; *საქართველოს ისტორიის ნარკვევები* 8 ტომად. თბილისი, 1974, ტ. IV, გვ. 934; Акты. Тифлис, 1874, т. VI, стр. 569.

106 1820 წელს, იმერეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ეკა აბაშიძე დედასთან, ბებიასა და დარეჯან სოლომონის ასულთან ერთად (სოლომონ I-ის ქალიშვილი) გადაასახლეს. მამია გურიელის თხოვნით, დედა-შვილი გამოაბრუნეს გზიდან, ცხოვრობდნენ გურიაში, მერე ეკა ცხოვრობდა შორაპნის მაზრაში, დედამისი ელისაბედი–ქუთაისში. იხ. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი, 1964. ნ. I, გვ. 94-95.

კაშვილების ქალიშვილის – ნინოს ბიოგრაფიას. მათი საგვარეულოს გენეალოგიაში მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებია დაფიქსირებული (1793-1868).[107] თუმცა, უცნობია, რატომ არაა ის აღბეჭდილი სურათზე („ბავშვიანი ქალი") დედისა და ძმის გვერდით, სად ცხოვრობდა ნინო მისი ოჯახის წევრების პორტრეტების შექმნის დროს, იყო თუ არა ის იმერეთში მშობლებთან ერთად 1800-იან წლებში, სად იმყოფებოდა დედისა და ძმის რუსეთში გადასახლების დროს, რატომ დაასაფლავეს ის სოფელ კოდალოში (და არა მეუღლის გვერდით სოფელ ქისტაურში), აკითხავდა თუ არა ის თავის დედას კახთუბნის მონასტერსა და ტფილისში? მხოლოდ ერთ ფრაზაში[108] ჩანს, რომ, როცა 1810 წელს მარიამ არჩილის ასული ჩამოიყვანეს ტფილისში, ის თანმხლებ პირებსა და შვილებთან (ე. ი. ივანესა და ნინოსთან) ერთად ცხოვრობდა ბეგთაბეგოვის სახლში. ვინ ზრუნავდა ნინოზე გათხოვებამდე და რომელ წელს გათხოვდა? დადასტურებით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ის ცოლად ჰყავდა გიორგი ბეჟანის ძე არაგვის ერისთავს (?–1822)[109], კახეთის სოფელ ქისტაურიდან, რომლის ოჯახი აქ ერეკლე II-ემ ჩაასახლა[110]. ცოლ-ქმარს ჰყავდათ მხოლოდშობილი ვაჟი გიორგი (კიაზო. 1821-1909). ის მონაწილეობდა 1853-1855 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, იყო გენერალ-ლეიტენანტი და ორდენების კავალერი, სამჯერ დაქორწინდა და ჰყავდა რვა შვილი. ერთი მისი მეუღლე (ალბათ, მესამე) იყო ქსნის ერისთავის საგვარეულოდან. 1898 წლის ზაფხულში ექვთიმე თაყაიშვილმა სოფელ ქისტაურში, მათს სახლში, სტუმრობისას 1681 წლით დათარიღებული ღვთისმშობლის აკაფისტი ნახა, რომელიც კიაზოს მეუღლეს მზითევში მოჰყვა.

კიაზოს შვილებმა (ანუ ნინო მალხაზის ასულ ანდრონიკაშვილის შვილიშვილებმა), მიხეილმა და ზურაბმა, 1910-1912 წლებში საქართველოს საეთნოგრაფიო-საისტორიო საზოგადოების მუზეუმს შესწირეს თავისი ბებიის–ნინო მალხაზის ასულისა და ბებიის ძმის–ივანე მალხაზის ძის პორტრეტები (ქაღალდი, აკვარელი), შესრულებული 1850 წელს კარლ კაზიმირის ძე ჟუკოვსკის მიერ[111]. ამ პორტრეტებთან ერთად მათ მუზეუმს აჩუქეს მრავალი წიგნი,

---

107 Думин С., Чиковани Ю.,... *Дворянские роды... (Княьзя Андроникашвили).* Москва, 1998, т. 4, стр. 122-123, 213.

108 Акты. Тифлис, 1870, т. IV, стр. 337.

109 გარდაიცვალა მალხაზ ანდრონიკაშვილის-ნინოს მამის გარდაცვალების წელს.

110 ნინო მალხაზის ასულსა და გიორგი არაგვის ერისთავს ჰყავდათ 60 კომლი გლეხი.

111 ხელმოწერა ფრანგულად.

ნივთი, საოჯახო რელიკვიები.[112] შეიძლება მათს რიცხვს მიეკუთვნება სპარსულიდან ნათარგმნი ხელნაწერთა კრებულები „პირმალიანი“, „ზალუმჯანიანი“, რომლებიც საინტერესოა აშიებზე ნინო მალხაზის ასულ ანდრონიკაშვილისადმი მიძღვნილი მინაწერებით: „ქალბატონ მამიდას“, შემდეგ – ბედნიერების, მშვიდობისა და მეორე ვაჟის დაბადების სურვილია ნინოს ძმისშვილისაგან. სხვა, მოგვიანო, მინაწერში, მიმართვაა სალომე ანდრონიკაშვილისგან, „უბედური დისა და რძლისგან: „იმდენ ხანს იყავ დღეგრძელი, რამდენჯერაც ისიამოვნა ნინოს ძმამ ყოველდღიურად მისი კითხვით“[113].

საინტერესოა, რომ ნინო მალხაზის ასული მეუღლის მხრიდან ენათესავებოდა „სამშობლო ხევსურისას“ ავტორს, კარის მრჩეველ რაფიელ ერისთავს (1824-1901). ის მის მეუღლეს ძმისშვილის შვილად ერგებოდა. ღვიძლი და რაფიელისა ბარბარე დავითის ასული ერისთავი–ჯორჯაძე (დაიბადა ქისტაურში 1831 წელს) ასევე გატაცებული იყო ლიტერატურით, წერდა ლექსებს (12 წლიდან), დრამატულ ნაწარმოებებს, გამოსცა წიგნი ქართული ეროვნული სამზარეულოს შესახებ. ჟურნალ „ცისკარში“ (1862, №2) მან გამოაქვეყნა სტატია არაგვის ერისთავების წარმომავლობისა და კახეთში მათი საგვარეულოს ჩასახლების მიზეზთა შესახებ.

უპრიანია გავიხსენოთ, რომ რაფიელისა და ბარბარეს ბიძა ივანე რაფიელის ძე ერისთავი (პოლკოვნიკი და თელავის მაზრის თავადთა წინამძღოლი) დაქორწინებული იყო ილია ჭავჭავაძის მამიდაზე, მაკრინე პაატას ასულ ჭავჭავაძეზე (1792-1872). რადგან მაკრინე ჭავჭავაძე და ნინო მალხაზის ასული იყვნენ რძლები, არაა გასაკვირი, რომ ნინო მალხაზის ასულმა მონათლა ილია ჭავჭავაძე. სხვათა შორის, მაკრინე ჭავჭავაძის პორტრეტი[114] სტილისტურად ჰგავს ნინო მალხაზის ასულის პორტრეტს (საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). ორივე პორტრეტი, როგორც ჩანს, ერთი და იმავე არაპროფესიონალმა მხატვარმა დახატა და მათზე პორტრეტირებულები ხანშიშესულნი არიან. ნინო მალხაზის ასული ანდრონიკაშვილი ზის სკამზე, ევროპულ

---

112 ექ. თაყაიშვილი, ალ. სარაჯიშვილი. *კახეთში მოგზაურობა არქეოლოგიური მიზნით (წერილი რედაქციის მიმართ).* გაზ. *„სახალხო გაზეთი“*. №405. 1911, გვ. 4. დასახელებული პორტრეტები ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში.

113 *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.* ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბილისი, 1961, გვ. 24. სალომე ანდრონიკაშვილად აქ შეიძლება ვივარაუდოთ იესე იოსების ძე ანდრონიკაშვილის მეუღლე. იესე გახლდათ მალხაზ და ნინო ანდრონიკაშვილების ნათესავი. უბედურს უწოდებს ის თავის თავს, რადგან მისი მეუღლე გარდაიცვალა 1863 წელს. წიგნის მინაწერი გაკეთდა 1863 წელს. იხ.: ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები.* თბილისი, 1965, წ. I, გვ. 164.

114 ინახება საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში.

კაბაში, თავს კი ჩიხტიკოპი და ლეჩაქი უმშვენებს. ფიგურა თითქოს სიბრტყობრივია, მისი მსხვილნაკვთიანი სახე არ იძლევა საშუალებას, დადგინდეს, თუ მშობელთაგან ვის ჰგავს. მისი იერი უნებურად მუხლებზე დაშვებული ხელების არაბუნებრივად თლილი თითები და მკაცრი, ძირს მიმართული მზერა მოწმობს მის მიერ განვლილ მძიმე ცხოვრებაზე.

ნინო მალხაზის ასულის მეუღლე, გიორგი ბეჟანის ძე არაგვის ერისთავი შორეულად ენათესავებოდა ა. ს. პუშკინის ცარსკოსელოელ ერთ-ერთ მეგობარს, დიმიტრი ალექსის ძე არაგვის ერისთავს (1797-1858). დიმიტრის ბაბუამ, ვახტანგ VI-ის ყორჩიბაშმა (სამეფო კარის მინისტრი) და ყურალაღასმა (მსახურთუხუცესი) მეფესთან ერთად დატოვა საქართველო და მოსკოვს მიაშურა როგორც მისი ამალის წევრმა. მისი შვილიშვილი დიმიტრი კი გახდა რუსი სენატორი, ორდენების კავალერი, თანამშრომელი პლიუშერის ენციკლოპედიური ლექსიკონისა. მისი ავტორობით მრავალი სტატია გამოქვეყნდა რუსულ პრესაში. მასვე ეკუთვნის *«Словарь исторический о святых, прославленных Российской Церкви и о некоторых подвижниках благочестия, местно чтимых».* 1842 წელს ის დააჯილდოვეს დემიდოვის პრემიით. ამ ნაშრომს, ისევე როგორც მახვილგონიერებას დიმიტრი ერისთავისას, დიდად აფასებდა ა. ს. პუშკინი.

მალხაზ და მარიამ ანდრონიკაშვილების ნათესავებზე საუბართან დაკავშირებით არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მათი შორეული შთამომავალი გახლდათ ხელოვნების მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი ირაკლი კონსტანტინეს ძე ჯანდიერი (1928-2003). მისი ბებია თამარ გიორგის ასული ანდრონიკაშვილი კი იყო შვილიშვილი ნინო მალხაზის ასულ ანდრონიკაშვილისა და გიორგი ბეჟანის ძე არაგვის ერისთავისა[115]. ის ცოლად გაჰყვა ივანე ალექსანდრეს ძე ჯანდიერს. ცოლ-ქმარ ანდრონიკაშვილების ნათესავი იყო ასევე მუზეუმის თანამშრომელი, ცნობილი რესტავრატორი ანასტასია დავითის ასული ჯანდიერი (ქორწინებამდე ბარათაშვილი, დაბადებული 1888 წელს). ანასტასიას მეუღლე გიორგი ივანეს ძე ჯანდიერი (გარდაიცვალა 1924 წელს. მსახურობდა ტფილისის სათავადაზნაურო ბანკში) შთამომავალი იყო ივანე პაატას ძე ჯანდიერისა, მუზეუმში დაცული პორტრეტის პერსონაჟისა.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება პორტრეტი, რომელმაც

---

115 Думин С., Чиковани Ю.,... *Дворянские роды*.,... Москва, 1998, т. 4, стр. 264; Ю. Чиковани. *Князья Чавчавадзе*. Тбилиси, 2002, стр. 31.

გააერთიანა თავადთა ორი ძირძველი საგვარეულო. ვგულისხმობთ ივანე პაატას ძე ჯანდიერის პორტრეტს, რომელიც დახატა XIX საუკუნის შუა წლებში მხატვარმა, ვინმე ანდრონიკაშვილმა[116]. მხატვრის სახელი და მონაცემები შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ უცნობი იყო ამ პორტრეტის საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში შემოსვლის დროისათვის, ანუ 1910-1912 წლების შემდეგ და დღესაც. პორტრეტირებული გამოსახულია მუხლამდე, შავოლემოვლებულ თეთრ ახალუხში, დოინჯშემოყრილი მარჯვენა ხელით. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, თხელ-თხელი, დიდთვალება, კეხიანი ცხვირითა და კარგად თავმოვლილი გრძელი (შეღებილი) ულვაშებით. ეს შესანიშნავი პორტრეტი უცილობლად XIX საუკუნის პირველი ნახევრის ტფილისური სამხატვრო სკოლის ნიმუშთაგანია. და საოცარია, რომ მისი ავტორი, უდავოდ, ნიჭიერი, პროფესიონალი ფერმწერი, გვარად ანდრონიკაშვილი, დღემდე უცნობია ქართველი ხელოვნებათმცოდნეებისათვის. მის ფუნჯს, უცილობლად, სხვა პორტრეტებიც ეკუთვნის, რომელთა ავტორები ჯერ კიდევ ანონიმურნი რჩებიან.

ივანე ჯანდიერის პორტრეტი თავის დროზე მუზეუმს გადასცეს მოდელის შვილებმა – ვლადიმერმა და ალექსანდრემ სოფელ ვაჩნაძიანიდან (კახეთი). მათგანვე შემოვიდა მათი მამის მეორე აკვარელური პორტრეტი მხატვარ პიერ ბლანშარისეული ხელმოწერით ფრანგულ ენაზე – „ყვარელში ბრწყინვალე მიღების მოგონებათა ნიშნად.“[117] მეფის მდივანბეგის[118] – ივანე პაატას ძე ჯანდიერისა (1812-1881) და ბარბარე იოსების ასულ ქობულაშვილის ვაჟი დაქორწინებული იყო ბარბარე ივანეს ასულ ბარათაშვილზე (1815-1896). დიდი ალბათობით, მალხაზ ანდრონიკაშვილის ერთ-ერთი შთამომავალი ირაკლი ჯანდიერი შვილიშვილად ერგებოდა ივანე პაატას ძე ჯანდიერს. რაც შეეხება მხატვარ ანდრონიკაშვილის პიროვნებასა და მის ნათესაურ სიახლოვეს მალხაზ ანდრონიკაშვილთან, ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება.

მალხაზ ანდრონიკაშვილის ოჯახის წევრებს ჰქონდათ გამორჩეულად არაერთგვაროვანი, ზოგჯერ პარადოქსული ბედიც კი, მჭიდროდ

---

116 ტილო, ზეთი. 38x30. შეტანილია ალბომში: *XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული ფერწერა* (მ. ციციშვილის შესავალი წერილი). თბილისი, 1997, ილ. 28.

117 ფრანგი მხატვარი პიერ ბლანშარი 1856 წელს ჩამოვიდა საქართველოში მეფისნაცვალ ა. ი. ბარატინსკის თანმხლებ ამალასთან ერთად.

118 მდივანბეგი-უმაღლესი მოსამართლე სპარსეთში. XVII საუკუნის დასაწყისიდან შეცვალა (უზენაესი მოსამართლე) მსაჯულთუხეცესი საქართველოში.

დაკავშირებული XIX საუკუნის საქართველოს ბედთან. ყველა მათგანს მორალური ხასიათის სიძნელეები დაატყდა თავს, განიცადა აღზევება და დაცემა, მოუწია უცხოობაში, ერთმანეთისგან შორს, ყოფნა. თავი მოვუყარეთ რა პორტრეტებზე – „შაოსანი ჭაბუკი“ და „ბავშვიანი ქალი“ გამოსახულთა ბიოგრაფიულსა და ასევე მათს შორის არსებული ნათესაური კავშირების შესახებ არსებულ ცნობებს, იმავდროულად, განვსაზღვრეთ და გავაფართოეთ ამ პორტრეტების კულტურულ-საისტორიო მნიშვნელობა. შედეგად თავისთავად გაჩნდა კითხვა – სად და როდის შეიქმნა ისინი, ვინ შეიძლება ყოფილიყო მათი ავტორი? აქვე შევნიშნავ, რომ სურათები კი არ მიჰყიდეს[119] მუზეუმს, არამედ შესწირეს, კერძოდ, თინათინ ჯორჯაძემ, რისთვისაც მას საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის სახელით მადლობა გადაუხადეს ექ. თაყაიშვილმა და ალ. სარაჯიშვილმა[120].

მალხაზ ანდრონიკაშვილის ცხოვრების გარემოებანი, ასევე მარიამ არჩილის ასულთან ერთად გამოსახული მათი ვაჟის ასაკი, უწინარესად, გვაძლევს ვარაუდის საშუალებას, რომ ეს პორტრეტები უნდა შექმნილიყო არა უგვიანეს 1802 წლისა. ამ წელს მალხაზი ჯერ კიდევ სვირშია, იმერეთში, სადაც ჩადიან ამბოხებული ბატონიშვილები იულონი და ფარნაოზი, ასევე ელიზბარ ერისთავი. აქ ისინი იმედოვნებენ მხარდამჭერთა შეკრებასა და რუსეთის ჯარის წინააღმდეგ გალაშქრებას.

მომდევნო წელს მალხაზი უკვე თავს აფარებს ულუმბოს მთას[121]. მასთან იმყოფებიან თანამოაზრეები: თავადი გორჯასპ ნათალიშვილი (მეამბოხე ბატონიშვილ ალექსანდრეს უახლოესი ადამიანი), სოლომონ ამირეჯიბი და სხვები. ულუმბოს მთიდან მალხაზ ანდრონიკაშვილი სვირში დაბრუნდა მხოლოდ 1804 წელს. აქ 8 ივლისს გენერალი ლიტვინოვი შეხვდა მალხაზ ანდრონიკაშვილს. ამ უკანასკნელმა იგი პატივით მიიღო, ყველაფერი იღონა, რათა დაემტკიცებინა თავისი ერთგულება რუსეთისადმი, ასევე განუცხადა, თუ მას „სამოურავოდ ქართლს გადასცემდნენ“, მაშინ ის „მუშტში მოიმწყვდევდა ლეკებს“[122]. იმავდროულად, რუსეთის მმართველობას განზრახული ჰქონდა, რუსეთში გაეგზავნა იმერეთში წარჩინებული გვაროვნობის, ანუ სახიფათო ადამიანებისგან შემდგარი „დეპუტაცია“, მათ შორის,

119 ირ. კოშორიძე. *ზოგიერთი ახალი ცნობა ქართულ-ირანული ურთიერთობის შესახებ.* საქართველოს ხელოვნების მუზეუმის *ნარკვევები.* თბილისი, 2003, ტ. VIII, გვ. 119-120.

120 ექ. თაყაიშვილი, ალ. სარაჯიშვილი. *კახეთში მოგზაურობა არქეოლოგიური მიზნით (წერილი რედაქციის მიმართ).* გაზ. *„სახალხო გაზეთი“*. №404, 1911, გვ. 3-4.

121 ულუმბოს მთა პირველია ლიხის ქედზე, საჩხერის რაიონში.

122 Акты. Тифлис, 1870, т. IV, стр.385.

მალხაზ ანდრონიკაშვილი. სვირში უკვე იდგა რუსეთის ბატალიონი, სოლომონ II-ის ქუთაისის სასახლეში კი იმყოფებოდნენ რუსი ჯარისკაცები. 1802 წელს მალხაზის შვილი ივანე შვიდიოდე წლისაა. პორტრეტზე „ბავშვიანი ქალი“ ის ასევე მიახლოებით 7 წლისაა.
მომდევნო წლებში მალხაზს არ ეცალა პოზირებისათვის. ის გამუდმებით მიმოდიოდა დახმარების მოსაძიებლად და სამომავლოდ ანტირუსული ბრძოლის საწარმოებლად შესატყვისი ძალების შესაკავშირებლად. 1802 წელს მალხაზი იყო 29-30 წლის, მისი მეუღლე კი – 27-28 წლის. სოლომონ II იმერეთის ტახტზე ავიდა 1789 წელს. 1795 წელს კი იმერეთში საცხოვრებლად მიიწვია ცოლ-ქმარი, უბოძა მათ სვირის მამული. მარიამ არჩილის ასულს სწორედ ამ დროიდან 1810 წლამდე არ დაუტოვებია იმერეთის საზღვრები. აქედან გამომდინარე, პორტრეტები შეიძლებოდა შექმნილიყო ან იმერეთში (ქუთაისში ან სვირში), ან ახალციხეში.
ორივე პორტრეტი რეპრეზენტულია, ერთნაირად დიდი ზომის. ამიტომ ჩნდება კითხვა: განსაზღვრული ინტერიერისათვის ხომ არ შეიქმნა ისინი? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი გამიზნული იყო სოლომონ II-ის სასახლის მისაღები დარბაზისთვის. თავიანთი ზომებითა და სპარსული სამხატვრო სტილისტიკით ისინი სავსებით შეესატყვისებოდა ინტერიერს, რომლის კედლები დეკორირებული იყო სპარსული გემოვნების ფერწერით[123]. თანამედროვენი აღწერდნენ მეფის ორსართულიან ქვის სასახლესაც ლარად შელესილ-მობათქაშებული კედლებით, ძალზე სადად გამშვენებული ინტერიერით, ყოველგვარი მოხატულობისა და კედლებზე პორტრეტების გარეშე. სოლომონ II-ს ჰქონდა 2 სასახლე, ე. წ. ოქროს ჩარდახი კედლებშელესილი დიდი დარბაზითა და ირგვლივი დახურული ტალანით, სადაც იმართებოდა მიღებები და საუბრები ქვეშევრდომებთან. მეორე სასახლეც ორსართულიანი იყო. მისი მეორე სართული ქვის იყო, პირველი კი – ხის ორი საწოლი ოთახით, გარანდულ-მოშანდაკებული ხის კედლებით. არც სიმდიდრით, არც არქიტექტურით სასახლე არ გამოირჩეოდა.
შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცოლ-ქმარ ანდრონიკაშვილების პორტრეტები ამშვენებდა მათს სასტუმრო ოთახს სვირში, თუ, ცხადია, ის

---

123 კედლის ფერწერის კვალი ჩანს სოლომონ II-ის პორტრეტზე. მასზე მეფეს მოსავს ქართული ეროვნული სამოსი, რომლის ზემოდან მოსხმული აქვს ყარყუმის მოსასხამი. იხ.: *ბაგრატიონები.* თბილისი, 2003, გვ. 544, ილ. 205. სხვათა შორის, მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის ელჩმა ნიკიფორე ტოლოჩანოვმა 1650 წელს იხილა იმერეთის მეფე ალექსანდრეს მრავალოთახიანი სასახლე, რომელთა კედლებს ამკობდა იმერეთის მეფეთა ბრძოლების ამსახველი სცენები. მავანი თავადის სახლში კი მანვე ნახა სპარსული სტილის ფერწერა. იხ.: Е. Марков. *Очерки Кавказа*. Санкт-Петербург, 1904, стр. 28; მ. გონიკიშვილი. *იმერეთი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე.* თბილისი, 1979, გვ. 16.

მაღალჭერიანი და ფართო იყო, რადგან სურათების ზომები და დეკორატიული მონუმენტურობა ითვალისწინებდა მათთვის თვითკმარი სივრცის არსებობის აუცილებლობასა და აღქმას შორიდან. თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდად დარჩება, თუ ამ პორტრეტების („შაოსანი ჭაბუკი“ და „ბავშვიანი ქალი“) შექმნის თარიღად მივიჩნევთ 1810 წელს, როცა ანდრონიკაშვილების ოჯახი თითქმის 8 თვე (მარტიდან ნოემბრის ჩათვლით) ახალციხეში სახლობდა. მალხაზი, მართალია, დროდადრო აქედან მიემგზავრებოდა (მაისში – სპარსეთში, ივნისში – ჭალოვანში, ივლისში – კორტოხტში) და ისევ ბრუნდებოდა. მათი შვილი ამ დროისათვის 11 წლისა იყო (ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის დაიბადა 1798 წელს).

გავბედავ და წამოვაყენებ კიდევ ერთ ვერსიას ამ ორი პორტრეტის საწყისი „მისამართის“ შესახებ. საისტორიო ფაქტები ამტკიცებენ, რომ ქართველ არისტოკრატთა გამოსახვა შაჰის სასახლეებში, კედლის ფერწერულ პორტრეტებში, ასევე მინიატიურებსა და დაზგურ ფერწერაში არცთუ იშვიათი მოვლენა იყო.[124]

ეს იყო სპარსეთის მბრძანებელზე ვასალური დამოკიდებულების ან ქვეშევრდომთა მხრიდან გარკვეული დახმარებისა და დამსახურების გამო მის მიერ მათ მიმართ მადლიერების თავისებური გამოხატვა. ჩვენს შემთხვევაში პორტრეტების შეკვეთა შეეძლო მემკვიდრე უფლისწულს, რომელიც ტრადიციულად თავრიზს განაგებდა, ანუ აბას-მირზას. ის ემეგობრებოდა ბატონიშვილ ალექსანდრეს, მარიამ არჩილის ასულის ბიძას. ორივეს აკავშირებდა ანტირუსული ბრძოლა. უეჭველია, აბას-მირზა კეთილგანწყობილი იქნებოდა ალექსანდრეს ძმისშვილისა და ძმისშვილის მეუღლის მიმართაც. ეს უკანასკნელი ხომ მედგრად უპირისპირდებოდა რუსეთის ხელისუფლებას. თუმცა, შესაძლებელია, პორტრეტები შეიქმნა აბას-მირზას მამის, ფათალი-შაჰ ყაჯარის, ინიციატივითაც. მართალია, სპარსეთს ყოველთვის და განუხრელად ამოქმედებდა საკუთარი ეროვნული ინტერესები, მაგრამ, იმავდროულად, როცა აღმოსავლეთი საქართველო ოფიციალურად 1801 წელს მიიერთა რუსეთმა, სპარსეთი ეძებდა მოკავშირეებს დაუმორჩილებელ იმერეთის სამეფოში, რომლის ხელისუფალმა თავისი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად სპარსეთს მიაპყო მზერა[125].

ვინ უწყის, შეიძლება ანდრონიკაშვილების ოჯახის პორტრეტებმა

---

124 გავიხსენოთ, მაგალითად, ალექსანდრე ბატონიშვილის პორტრეტი (ერეკლე II-ის შვილის) ნიგარისტანის სასახლეში.

125 ზოგჯერ თურქეთსაც, ზოგჯერ კი ორივე ქვეყანას, რომელთა ზურგს უკან, სხვათა შორის, იდგა ინგლისი და საფრანგეთი.

სამხედრო-პოლიტიკურ გარემოებათა გამო ვერ ჩააღწია დანიშნულების სავარაუდო ადგილს (თავრიზისა თუ თეირანის სასახლეს), მაგრამ უფრო უპრიანია, ვიფიქროთ, რომ ისინი განკუთვნილი იყო ადგილობრივი ინტერიერისათვის იმერეთში. შეიძლება, როცა მარიამ არჩილის ასული იძულებელყვეს შვილებთან ერთად ჩამოსულიყო ტფილისში მწირი საოჯახო ქონებით, მან თან წაიღო პორტრეტებიც, რომლებიც მისთვის, მეუღლესთან იძულებით განშორებულისა და მრავალწლიანი, იქნებ სამუდამოდაც კი, გაუსაძლისი გადასახლების მომლოდინისათვის, ფასდაუდებელ საოჯახო რელიკვიად იქცა. ვორონეჟში მისი გამგზავრების შემდეგ პორტრეტები, უდავოდ, მის უახლოეს ნათესავებთან ინახებოდა, მაგრამ როგორ, როდის და რატომ „დაივანეს“ მათ მელაანში? რატომ გახდნენ პორტრეტების მფლობელნი შედარებით შორეული ნათესავები და არა პირდაპირი შთამომავლები, მალხაზ და მარიამ ანდრონიკაშვილების შვილიშვილები, რომელთა მამულები სოფელ მელაანიდან არცთუ შორს მდებარეობდა? ასეა თუ ისე, პორტრეტები ინახებოდა მალხაზის უფროსი ძმის-იოსებ ანდრონიკაშვილის ოჯახში. ალბათ ამ პორტრეტების ბედიც ისეთივე რთული და განუჭვრეტელი იყო, როგორიც ცხოვრება მათივე მოდელებისა.

არცთუ ხანიერი ქართული სახელოვნებათმცოდნეო ტრადიციის თანახმად, ანდრონიკაშვილების ოჯახის პორტრეტები განიხილება დაზგური ფერწერის ნიმუშებად. ერთი მხრივ, ამაზე მიუთითებს წერის ტექნიკა-ტილო, ზეთის საღებავები, მოდელირების გარკვეული რელიეფურობა, სურათების რეპრეზენტულ-საზეიმო ხასიათი. პორტრეტების ამგვარ სტრუქტურაში ვლინდება დასავლეთევროპული დაზგური ფერწერის გავლენის ნიშნები, რასაც სამართლიანად აღნიშნავდა შალვა ამირანაშვილი.[126] მეორე მხრივ, პორტრეტები შეიძლება მივაკუთვნოთ სურათების იმ განსაკუთრებულ ჯგუფს, რომლებიც სრულდებოდა ზეთით ტილოზე, მაგრამ გაეკვრებოდა სასახლის დარბაზის კედლის ზედაპირს მონუმენტურ-დეკორატიული მოხატულობის სახით. ამგვარი რამ დამკვიდრებული იყო არა მარტო სპარსეთში, არამედ საქართველოში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებშიც. ერთ-ერთ სურათზე შალვა ამირანაშვილმა აღმოაჩინა ბათქაშის კვალი. მანვე ახსენა ვარაუდი, რომ ისპაჰანის 40 სვეტიანი სასახლის ფერწერა, თავდაპირველად, შესრულებული იყო ტილოზე ზეთით და მერე გაკრული კედლებზე.

---

126 Ш.Я. Амиранашвили. *Иранская живопись. XVIII-XIX вв.* Тбилиси, 1941, стр. 25.

სურათთა ამ ჯგუფს მიაკუთვნებდა შალვა ამირანაშვილი (წყვილ) პორტრეტებს – „ქალიშვილი სურითა“ და „ქალიშვილი სარკით“ («Девушка с кувшином» და «Девушка с зеркалом»), რომლებიც ამშვენებდნენ შენობის ნიშას ან შუა კედელს.[127] კედლის მოხატულობის ძველი ტრადიციისათვის დამახასიათებელი ნიშნები ვლინდება ჩვენს პორტრეტებშიც, კერძოდ, ფერადოვანი ლაქების ლოკალურობა, ზედმიწევნითი გამოწერა ქამრისა და ხანჯლის ნაყშების (სურათში „შაოსანი ჭაბუკი“), სასურათე სიბრტყის მაქსიმალური შევსება გამოსახული ფიგურებით, საერთო აბრისი და ფიგურათა სილუეტურობა, მათი ხელების ჟესტი და თავების ბრუნი, წერის გლუვი ფაქტურა და, ბოლოს, ფიგურათა მოზრდილი ზომები და მათი განთავსება ვერტიკალურად. პორტრეტები რომც არ ყოფილიყო კედლებზე გაკრული, ისინი შეიძლება, უბრალოდ, ქვეჩარჩოებში ჩასმულნი, მაქსიმალურად კედელმიბჯენილნი ეკიდნენ, რათა შექმნილიყო კედლის მოხატულობის შთაბეჭდილება. კედლის მოხატულობა უძველესი დროიდანვე პოპულარული იყო სპარსულ ხელოვნებაში (აბას დიადის მმართველობის პერიოდში, 1587-1628). მას ქმნიდნენ სპარსეთში ჩამოსული ევროპელი მხატვრებიც, რომელთაც ადგილობრივი მხატვრები ბაძავდნენ. XVIII ს-დან დაიწყეს ზეთის ფერწერის ტექნიკით შესრულებული უზარმაზარი სურათებით სასახლეთა კედლების გამშვენება. ისინი ჩარჩოიანად თავსდებოდა ნიშებში ან კედლებზე იკიდებოდა.[128] ტილოებზე გამოსახულ პერსონაჟთა რიცხვი შემცირდა (ერთი ან ორი ლამაზი ადამიანი), თუმცა მამაკაცი პერსონაჟები კვლავ ინარჩუნებდნენ ქალურ იერს იმდენად, რომ ხანდახან შეუძლებელიც კი იყო მამაკაცის გარჩევა ქალისაგან. ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გამო, მე არ მივიჩნევდი ანდრონიკაშვილების ოჯახის პორტრეტებს უცილობელ დაზგურ ნაწარმოებებად. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ მონუმენტური (კერძოდ, კედლის მხატვრობა XIX საუკუნის დასაწყისისათვის) ფერწერა დაცემას განიცდიდა საქართველოშიც და სპარსეთშიც. განვითარებადმა დაზგურმა ფერწერამ კი ჰპოვა დასაყრდენი პრინციპული ხასიათის მის თვისებებში-მონუმენტურ ფერწერას ახასიათებს გარემო პირობებში მისი „ჩართვა“ (სურათების დისტანცირებული ხილვა, განათების ხასიათი, ზომები-მონუმენტური

---

127 ამის შესახებ იხ.: მ. სმიტი. *სპარსული ხელოვნება*. ლონდონი, 1876, გვ. 78 (ინგლისურ ენაზე), ასევე სპარსეთში გ. კეპელის, ფ. შობერლისა და XIX საუკუნის სხვა მოგზაურთა ნაშრომები.

128 ზაკი მოჰამედ ჰასანი. *ირანის ხელოვნება (ისლამისშემდგომი პერიოდი)*. თეირანი, 1920, გვ. 48; Ш.Я. Амиранашвили. *Иранская станковая живопись.* Тбилиси, 1940, таб. XXVI, XXVII.

ფერწერის სახასიათო ნიშნებია).
სიუჟეტურ-თემატური პირობითობა (ამ შემთხვევაში განსახილველი პორტრეტებისაც) საჭიროებდა კონკრეტულ ინტერიერს, მათი განთავსების თავისებურ პირობებს. პორტრეტების ფორმა-ზომა გათვლილი იყო შორეული კუთხიდან, წერტილიდან ხედვაზე. ამითაა განპირობებული სტატიკური ფიგურების ე. წ. მსხვილი ხედით გამოსახვა სურათებზე – „შაოსანი ჭაბუკი“ და „ბავშვიანი ქალი“. კოლორიტსაც, ძირითადად, გლუვფაქტურიანი და მოზრდილი ფერადოვანი ლაქები ქმნის, შესრულებული ტემპერის ტექნიკით თაბაშირის ლევკასზე. მონუმენტურობა – ესაა გამოხატვა გარკვეული მსოფლაღქმისა, რომელსაც ვერ შექმნის უცხო სამხატვრო გამოცდილება. დიახ, იმ პორტრეტებზე აღბეჭდილია შეჩერებული დრო, წამიერება, დამახასიათებელი დაზგური ფერწერისათვის, მაგრამ პერსონაჟები გამოსახულნი არიან რეალური დროის მიღმა, თითქოსდა მარადისობაში (მიუხედავად გარეგნული დინამიზმის გამოვლენისა). ეს კი უკვე სახასიათოა მონუმენტური ხელოვნებისათვის.
ვუწოდებთ რა ამ პორტრეტებს საოჯახოს, აუცილებელია გავცეთ პასუხი კითხვას: რატომ არ არიან გამოსახულნი მშობლები და შვილები, ყველანი ერთად, ერთ ტილოზე? უპირველეს ყოვლისა, ცალკეული, ინდივიდუალური პორტრეტების შექმნის უფლებას იძლეოდა პორტრეტირებულთა არისტოკრატიული წარმომავლობა, თითოეული მშობლის დიდგვაროვნება და მნიშვნელოვნება. მათი ვაჟის დამოუკიდებელი პორტრეტის შექმნა ძალზე ადრე იყო, რადგან მას მცირეწლოვნების გამო ჯერ კიდევ არ ჰქონდა დედ-მამის მსგავსი სოციალური მდგომარეობა. ბავშვი მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მათ გვერდით. გარდა ამისა, ოჯახურ-ჯგუფური გამოსახულებანი საქართველოსა და სპარსეთში საერთოდ ძალიან იშვიათად იქმნებოდა. „შაოსანი ჭაბუკი“ და „ბავშვიანი ქალი“ იდენტურნი არიან თავიანთი მხატვრული სტილისტიკითა და წერის მანერით. ამიტომ მიღებულია, მათ ავტორად დასახელდეს ერთი და იგივე მხატვარი. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ეს პორტრეტები ერთგვარად არ შეესაბამება XIX საუკუნის საქართველოსა და სპარსეთის ფერწერული პორტრეტების სტილს. ამის გამო საფიქრებელია, ვინ შეიძლება ყოფილიყო მისი ავტორი, რომელმაც არ დაგვიტოვა ანალოგები? რთულია, ორივე პორტრეტი ამა თუ იმ სამხატვრო სკოლას მივაკუთვნოთ. ისინი ნიმუშებია ჰეტეროგენული კულტურისა. ამიტომ შეუძლებელია მათი ანალიზისას უპირატესად მივიჩნიოთ მათი ან მხოლოდ სპარსული,

ან მხოლოდ ქართული წარმომავლობა. თუმცა, ზოგჯერ გეჩვენება, რომ მათში სპარსული ელემენტი მძლავრობს. ამ სურათების პერსონაჟთა გამოსახვა სპარსული სამოსით (ქართული კოსტიუმის დეტალებით), სილამაზის სტილიზებული სპარსული ეტალონის დაცვით, მაგრამ ქართული იერსახით (XVI საუკუნის მხატვარ ბეჰზადეს მიბაძვით დამკვიდრდა და მომდევნო საუკუნეებშიც წესად იქცა ტანკენარი, ლამაზი კაცებისა და ქალების გამოსახვა) მაინც არ გვაძლევს საფუძველს, რომ ეს ორი პორტრეტი მივაკუთვნოთ ან ქართულ, ან სპარსულ სამხატვრო სკოლას. მხატვარი, როგორც შემოქმედი, შეუძლებელია „მყოობდეს“ თავის ნაწარმოებში, ასე ვთქვათ, ნაწილობრივ, ფრაგმენტულად (კოსტიუმის, აქსესუარების, კოლორიტის, კომპოზიციისა და ა. შ. მეშვეობით). ის ყოველთვის „არსებობს“ მხოლოდ ერთიან ნაწარმოებში, მისი, როგორც შემოქმედის არსს განსაზღვრავს არა მხოლოდ ტექნიკური აპარატი, ხერხები, არამედ თავად შემოქმედებითი პროცესის ლოგიკა. ტექნიკური ხერხები სიმბოლოებია, ისინი ფორმას ეხება, ფორმისეულია. მხატვრული ნაწარმოების ატრიბუციისას მნიშვნელოვანია სახეების ერთიანი-ემოციური გამოხატვა, ფერწერის ობიექტის თანაგანცდის, მასთან თანაზიარების მხატვრისეული უნარი. ეს კი მიიღწევა არა იმდენად პროფესიული განსწავლის შედეგად, არამედ უფრო მეტად განპირობებულია მხატვრის ესთეტიკური მსოფლხედვით, რაც მას ეძლევა თავისი ქვეყნის ძირძველი ეროვნული ტრადიციის წყალობით. სპარსული ფერწერა, უწინარესად, სამშვენისის ფუნქციას ასრულებდა. ეს იყო მისი მთავარი დანიშნულება. უმთავრესი მასში იყო არა ფსიქოლოგიურად მეტყველი პერსონაჟის, არამედ ზოგადი სილამაზის გამოსახვა[129]. პერსონაჟის სახე არ გადმოცემდა ადამიანის გრძნობებს, მის ხასიათსა თუ განცდებს. სპარს მხატვართა ნამუშევრებში, ასე ვთქვათ, ოსტატის ხელი უფრო ფასობს, ვიდრე გონება. ეს საშუალებას იძლევა, წინამორბედთა ტრადიციის, მათი ხელოვანობა-ოსტატობის საიდუმლოს უერთგულო.

პორტრეტი „შაოსანი ჭაბუკი“ სავსებით შეესატყვისება ეპოქისა და ჟანრის სტილისტურ-მხატვრულ მოთხოვნებს, ავლენს გარკვეულ სიახლოვეს ადრეულ ყაჯარულ პორტრეტთან. კომპოზიცია და სტილი მკაცრად რეგლამენტირებულია. პორტრეტში იკითხება ერთგვარი სიცხადე, რაც სტილისტურ ასკეტიზმამდეც დადის, მიუხედავად იმისა, რომ პორტრეტში სპარსული (ისპაჰანური) ფერწერისათვის სახასიათო

[129] შევნიშნავთ, რომ სპარსი მხატვრები ისტორიულ პირთა პორტრეტებს დიდოსტატურად ხატავდნენ.

ისეთი ელემენტების სიჭარბეა, როგორებიცაა ფიგურის მინაზებული იერი, თლილი თითები, კეკლუცი კულულებით მოჩარჩოებული სახის ნაზი ნაკვთები, კომპოზიციური აგების დინამიკა, მაღალი, ტანკენარი ფიგურის (შეიძლება არც თანმხვედრი რეალური პიროვნების სიმაღლისა) მკვეთრი სილუეტური კონტური პორტრეტს მაინც ენერგიულ ხასიათს აძლევს. ყმაწვილის კეთილშობილური ასკეტიზმის შთაბეჭდილებას აძლიერებს მისი ადრეყაჯარული ყაიდის სამოსის შავი ფერი. ის პორტრეტის მთავარი გამორჩეული ნიშანია, რამეთუ შავი ფერი მიუღებელი იყო სპარსული ფერწერისათვის (თუმცა არსებობდა გამონაკლისიც, მაგალითად, თავრიზული სამხატვრო სკოლა). სამოსის შავი ფერი უნდა აიხსნას მოდელის გემოვნებით ან მოდელისა და მხატვრის ერთდროული შეთანხმებით. მით უმეტეს, თუ პორტრეტის ავტორი იყო მუსულმანი, რადგან ისლამში შავი ფერი ითვლება შურისძიების ფერად („შაოსანი ჭაბუკის“ მოდელს კი, ანუ მალხაზ ანდრონიკაშვილს, შურის საძიებელი მართლაც რომ ბევრი რამ ჰქონდა), ამავე დროს, ის სიმბოლიზდება ამქვეყნიური ამაოებისგან განრიდებასთან. შავი ფერი, როგორც მწუხარების ფერი, როგორც ცნობილია, სიმბოლიზდება ახლობლის დაკარგვასთანაც, საშინელ წინასწარმეტყველებასთან[130]. შავ ფერს აქვს უნარი, „ამოგლიჯოს“, გამოყოს საგნები კონკრეტული გარემოდან და აქციოს ისინი უმთავრესადაც კი. ის უფრო რელიეფურსა და ნათელს ხდის მეზობელ, მომიჯნავე ფერებს, რომლებიც თავშეკავებითაა წარმოდგენილი ორივე პორტრეტის (ქამრების, სამოსის კანტების ნაყში და ა. შ.) საერთო კოლორიტში და არ ახშობს მათს ტონალობას. როგორ არ წამოგვაგონდეს აქ ფიროსმანი, ასე გენიალურად და თავშეკავებით რომ იყენებს შავ ფერს თავის ნაწარმოებებში.

ურთიერთდაპირისპირებულთა–თეთრი და შავი ფერების ერთიანობის პოზიტიურ მხარედ წარმოგვიდგება ჭაბუკის მკერდზე თეთრი, თხელი ქსოვილის საგულე. ის მოჩარჩოებულია შავი ოლეთი. სხვათა შორის, ეს პერანგი არაა[131], რადგან მაყურებლისგან მარცხენა მხრიდან მოჩანს მისი განაპირა მხარე, დასრულებული შავი ოლეთივე. თითქოს პერსონაჟის ხელისა თუ სხეულის მოძრაობის გამო სხეულის ეს ნაწილი მოშიშვლდა.

პერსონაჟთა ამგვარი ჩაცმულობა ხშირად გვხვდება ადრეყაჯარულ

130 Дж. Тресиддер. *Словарь символов*. Москва, 1999, стр. 410.

131 ირ. კოშორიძე. *ზოგიერთი ახალი ცნობა ქართულ-ირანული ურთიერთობის შესახებ*. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის *ნარკვევები*. თბილისი, 2003, ტ. VIII, გვ. 111.

ფერწერაში. შავი, გრძელი, წელგამოყვანილი სამოსი გრძელი და ვიწრო სახელოებით მოკლებულია რაიმე ორნამენტს, მაგრამ მასში შეტანილია დეკორატიული აქცენტები: მოჩითულ-ნაყშიანი სპარსული (ქირმანული)[132] ქსოვილის განიერი ქამარი და მისგან დაშვებული ორნამენტირებული წვრილი ზონარი–ყაჯართა ეპოქისათვის ტიპური მამაკაცის სამოსის აქსესუარი, ქცეული დიდგვაროვანთა ატრიბუტად. დეკორატიული აქცენტია ასევე ორნამენტირებულ-მოოჭვილი (მინანქრით?, ძვირფასი ქვებით?) ხანჯლის ტარის თავი ქამრის უკნიდან და ერთი მხრიდან შეჭრილი სამოსის მოჩითულივე ქსოვილის გრძივი ჩანართი, ჩაქი. ყველა ეს დეტალი, როგორც მოჩითული ქსოვილითვე გაწყობილი ქუდი, ხაზს უსვამს სურათზე – „შაოსანი ჭაბუკი“ პორტრეტირებულის დიდგვაროვნობას. შალვა ამირანაშვილი მიუთითებს პერსონაჟის კოსტიუმის კიდევ ერთ დეტალზე. მას ქამრის უკნიდან საათი მოუჩანს. საათის ისარი დგას რომაულ ციფრებს – III-სა და IV–ს შორის[133], მაგრამ ეს ციფრები იმდენად ბუნდოვანია, რომ ძნელია ამტკიცო სურათზე საათის არსებობა.

ჭაბუკს ახურავს მაღალი, კონუსისებური ქუდი (ალბათ, ბეწვის), ფეხზე აცვია გეევე. ერთი ცხვირწამახული და ცხვირაპრეხილი შავი გეევე მოჩანს სამოსის ქვემოდან. აღვნიშნავ, რომ მას თითები ინით აქვს დაფერილი. ეს მიღებული იყო საქართველოშიც, კერძოდ, იმერეთში და ამას მოწმობს მრავალი ავტორი. და კიდევ ერთი: ისე, როგორც მოსავს პერსონაჟს სურათზე „შაოსანი ჭაბუკი“, იმოსებოდნენ მამაკაცები ისპაჰანში (სპარსეთის სხვა ქალაქებშიც) XIX საუკუნის დასასრულამდე.

პორტრეტირებულის სახის მკაცრი გამომეტყველება და კეთილ-შობილური ასკეტიზმი ხაზგასმულია სურათის ერთგვარი პირქუში (თუმცა, ნეიტრალური) ფონით. ის პირობითად დაყოფილია ჰორიზონტალურ–ზედა (შედარებით ნათელ) და ქვედა (შედარებით მუქ) ნაწილებად. თუმცა, ირ. კოშორიძე[134] ამტკიცებს, რომ მთელი ტანით წარმოდგენილი ჭაბუკი გამოსახულია ღია აივანზე და ღრუბლიანი ცის ფონზე.[135] მე ეს მოსაზრება არასწორად მიმაჩნია. ასეთი ხერხით

---

132 თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი დ. ციციშვილი ამბობდა, რომ ამგვარ ქამარს ძველად უწოდებდნენ «Курдский пояс»-ს.

133 Ш.Я. Амиранашвили. *Иранская станковая живопись*. Тбилиси, 1940, стр.20.

134 ირ. კოშორიძე. *ზოგიერთი ახალი ცნობა ქართულ-ირანული ურთიერთობის შესახებ*. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის *ნარკვევები*. თბილისი, 2003, ტ. VIII. გვ. 110-111.

135 შ. ამირანაშვილი მიუთითებდა, რომ ორივე პორტრეტის ფონი ცისფერია. Ш.Я. Амиранашвили. *Иранская станковая живопись*. Тбилиси, 1940, стр. 19-20 *)*. ამის მტკიცება დღეს ძნელია, რადგან ფერწერული ფენა საგრძნობლად ჩაშავდა.

ფონის გამოსახვით მხატვარი ცდილობდა, შეექმნა კედელში ფანჯრის სივრცის ილუზია. ეს ხერხი ტრადიციულად გამოიყენებოდაა გვიანდელ სპარსულ ფერწერაში. ამგვარი მხატვრული იმპულსი გაითავისა XIX საუკუნის ტფილისური ფერწერული სამხატვრო სკოლის გამომსახველობითმა სისტემამ, რისი მაგალითიცაა ამ სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის-მხატვარ აკოფ ოვნათანიანის მიერ შექმნილი პორტრეტები.

პორტრეტის – „შაოსანი ჭაბუკის“ მეწყვილე სურათი „ბავშვიანი ქალი“ ასევე პასუხობს ქალის სილამაზის სპარსულ იდეალს. თუმცა ქალის სახეზე არ შეიმჩნევა მოჭარბებული კოსმეტიკური საშუალებები (სურმა, თეთრა, ხნა, შეფაკლული ლოყები, ბასმა, ხალი სახესა და მკერდზე.....), რასაც ხმარობდნენ სპარსი ქალები. მას არა აქვს მოხატული თვალები შავი საღებავით, რისი მეშვეობითაც იდიდებდნენ და იგრძელებდნენ თვალების ფორმას. ლოყები და ტუჩები ზომიერად ვარდისფერია, ფრჩხილები (და არა ხელისგულები) დაფერილია ხნით. მოდელის სახე ოვალურია, მაგრამ არა მთვარისებური, ხშირი თმა კარგადაა მოვლილი, დახვეული და მხრებქვემოთ დაშვებული. უხვი კოსმეტიკის არარსებობა შეიძლება მიგვანიშნებდეს ქალის არასპარსულ წარმომავლობაზე. ცხვირზემოთ შეუყრელი წვრილი წარბების მოხაზულობა, თვალების, ცხვირისა და ბაგეების ჭრილი, სახის ოვალი მოდელის უფრო ქართულ წარმომავლობაზე მეტყველებს. ქალის სპარსული სილამაზის იდეალისთვის აუცილებელი იყო 9 სამკაული. სურათზე კი „ბავშვიანი ქალი“ მოდელს აქვს მხოლოდ თავსამკაული მარგალიტების ბმულით, მარგალიტებასხმული სამ-კაული და ფრთების (ალბათ ეგზოტიკური ფრინველის) ჯიღა[136], მკერდსამაგრი, ყელსაბამი და საყურეები. ბეჭდები ხელზე არ უკეთია. მოდელს აცვია წელგამოყვანილი და ვიწრომკლავიანი შავი კაბა. კაბის კალთა ბოლოვდება ხშირშეყრილი, მინაოჭებული თეთრი ქსოვილით, რომლის ქვემოდან მოჩანს წითელი გევეს წამახული ცხვირი. კოსტიუმის საზეიმო იერს ხაზს უსვამს მოჩითულ-ნაყშიანი სპარსული ქსოვილის ფართო, გრძელი ქამარი, მსხვილი, მწკრივა შესაკრავები ზედაკაბაზე, ზემოდან მოკლე ქათიბი, გაწყობილი ვერცხლის სირმითა და კვერნის (?) ბეწვით. კოსტიუმს ასრულებს თეთრი, გამჭვირვალე, ნაყშიანი თავსაბურავი (შეიძლება წელს ქვემოთ დაშვებული). ფონი, რომელზეც გამოსახულია ახალგაზრდა ქალი,

[136] თურქულად ჯიღა მამლის ბიბილოს ნიშნავს. ჯიღა გამოიყენებოდა სადღესასწაულო-საზეიმო შემთხვევებისთვის დიდგვაროვანთა მიერ. მზადდებოდა ოქროსა და ვერცხლისაგან და მოოჭვილი იყო ძვირფასი თვლებით.

იდენტურია „შაოსანი ჭაბუკის“ ფონისა. მხოლოდ სურათის ქვედა ნაწილია ოდნავ თბილი, ყავისფერი ტონალობის. ერთგვარი ზღვარი ორივე სურათის ზედა და ქვედა ნაწილებს შორის აბსოლუტურად ერთ ხაზზეა – ფიგურათა წელს ქვემოთ. ვფიქრობ, რომ, თუ თავის დროზე ორივე პორტრეტი ერთმანეთის გვერდით ეკიდა, მარცხნივ „შაოსანი ჭაბუკი“ იყო განთავსებული, მარჯვნივ კი – „ბავშვიანი ქალი“, ისე, როგორც ეს იყო ჩაფიქრებული მხატვრის მიერ. სურათების ამგვარი განთავსება ქმნიდა ლოგიკურ კომპოზიციას მშობლებთან, რომელთა შორის, ცენტრში, დგას მათი მცირეწლოვანი ვაჟი, თითქოს გამაერთიანებელი მშობლებისა როგორც აზრობრივი, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში მშობელთა ფიგურები შვილის ფიგურის ფლანკირებას ახდენენ.

ბიჭის ფიგურა და სახე თითქოს ნაკლებ ოსტატურად, არაპრო-პორციულადაა გამოწერილი. ზრდასრული მამაკაცის მსგავსი სპარსული სამოსით შემოსილს ხმალიც (სათამაშო)[137], როგორც ზრდასრულსვე, მარჯვენა ხელში უჭირავს. მის მოუხეშავ, მსხვილნაკვთიან სახეს არაბავშვური, ერთგვარი გაავებული გამომეტყველება აქვს.ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს მისი ქუთუთოებშეშუპებული, წამოკარკლული თვალების მზერა. ეს თავისებურება შესამჩნევია ჭარმაგი ივანე ანდრონიკაშვილის პორტრეტებზეც. მიუხედავად ამისა, ბიჭი სურათზე „ბავშვიანი ქალი“ გამოიყურება გულამაჩუყებლად მარცხენა ხელის წყალობით, რომლითაც იგი ებღაუჭება მის თავზე დადებული დედის მარჯვენა ხელს. ეს ჟესტი, ერთდროულად „ცოცხალი“ და პირობითი, აერთიანებს პერსონაჟებს, გვატყობინებს, რომ მათ აკავშირებთ ნათესაობა. ეს ჟესტი შეიძლება აღვიქვათ როგორც დედაშვილური ურთიერთსიყვარულის, მათი ერთსულხორცობის გამოხატვა, თუმცა ბიჭის მარცხენა ხელის მოძრაობა (სახის უკმაყოფილო გამომეტყველებაც) შეიძლება ჩავთვალოთ ბავშვის ახირებულ რეაქციად, სურვილად, გამოიყურებოდეს მოზრდილად და თავი დააღწიოს დედის მზრუნველ კალთას. ასეა თუ ისე, დედა-შვილის ჟესტები ერთადერთი ემოციური დეტალია ამ რეპრეზენტულ პორტრეტში. ის სურათს, ასე ვთქვათ, აცოცხლებს, გვიჩვენებს, რომ დედური გრძნობები ერთადერთი ვაჟისკენაა მიმართული. და ეს მაშინ, როცა თავად დედის სახე გრძნობადაცლილია, თავიც კი გვერდით

---

137 შ. ამირანაშვილი მას „ჯოხად“ მოიხსენიებს. Ш.Я. Амиранашвили. *Иранская станковая живопись*. Тбилиси, 1940, стр. 19.

აქვს მიტრიალებული, მზერა კი-მაყურებლისაკენ მიპყრობილი. დედა-შვილის ხელების მოძრაობა „ცხოვრებისეულია“ და ამყარებს აზრს, რომ პერსონაჟები ზოგად-პირობითნი კი არ არიან, არამედ მათ ჰყავთ რეალური პროტოტიპები. მათი სახასიათო სახეები მოდელებთან დიდი მსგავსებითაა დახატული.

ზემოთ დიდი თავდაჯერებით ვწერდით განსახილველი პორტრეტების შექმნის დროისა და ადგილის შესახებ: ახალციხე. 1810 წელი (მარტიდან დეკემბრის შუალედში), სავარაუდოდ, პორტრეტების შემქმნელი ფათალი-შაჰის ან მისი შვილის-აბას მირზას, ბატონიშვილ ალექსანდრეს მეგობრისა და თანამზრახველის, სასახლის სახელოსნოს წრიდან იყო. ხანგამოშვებით ეს მხატვრები (ქართველები თუ სპარსები) ლუკმაპურის საშოვნელად ან უმაღლეს ხელისუფალთა ნებით მუშაობდნენ, ან ოსტატობაში ხელგასაწაფავად სპარსეთიდანაც მიემგზავრებოდნენ. ცნობილია, მაგალითად, რომ აბას-მირზასთან დაახლოებული მირზა-სალეჰი სთხოვდა რუსეთის ხელისუფალთ, რომ მასთან მყოფი მხატვარი მამედ-ჯავარი ოსტატობის სრულყოფის მიზნით ჩაერიცხათ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში[138].

ანდრონიკაშვილის ოჯახის პორტრეტების სავარაუდო ავტორი შეიძლება ჩამოჰყოლოდა ახალციხეში სპარსეთის მრავალრიცხოვან ჯარს 1810 წელს[139] (ახალციხეში კი ამ დროს უკვე იმყოფებოდა ანდრონიკაშვილების ოჯახი). მათი ოჯახის პორტრეტების შემქმნელად შეიძლება ვიგულისხმოთ ფათალი-შაჰის პორტრეტის (1813)[140] დამ-ხატავი გულამი-ალი-მეჰრა ან კიდევ აბას-მირზას პორტრეტის (1816) ავტორი, ყაჯართა დინასტიის სახელგანთქმული მხატვარი ალაჰვერდი აფშარი. ამ პორტრეტზე აბას მირზას „შაოსანი ჭაბუკის“ პერსონაჟის მსგავსი წელგამოყვანილი, ვიწრომკლავებიანი, მარჯვნივ შეჭრილი, შავი ფერის სამოსი აცვია მოჩითულ-ნაყშიანი სპარსული ქსოვილის ქამრით. თუმცა, აბას-მირზას სამოსი და ხანჯალი უფრო მდიდრულადაა დეკორირებულ-გაწყობილი. მსგავსება შეინიშნება სხვა რამეშიც: ფიგურების მთელი ტანით წარმოდგენა, მათი სხეულებისა და თავების ბრუნი, დოინჯშემოყრილი მარჯვენა ხელი (ოღონდ აბას-მირზას თითები მომუშტული აქვს)[141].

ძალზე მაცთუნებელია, რომ ანდრონიკაშვილების ოჯახისა და ივანე

---

138 ის 1822 წელს სრულად უზრუნველყვეს.

139 მასთან ერთად მოვიდა ბატონიშვილი ალექსანდრეც.

140 ინახება ერმიტაჟში (სანკტ-პეტერბურგი).

141 А. Адамова. *Две картины позднекаджарского периода*. Сборник *Средняя Азия и Иран.* Ленинград, 1972, стр. 170.

პაატას ძე ჯანდიერის პორტრეტთა ავტორად ერთი და იგივე მხატვარი მივიჩნიოთ. თუმცა, ამ მხატვრის შემოქმედების შესახებ ყოველგვარი ინფორმაციის არარსებობა ამ სურვილსა და ვარაუდს აქარწყლებს.
საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ამ ორი პორტრეტის შესახებ გამოქვეყნებულ ბოლო პუბლიკაციებსაც არ შეაქვთ საკმაო არგუმენტირებული სიცხადე მათი ავტორისა და შექმნის თარიღის დადგენის საკითხში.
დიდი ხნის წინ შალვა ამირანაშვილი ამ პორტრეტებს თვლიდა გვიანქართული ფერწერის სახასიათო ნიმუშებად, რომლებშიც ადგილობრივ მხატვრულ ნიადაგზე შეერწყა დასავლურ და გვიანსპარსულ ხელოვნებათა გავლენები, თუმცა, იმავდროულად, აღნიშნავდა: «Особое место среди анализируемых произведении[142] иранской станковой живописи занимает портрет «Женщины с мальчиком» и «Портрет юноши».[143] ამ პორტრეტების წარმოშობის თაობაზე ასეთივე არაზუსტი დეფინიციები შეინიშნება დღესაც. მათ ხან მიაკუთვნებენ ქართული ფერწერის შესანიშნავ ნიმუშებს[144], ხანაც–სპარსულ-ქართულ სამხატვრო სკოლას. ამტკიცებენ, რომ სტილისტურად ეს პორტრეტები უახლოვდება ყაჯართა დინასტიის პირველი პერიოდის (1797-1834) ძეგლებს და, იმავდროულად, ირწმუნებიან, რომ მხატვრული კანონი, სტილისტიკა და ესთეტიკა აქ სხვაა და რომ ჩვენ საქმე გვაქვს ქართული სამხატვრო სკოლის ძეგლებთან, რომლებიც სტილისტურად ეხმიანება კავკასიურ-სპარსული სკოლის ნიმუშებს[145]. კავკასიურ-სპარსულისა და სპარსულ-ქართული სამხატვრო სკოლების გაგება და ტერმინოლოგია ახალია თანამედროვე ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში. ამიტომ ადვილია დაიბნე და, იმავდროულად, ძნელია დარწმუნდე ბუნდოვანი მტკიცებულებების ჭეშმარიტებაში. აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თავად ქვეყნის-ირანის დასახელების მიმართ არსებობს, ასე ვთქვათ, თავისუფალი დამოკიდებულება: მას უწოდებენ ხან ირანს, ხან–სპარსეთს. ევროპასა და ამერიკაში ქვეყანა როგორც წესი,

---

142 იგულისხმება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული სპარსული დაზგური ფერწერის ნიმუშები. იხ.: Ш.Я. Амиранашвили. *Иранская станковая живопись*. Тбилиси, 1940, стр.37.

143 კიდევ ერთი ვარიანტი სახელწოდებისა დასახელებულია წიგნში: Ш.Я. Амиранашвили. *Иранская живопись. XVIII-XIX вв*. Тбилиси, 1941, стр.37. აქ, ილუსტრაციების სიაში, «Портрет юноши» მოხსენიებულია როგორც «Юноша в чёрном».

144 ამ შემთხვევაში მათი ადგილი არა ყაჯართა ეპოქის აღმოსავლეთის ხელოვნების ნიმუშების გვერდითაა, არამედ შესაბამის სამუზეუმო ექსპოზიციაში.

145 ირ. კოშორიძე. *ზოგიერთი ახალი ცნობა ქართულ-ირანული ურთიერთობის შესახებ*. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის *ნარკვევები*. თბილისი, 2003, ტ. VIII, გვ.121.

სპარსეთად მოიხსენიებოდა.[146] 1935 წელს მისმა ხელისუფლებამ თხოვნით მიმართა უცხო სახელმწიფოებს, ქვეყანა ირანად ყოფილიყო სახელდებული[147]. ეს ფაქტორები უნდა იქნეს გათვალისწინებული იმ მკვლევართა მიერ, რომელთაც ამ ქვეყნის შესაბამისი ისტორიული პერიოდების ხელოვნების საკითხებზე უწევს მუშაობა.

მკვეთრი შეუთანხმებლობა და სხვაობაა პორტრეტების – „შაოსანი ჭაბუკისა“ და „ბავშვიანი ქალის“ დათარიღებაშიც. მათი შექმნის დროდ ხან ასახელებენ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნას, ხან XIX საუკუნის დასაწყისს, ხან XIX საუკუნის პირველ მეოთხედს, XIX საუკუნის პირველ ნახევარსაც, ასევე არაუგვიანეს 1830 წელს, სავარაუდოდ, 1810-იან წლებსა და ბოლოს – 1801-1803 წლებს[148].

ანდრონიკაშვილების ოჯახის პორტრეტები ფერწერული ძეგლებია რეალური ადამიანებისა, რომლებიც, იმავდროულად, გამოხატავენ თავიანთი დიდგვაროვნობისა და მნიშვნელოვნების იდეას. პორტრეტებში შენივთებულია მონუმენტურობა და სინატიფე. მათში არაა მკვეთრი ფსიქოლოგიური გამომსახველობა, მაგრამ იკითხება ბუნებრივი სიდიადე. სურათების პერსონაჟები აღებულნი არიან „ცხოვრებისეული“ გარემოდან, თუმცა გულჩათხრობილნი, ინტრავერტულნი გვეჩვენებიან, თითქოსდა მყოობენ დროისმიღმით სამყაროში. ორივე პორტრეტის ფერწერულ-სივრცითი სტრუქტურა გამოხატავს შინაგან ძალას, კეთილშობილურ სიმშვიდეს, თუმცა ხელების მოძრაობა (მოდელთა ხელის მტევნები–პორტრეტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალია), თავის ბრუნი ქმნის მოძრაობის შეგრძნებას. ჟესტი და მოძრაობა–იმწამიერი, მაგრამ, იმავდროულად, კანონიკურია.

ანდრონიკაშვილების პორტრეტების კომპოზიციური აგება სამკუთხედია, ჩაწერილი ტილოს ვერტიკალურ, მუქ სწორკუთხედში. ეს მყარი კონსტრუქციაა. ფიგურათა ფრონტალობა არღვევს სახის 3/4 ბრუნს იმდენად, რომ უძრავ სილუეტს შესძინოს სიცოცხლისა და დინამიზმის შეგრძნება. პორტრეტებს აერთიანებს იდენტური ფორმა, კომპოზიციური ხერხები, შინაარსობრივი და ფორმისმიერი ერთობა. ესაა მთელი ტანით გამოსახული მოდელების

---

146 სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის–ფარსის ძველბერძნული დასახელებიდან.

147 *История Ирана*. Москва, 1977, стр. 4 (ответственный редактор – профессор М.С. Иванов).

148 ირ. კოშორიძე. *ზოგიერთი ახალი ცნობა ქართულ-ირანული ურთიერთობის შესახებ.* საქართველოს ხელოვნების მუზეუმის *ნარკვევები.* თბილისი, 2003, ტ. VIII, გვ. 110,117-120; ირ. კოშორიძე. *სილამაზის ესთეტიკური კანონი გვიანირანულ ფერწერაში.* საქართველოს ხელოვნების მუზეუმის *ნარკვევები.* თბილისი, 2004, ტ. IX, გვ.138.

რეპრეზენტულ-მემორიალური პორტრეტები მათი ერთგვარი იდეალიზებით. მათს სამოსს, ასევე აქსესუარებს, დგომას აკისრია ფუნქცია, მაყურებლისთვის საცნაური გახადოს ცოლ-ქმარ ანდრონიკაშვილების ხასიათი. ისინი გამოსახულნი არიან თავიანთი პიროვნული განუმეორებლობის შეგრძნებით.

განზოგადების უფრო მეტად გამოსაკვეთად პორტრეტებში სილუ-ეტები სიბრტყობრივადაა გადაწყვეტილი. ისინი მთელ ტილოზე ვერტიკალურად დაკრული კოლაჟის შთაბეჭდილებას ტოვებენ, მაგრამ ეს ნატიფადაა გაკეთებული. მშვიდი ხაზების რიტმულობა ქმნის გამოსახულებათა განსაკუთრებულ დეკორატიულ ნაყშს. სილუეტი, ხაზები მჭიდროდაა დაკავშირებული პორტრეტების ფორმატთან. მოგუდულ-მქრქალი, თითქმის ნეიტრალური ფონი გამოკვეთს არა მხოლოდ ფიგურათა კონტურებს, არამედ საერთო კოლორიტსაც, რომელიც ზოგადად ქმნის კეთილშობილურსა და თავშეკავებულ ფერადოვან მთლიანობას. ფერთა გამა გემოვნებითაა შერჩეული: ცალკეული გამოელვება წითლისა და თეთრისა.

ფიგურები, მართალია, სტატიკურია, მაგრამ მაინც „ცოცხალი“. უმთავრესი კი ისაა, რომ ისინი ინდივიდუალიზებულნი არიან. პორტრეტები ინარჩუნებენ ზუსტ მსგავსებას მოდელებთან. წვრილმანი დეტალები აქ კონკრეტული გამოსახულებების კომენტარებია. ნეიტრალურ ფონზე გამოწერილი სახეები უმალ იქცევენ ყურადღებას. ჩვენ წინ ქართველ დიდგვაროვანთა წარმომადგენლებია. ამაზე მიუთითებს კეთილშობილური, ლამაზი სახეები, ახოვნება, ტანადობა, მანერები, თვითდაჯერებითა და მოხდენილად შემოყრილი დოინჯი, მარცხენა ხელი ხანჯლის თავზე. მალხაზ ანდრონიკაშვილის პორტრეტი („შაოსანი ჭაბუკი“) კანონიკური და ტიპური ჟესტია სპარსული, რუსული, სარმატული ფერწერისათვის XVII-XVIII საუკუნეებში, მოგვიანებით კი – ქართული დაზგური პორტრეტისთვისაც. ეს ჟესტი, მკაცრი კოსტიუმი და სიახალგაზრდავე ერთადერთია, რაც მიანიშნებს, რომ პერსონაჟი ეკუთვნის სამხედრო ფენას. ეს კი უკვე თავისთავად გულისხმობს ფათერაკიან ცხოვრებას, ხანგრძლივად ყოფნას ომებსა თუ სამხედრო ბანაკებში. მის პორტრეტში ჰეროიზებული მეომრული სიქველე კი არ იგრძნობა, არამედ თვითსიამაყე უმაღლესი ფენისადმი კუთვნილების გამო. პორტრეტირებული ლამაზია, ახალგაზრდა, ენერგიული. მთელი მისი იერი წარმოჩენილია როგორც სახე, შექმნილი სპარსული ესთეტიკური პრინციპების დაცვით. „შაოსანი

ჭაბუკის“ მოდელი უწვერულვაშოა,[149] თუმცა გამოსახულია მხრებამდე დაშვებული ხვეული თმებით (რომლებიც საკმაოდ მიმზიდველად, თავმომწონედ მოუჩანს მაღალი, წვერწამახული ქუდიდან), ხელის უნაზესი, თხელი მტევნებით, სახის მსგავსი ნაკვთებითა და სპარსული ყაიდის სამოსით (თუმცა, ეს სამოსი მკაცრად მონოტონურია, მის შეჭრილ გვერდს მთელ სიგრძეზე მიუყვება მოჩითულ-ფერადოვანი სპარსული ქსოვილის ოლე). როგორც წესი, ამგვარად გამოსახავდნენ დაოჯახებულ სპარსებს, შაჰის მემკვიდრეებსა და უცხოელებს. და თუ „შაოსანი ჭაბუკის“ მხატვარი ქართველი იყო[150], რატომ გამოსახა მან თანამემამულე სპარსული ფერწერისათვის სახასიათო გამომსახველობითი ხერხებით?

ცხადია, მალხაზ ანდრონიკაშვილის (და მისი მეუღლის, მარიამის) სპარსული სამოსი არ იყო მათთვის ყოველდღიური. ისიც ნათელია, რომ სპარსულ სამოსში ისინი გამოეწყვნენ საგანგებოდ პოზირებისათვის, შეიძლება იდეოლოგიური მოსაზრების გამოც, გაითვალისწინეს რა 1800-იან წლებში იმერეთში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, მით უმეტეს, თუ იმასაც დავუშვებთ, რომ მალხაზს ეს სამოსი საჩუქრად უბოძა ფათალი-შაჰმა ან მისმა ვაჟმა აბას-მირზამ. ისიც გავიხსენოთ (ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ), რომ აბას-მირზა იყო მეგობარი და თანამდგომი ალექსანდრე ბატონიშვილისა რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში. ისიც ცნობილია, რომ მან თავის მეგობარს არაერთხელ უძღვნა საჩუქრები: ქურქები, შალები, ხიფთანები, ცხენები, ფული. სავსებით დასაშვებია მისი ამგვარი ხელგაშლილობა მალხაზ ანდრონიკაშვილის მიმართაც. ის ხომ ალექსანდრე ბატონიშვილის სიძე გახლდათ, გარდა ამისა, მისი თანამებრძოლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში. აბას-მირზას თავისი ძღვენი (სამოსის სახით) შეეძლო, გაეგზავნა იმერეთის მეფე სოლომონ II-ისთვის 1800 წელს[151] წარგზავნილი თავისი ელჩიონის მეშვეობით. სწორედ ამ დროს სურდა სპარსეთის სამეფო კარს, რომ ქართლში ჩამდგარი რუსეთის ჯარის წინააღმდეგ გაელაშქრა ქართველი მეფის ჯარს. ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელსაც შაჰი შეჰპირდა სამეფო ტახტს, ევალებოდა სპარსელებთან ერთად ხელში ჩაეგდო

---

149 თუმცა ტფილისში პირველი ფრანგი კონსული ჟ.-ფ. გამბა (1763-1833) იმერეთში ყოფნის შემდეგ საუბრობდა აქაურთა მიერ სპარსელებისგან გადმოღებულ ინით შეღებილი წვერ-ულვაშის ტარების წესზე. იხ.: *Voyage dans la Russie méridionale et particulièrement dans les provinces situées au-delà du Caucase fait depuis 1820 jusqu'en 1824, par le Chevalier Gamba, consul du roi a Tiflis.* Paris, 1824, p. 159.

150 როგორც ამტკიცებს ზოგიერთი მკვლევარი.

151 Акты. Тифлис, 1866, т. I, стр. 146, 149, 182.

ყაზახი. გავბედავ, ვივარაუდო, რომ ცოლ-ქმარ ანდრონიკაშვილების პორტრეტები შეიქმნა სპარსეთის კარის სურვილითა და ნებით, რათა ისინი განეთავსებინათ თავრიზის, ისპაჰანის ან თეირანის ერთ-ერთი სასახლის კედლებზე. ასეთი რამ ხდებოდა: როგორც უკვე ითქვა, ბატონიშვილ ალექსანდრეს პორტრეტი განთავსებული იყო ნიგარისტანის სასახლის კედელზე შაჰის ქვეშევრდომთა და მის სტუმართა პორტრეტების მსგავსად.

განსახილველ პორტრეტებს ჰქონდათ იდეოლოგიური სარჩული. საქართველოს ყოფასა და სამხატვრო კულტურაში ათწლეულების განმავლობაში უდიდეს როლს თამაშობდა სპარსული ტრადიციები. ეს აისახა სასახლეთა და დიდგვაროვანთა საცხოვრისის მოწყობაში, საყოფაცხოვრებო საგნებსა თუ სამოსში. საქართველოს ხომ ამ მეზობელ ქვეყანასთან აკავშირებდა არა მხოლოდ ტერიტორიული სიახლოვე, არამედ ისტორიული ბედიც. ის, რომ ბაგრატიონების სამეფო გვარის ოჯახი ამ პორტრეტებზე წარმოდგენილია სპარსული „კონტექსტით“, ნიშანდობლივია, რადგან მათი შექმნის დროისათვის, ანუ XIX საუკუნის დასაწყისისათვის, უკვე ჩნდება რუსული და ევროპული სტილისტიკის გავლენით შექმნილი დაზგური ნაწარმოებები, რომლებზეც გამოსახულნი არიან საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენლები. ეს უკავშირდებოდა საქართველოსთვის ახალ პოლიტიკურ სიტუაციას: საქართველოს შესვლას რუსეთის პროტექტორატში, რასაც შედეგად მოჰყვა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმება და რუსეთის გავლენის გაზრდა სამხრეთ კავკასიაში.

ანდრონიკაშვილების ოჯახის ე. წ. სპარსული პორტრეტების შექმნა შეიძლება აღქმულიყო როგორც თავისებური პროტესტი ბაგრატიონების მრავალსაუკუნოვანი მეფობის დაკარგვისა და საქართველოში რუსეთის დამკვიდრების გამო. იმავდროულად, მათი შექმნა, უდავოდ, იყო მადლიერების გამოხატვა სპარსული სამყაროს მიმართ, რომლის დახმარების იმედი ჰქონდა მალხაზ ანდრონიკაშვილს, სოლომონ II-ს, ბატონიშვილ ალექსანდრესა და მათს უახლოეს გარემოცვას, ყველას, ვისაც კი ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა, ვინც მხოლოდ ექოღა იყო სწრაფმედინი, უკვე წარსულად ქცეული ფეოდალური ურთიერთობისა. მოდა სპარსულ (ან „ყიზილბაშურ“) სამოსზე, ასე ვთქვათ, უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, მაგრამ ახალ პოლიტიკურ რეალობაში ტახტის, დინასტიური მემკვიდრეობითობისა და სამთავროთა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად სპარსულ

სამოსში გამოწყობილ მალხაზ ანდრონიკაშვილს შეეძლო პორტრეტის „გმირად“ ქცეულიყო და სამშობლოს საკეთილდღეოდ ფორმალურად უცხო სჯულისად წარმოეჩინა თავი. იმერეთის სამეფოს საქმეებში მნიშვნელოვანი ფიგურის–მალხაზ ანდრონიკაშვილის პორტრეტს უნდა განემტკიცებინა რწმენა, რომ იმერეთის სამეფო იმედს სპარსეთზე ამყარებს. მალხაზ ანდრონიკაშვილისა და მისი ცოლ-შვილის პორტრეტები ერთგვარი დეკლარირებაა სპარსელებთან კავშირისა და არამც და არამც არ იძლევა საშუალებას, საცნაურვყოთ პორტრეტირებულთა ქართული და მეფური წარმომავლობა. სწორედ ეს გახდა საბაბი, რომ ეს პორტრეტები აღმოჩნდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცულ ყაჯართა ეპოქის პორტრეტთა შორის სახელწოდებებით – „ახალგაზრდა სპარსი“ და „სპარსი ქალი ბავშვით“.

სპარსული სტილისტიკით შესრულებული პორტრეტები XIX საუკუნის საქართველოში არქაულად გამოიყურება. მათი პერსონაჟები გადიოდ-ნენ ისტორიული სცენიდან, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხლობდა იმედი. და ისინი ლავირებდნენ, ცდილობდნენ, დრო მოეგოთ დაუცხრომელი ბრძოლით თავიანთი პრივილეგირებულობის დასამტკიცებლად. ისინი არქაულნი არიან იმიტომაც, რომ თავად სპარსეთში XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში მიმბაძველობის ერთგვარი კულტივირება ხდება კულტურისა და ხელოვნების ყველა სფეროში.

მალხაზ ანდრონიკაშვილისა და მისი ცოლ-შვილის ფერწერული პორტრეტების საერთო ე.წ. სიხისტის მიუხედავად, მათში რაღაც სპეციფიკური, აღმოსავლური, მინაზებული გრაციაა (ისპაჰანის სამხატვრო სკოლის ოსტატთა სურათების მსგავსი). ხელების ერთგვარი ქედმაღლური ჟესტი (რასაც XVIII საუკუნის უკრაინაში „შლიახტურს“ უწოდებდნენ), სწორი, გამართული მხრები, შინაგანი ძალა პატარა ბაგე-ტუჩთან, ლბილ, ქალურ ნიკაპსა და ნაპატივებ ხელებთან შესატყვისობით ქმნის მოულოდნელ კონტრასტს და გამოკვეთს პერსონაჟის ხასიათის არაერთგვაროვნებას, პერსონაჟისა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მოღალა გაუსაძლისმა, მომქანცველმა ბრძოლამ.

პორტრეტების – „შაოსანი ჭაბუკი“ და „ბავშვიანი ქალი“ პერსონაჟთა პროტოტიპების ბიოგრაფიული ქარგის მიმოხილვის შემდეგ პასუხგაუცემელი რჩება უმთავრესი კითხვა: რატომ რჩებოდნენ დასახელებული პორტრეტების პერსონაჟები უცნობნი (უეჭველია, ამას ხელი შეუწყო ამ სურათთა უკანასკნელ მფლობელთა მონდომებამ)

წლების განმავლობაში?
პორტრეტები ინახებოდა არცთუ შორეული შთამომავლების ოჯახში, რომელთაც, უდავოდ, იცოდნენ, ვინ იყვნენ გამოსახულნი პორტრეტებზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ გაანდეს ფასეული ინფორმაცია ქართული მატერიალური კულტურის მკვლევართ. ფარავდნენ თუ არა ისინი რაიმე არასასურველ ოჯახურ საიდუმლოს, რის გაცხადებასაც ერიდებოდნენ? რას შეიძლება გამოეწვია მათი თავშეკავება პორტრეტირებულთა საჯაროდ დასახელებისაგან? იქნებ ამის მიზეზი ანდრონიკაშვილთა საგვარეულოში ამ პორტრეტების პერსონაჟთა არაპოპულარობა იყო? ან იქნებ გვაროვნული ღირსების დაცვის მიზნით ეშინოდათ, რომ წინაპართა უმსგავსი თუ რაღაც დანაშაულებრივი ქმედებანი არ გამოაშკარავებულიყო, ამისთვის არ გაეკიცხა საზოგადოებას და არ შემორჩენოდა მათი სამარცხვინო სახელები საქართველოს ისტორიას? ამ კითხვებმა იძულებელგვყო, მიგვემართა ანდრონიკაშვილების გვარის სხვა წარმომადგენელთა ბიოგრაფიებისათვის და ფრთხილად შემოგვეთავაზებინა სხვა ვერსია ამ სამუზეუმო პორტრეტების პერსონაჟთა პროტოტიპების შესახებ. მაგალითად, სურათის – „ბავშვიანი ქალის“ მოდელის პროტოტიპად დაგვესახელებინა მარიამ-ბეგუმი, „შაოსანი ჭაბუკისა“ კი–მისი მეუღლე აზატ-ხანი. ამ ვერსიის გაზიარების შემთხვევაშიც შეიძლებოდა პორტრეტები ანდრონიკაშვილების შთამომავალთა (რომელთაც ისინი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს გადასცეს) ოჯახებში შენახულიყო, რამეთუ ხსენებული მარიამ-ბეგუმი მეორედ (აზატ-ხანის შემდეგ) მითხოვდა ქიზიყის მოურავსა და სარდალს, რევაზ პაპუნას ძე ანდრონიკაშვილს. ის კი იყო ძმა ზაქარია იესეს ძე ანდრონიკაშვილის პაპისა, პორტრეტების უკანასკნელი მფლობელის, თინათინ თომას ასულ ჯორჯაძის მეუღლისა. სხვათა შორის, დედის მხრიდან თინათინ ჯორჯაძეც ეკუთვნოდა ანდრონიკაშვილთა საგვარეულოს. მისი დედა გახლდათ ანასტასია ადამის (ივანეს) ასული ანდრონიკაშვილი (1818-1842).
შეგახსენებთ, რომ მარიამ-ბეგუმის მეორე ქმარი, რევაზ პაპუნას ძე ანდრონიკაშვილი იყო ვაჟი პაპუასი (პაპუნა), ქიზიყის მოურავისა, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა მეფე ერეკლე II-ს და მასთან ერთად მონაწილეობდა აბდულა-ბეგის (მასზე ქვემოთ) – თავისი მომავალი რძლის მამის წინააღმდეგ ლაშქრობაში. პაპუნას საბრძოლო დროშა ერთგულად ემსახურებოდა მეფეს. დროშა

აღწერა ს. ბარნაველმა.[152] მის თეთრსა და შვინდისფერ აბრეშუმის მიწარზე ამოქარგულია დრაკონის მლახვრავი წმ. გიორგი, ასევე მზე, მთვარე და ვარსკვლავები. დროშის თავი–მოოქრული ვერცხლისგან დამზადებული ჯვარი XX საუკუნის დასაწყისში ინახებოდა კოდალოს ეკლესიაში, 1945 წელს კი ის დააბრუნეს საფრანგეთიდან საქართველოში ქართული მატერიალური კულტურის სხვა განძეულთან ერთად. დღეს ის დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

გარდა იმისა, რომ რევაზ პაპუნას ძე ანდრონიკაშვილი ბიძად ეკუთვნოდა მალხაზ ანდრონიკაშვილს (მასზე ზემოთ ვისაუბრეთ), ის იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის მეუღლის – ქეთევანის ძმა. სოფელ ვეჯინში, რევაზ პაპუნას ძის სახლში, ბატონიშვილმა, მომავალმა მეფე გიორგიმ (ესეც უკვე აღინიშნა ზემოთ) პირველად იხილა 12 წლის ქეთევანი და იმავე 1763 წელს მასზე იქორწინა[153].

უნდა ვიფიქროთ, რომ რევაზ ანდრონიკაშვილიც, ისევე როგორც მისი მამა, ერეკლე II-ის ერთგული თანამებრძოლი იყო, რადგან მეფემ ის 1789 წელს გააგზავნა (თავის შვილთან–ბატონიშვილ იულონთან, იოანე ბაგრატიონ-მუხრანსკისა და ზაქარია ანდრონიკაშვილთან ერთად. ამაზეც ვწერდით მაღლა) 4 ათასკაციანი ჯარის მეთაურად იმერეთში, რათა ტახტზე დაესვა თავისი შვილიშვილი დავით არჩილის ძე, იმერეთის მომავალი მეფე სოლომონ II. რაც შეეხება რევაზ ანდრონიკაშვილის მეუღლეს, მარიამ-ბეგუმს, ის არის ქალიშვილი ბატონიშვილ არჩილისა, რომელმაც სპარსეთში მიიღო ისლამი. მისი მუსულმანური სახელია აბდულა-ბეგი და იგი იყო ვაჟი მეფე იესე ლევანის ძე ბაგრატიონისა (მისი მუსულმანური სახელია ალი-ყული-ხანი. 1680-1727). თავად იესე, ალი-ყული-ხანი, კი იყო ვახტანგ VI-ის (1675-1737) ძმა. 1709 წელს მუსულმანობის მიღების შემდეგ იესე, ანუ ალი-ყული-ხანი დაინიშნა ქალაქ ქირმანის ბეგლარბეგად, 1711 წელს კი შაჰ ჰუსეინ I–მა მას უწყალობა სუფრაჩიბაშის (შაჰის სტუმართუხუცესის) თანამდებობა. როგორც ქართლის მეფეს, მას 1714 წელს ნება დართეს, წარემართა სასამართლო საქმეები ქართული

---

152 ს. ბარნაველი. *ქართული დროშები.* თბილისი, 1953, გვ. 52, 64; მღ. პ. კარბელაშვილი. *ქართველთა საერო დროშის გამო.* გაზ. *„ივერია“.* 1904, № 284, გვ. 6.

153 ცოლ-ქმარს ჰყავდა 12 შვილი. მათგან ყველაზე ცნობილებია: ბატონიშვილი დავითი, საქართველოს ტახტის პრეტენდენტი 1800-1801 წლებში; ბატონიშვილი იოანე, ავტორი ცნობილი ენციკლოპედიური ნაწარმოების–*კალმასობისა*; სამეგრელოს მთავრის, გრიგოლ დადიანის, მეუღლე ბატონიშვილი ნინო; მალტის ორდენის კავალერი, ბატონიშვილი ბაგრატი; სწავლული, კავკასიამცოდნე, ბატონიშვილი თეიმურაზი, რომელიც თანამშრომლობდა აკადემიკოს მარი ბროსესთან.

კანონმდებლობით. ის ორჯერ იყო დაქორწინებული[154], ჰყავდა ხარჭები და მათგან შვილებიც. აბდულა-ბეგი, ისევე როგორც მისი მეორე ძმა ალექსანდრე (ისააკ-ბეგი, პაპა პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონისა, 1812 წლის სამამულო ომისა და ბოროდინოს ბრძოლის სახელოვანი გმირისა) ალი-ყული-ხანს შეეძინა ხარჭისგან (ან ხარჭებისგან)[155].

აბდულა-ბეგის მეუღლე, ანუ მარიამ-ბეგუმის დედა იყო ქეთევანი, ქალიშვილი მეფე ერეკლე I-ისა (ნაზარალი-ხანისა, თეიმურაზ I-ის შვილიშვილისა, რომელიც რამდენიმე წელი ცხოვრობდა რუსეთში ნიკოლოზ დავითის ძის სახელით და ეკავა საპატიო ადგილი პეტრე I-ის მამის – ალექსი მიხეილის ძის სამეფო კარზე, მოგვიანებით 14 წელი ცხოვრობდა ისპაჰანში). უფრო სავარაუდოა, რომ ის ერეკლე I-ს შეეძინა ხარჭისგან, რადგან მისი კიდევ ერთი ქალიშვილი, ისევ ქეთევანი (ანა შერმაზანის ასულ ჩოლოყაშვილისაგან) გარდაიცვალა ადრე, 1718 წელს. ამიტომ ის არ შეიძლება ჩაითვალოს მარიამ-ბეგუმის დედად. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად[156], მარიამ-ბეგუმის პაპა, იესე ლევანის ძე, ანუ ალი-ყული-ხანი „ვაჟკაცური, მოწყალე, წყალობაგამცემი დიდთა და მცირეთა მიმართ, მოლხენისა და განსვენების მოყვარული, ძალზე გამუსულმანებული იყო“. ამიტომ ჰყავდა როგორც კანონიერი ცოლები, ისე ხარჭები[157].

ამდენად, მარიამ-ბეგუმი მშობელთა მხრიდან მიეკუთვნებოდა ბაგრატიონების სამეფო ოჯახს და იყო შვილთაშვილი აშოტან მუხრანბატონის ქალიშვილ ქეთევანისა, რომელიც ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მისი პაპა ერეკლე I იყო შვილიშვილი წმინდა მოწამე მეფე თეიმურაზ I-ისა (1589-1663). მარიამ-ბეგუმის დედა, ქეთევანი იყო ნახევარდა მეფე თეიმურაზ II-ისა (1695-1762) და

---

154 მისი მეორე მეუღლე, ქართლის მეფე ერეკლე I-ის (?–1709), ქალიშვილი ელენე-ბეგუმი (დაახლ. 1687-1750). ვაჟთაგან მათი შვილი გახლდათ მომავალი მეფე თეიმურაზ II და კათალიკოსი, მწერალი და პოეტი ანტონ I.

155 პლ. იოსელიანი თავის წიგნში (*Описание древностей города Тифлиса*. Тифлис, 1866, стр. 74) აბდულა-ბეგის ხსენებისას წერს, რომ ის შეეძინა იესე მეფეს მუსულმანი ქალისაგან.

156 ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი, ძმისშვილი იესე ლევანის ძისა, ბაგრატიონთა დინასტიური საგვარეულოს წევრთა უფლებებით სარგებლობდა. მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტი აქებს თავის ბიძა იესეს (ანუ მარიამ-ბეგუმის პაპას), თავის „*საქართველოს გეოგრაფიაში*“ (ტფილისი. 1904. გვ.17) იგი „გამაჰმადიანებულ მეფე იესეს“ განიკითხავს უზნეო ქმედებათა გამო. ბატონიშვილი თეიმურაზი (1782-1846), შვილი გიორგი XII-სა და ქეთევან პაპუნას ასულ ანდრონიკაშვილისა, თვლიდა, რომ ვახუშტი სახელს უტეხს თავის ბიძას და ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ თავად ბატონიშვილი 1800-იან წლებში სპარსთა სამსახურში გახლდათ. გარდა ამისა, ის ახლო ნათესავი იყო მეფე იესეს შვილიშვილ მარიამ-ბეგუმის მეორე ქმრის–რევაზ პაპუნას ძე ანდრონიკაშვილისა.

157 მისი ქორწილი ერეკლე I-ის ქალიშვილთან, ელენე-ბეგუმთან, იყო ქრისტიანულ-მუსულმანური. იხ.: ვახუშტი ბაგრატიონი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*. თბილისი. 1976. გვ. 103-104, 168; Гребельский П., Думин С., Апакидзе Г.,... *Дворянские роды*... Москва, 1996, т. 3. Таблицы №8 и №14, стр. 51, 66.

მამიდა მეფე ერეკლე II-ისა (1716-1798). ერეკლე II რამდენიმე წლის განმავლობაში ებრძოდა ქეთევანის მეუღლეს, აბდულა-ბეგს.
მარიამ-ბეგუმის ძმა კი (ძმისშვილი პეტრე ბაგრატიონის პაპისა) იყო ტფილისის მიტროპოლიტი არსენი (1757-1813). არსენი (იესე) აბდულა-ბეგს შეეძინა ქრისტიანი მეუღლისაგან. იგი თავის დროზე ცნობილი იყო ნაიბაიძის გვარით (რაც ნიშნავდა ნაიბის შვილს). 1810 წელს მიტროპოლიტი არსენი ამხილეს ტფილისის სიონის ტაძრის საგანძურის დატაცებაში და ამისთვის განკვეთეს ეკლესიიდან. გარდაიცვალა 1813 წელს და დაასაფლავეს სიონში. არსენის ადრეგარდაცვლილი მეუღლის, თინათინ ელიზბარის ასულ თაქთაქიშვილის, ოჯახი, არსენის მამის–აბდულა-ბეგისა და ძმის–დავითის მსგავსად, უპირისპირდებოდა თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს. 1765 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ერეკლე II-ემ, როგორც ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფემ, თინათინის 80 წლის მამა, თავისივე სახლთუხუცესი, კოცონზე დააწვევინა, დავითს კი, მისივე ბრძანებით, თავი მოკვეთეს[158].
აბდულა-ბეგი, რომელიც მიეკუთვნებოდა საქართველოს მეორე სამეფო სახლს – ვახტანგ VI-ის სამეფო შტოს, მტრობდა კახეთის სამეფო სახლს–მეფე თეიმურაზ II-ს[159].
1736 წელს, მისი მოწინააღმდეგის სპარსეთს გამგზავრების შემდეგ, აბდულა-ბეგი ორჯერ დაეცა ტფილისს. როცა ქართლში, ნაზირ-შაჰის მიერ დაწესებული გაუსაძლისი ხარკის გამო ხალხი აჯანყდა, აბდულა-ბეგმა ვერ შეძლო, თუ არ მოინდომა, დამშეული ხალხის პროტესტის ჩახშობა, ყველაფერში თეიმურაზ II დაადანაშაულა და დააბეზღა შაჰთან[160].

---

158 თანამედროვენი იგონებენ, რომ ამის შემდგომ ერეკლე II-ს ხელები უკანკალებდა. იხ.: მაქ. ბერძნიშვილი. *მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრიობის ისტორიისათვის*. თბილისი. *1983.* წ. *2.* გვ. 152; П. Иоселиани. *Описание древностей города Тифлиса.* Тифлис, 1866, стр. 186-187. ერეკლე II-ის მსხვერპლი გახდა მისი ნათესავიც, ვახტანგ VI-ის უკანონო ვაჟი პაატა. მას, ტფილისის მოურავსა და 1765 წლის ქართლის აჯანყების მოთავეს, ასევე მოკვეთეს თავი. შეგახსენებთ, რომ პაატა ვახტანგის ძე ბიძაშვილად ერგებოდა აბდულა-ბეგს (მარიამ-ბეგუმის მამას).

159 თეიმურაზ II-ს ცოლად ჰყავდა ვახტანგ VI-ის ქალიშვილი, ბატონიშვილი თამარი (1696-1746), რომელიც დაუცხრომელი მხარდამჭერი იყო თავისი მეუღლისა, რომლის მიზანი გახლდათ ქართლ-კახეთის გაერთიანება. ის იყო გონიერი და ენერგიული ქალი და ახდენდა ზეგავლენას ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, 1736 წელს, თეიმურაზ II-ის სპარსეთს, ნაზირ-შაჰთან, გამგზავრების პერიოდში, ქვეყანასაც კი მართავდა. ნაზირ-შაჰი დიდი პატივისცემით იყო განწყობილი დედოფალ თამარის მიმართ და უხვად უძღვნიდა მდიდრულ საჩუქრებს. ქორწინებიდან თამარს 7 შვილი ჰყავდა, მათ შორის მომავალი მეფე ერეკლე II. იხ. მ. სამსონაძე. *საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში.* თბილისი, 1988, გვ. 65.

160 შაჰის რისხვისაგან დედოფალმა თამარმა იხსნა მეუღლე. ნაზირ-შაჰთან გაემგზავრა და დაუმტკიცა მას თეიმურაზ II-ის უდანაშაულობა და სთხოვა, არ დაერბია ქვეყანა. იხ. მ. სამსონაძე. *საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში.* თბილისი, 1988, გვ. 65.

ქართლის ხანად (მმართველად) ხელდასხმულ აბდულა-ბეგს მთელი ქართლის მეფობა სურდა. მას ემხრობოდა ქართველ დიდებულთა ნაწილი, როგორც, მაგალითად, ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი და მისი საგვარეულო. ქართლის დროებით მმართველად თეიმურაზ II-ის განკარგულებითა და შაჰის ნებართვით დატოვებული აბდულა-ბეგი გამუდმებით ხლართავდა ინტრიგების ქსელს და იბრძოდა ქართლის ტახტის ხელში ჩასაგდებად. პაპუნა ორბელიანი აღწერს, რომ ტფილისზე ლეკების მორიგი თავდასხმის დროს აბდულა-ბეგმა ჰარემიანად თავი შეაფარა ციხესიმაგრე სამშვილდეს, სადაც თეიმურაზ II-ც მივიდა. ისინი იქიდან ბოლნისში ჩავიდნენ, სადაც მეფემ უბრძანა აბდულა-ბეგს მორჩილება და ჩააბარა ქართლი სამეთვალყურეოდ, ასევე უბრძანა, ემშვიდობა ერეკლე II-სთან, განემტკიცებინა და მისი არყოფნის დროს მტრისგან დაეცვა ქვეყანა.

ცბიერმა აბდულა-ბეგმა ლორეს ციხესიმაგრიდან სამშვილდეში მიაზიდინა ზარბაზნები, გაამაგრა და განაახლა თავისი ციხესიმაგრე (ასევე ციხესიმაგრე ბირთვისი) და ერეკლე II-სთან აფრინა წერილი შეტყობინებით, რომ მან სპარსეთის მმართველ საამ-შაჰისაგან მიიღო სიგელი ქართლის ფლობის უფლების შესახებ: „ქართლი ჩემია. მე შენ არ გეცილები კახეთს, შენც უფლება აიყარე ქართლზე. ქართლი ჩემი საგამგებლოა“. ქართლელ დიდგვაროვანთ კი ამიერიდან მორჩილება მოსთხოვა. გამუსულმანებული ბაგრატიონი თავისი მეუღლის ნათესავისაგან მოითხოვდა ტფილისის გადაცემას, რისთვისაც იგი გაკიცხა საკუთარმა ძმამ–კათალიკოსმა ანტონ I-მა. გააფთრებულმა ერეკლე II-ემ მას უპასუხა: „შენი ბატონობა დასრულდა“ და მიუგზავნა ტფილისის ეპისკოპოსი ათანასე ამილახვარი სამშვიდობო მისიითა და სტუმრად მიპატიჟების სურვილით. აბდულა-ბეგი კი შეუნიღბავი დაპირისპირებისთვის ემზადებოდა. მტრობა სულ უფრო ცხარდებოდა. ერეკლე II რამდენიმე დღე ზარბაზნებით უტევდა სამშვილდეს და აბდულა-ბეგი იძულებული გახდა (თეიმურაზ II-ის სპარსეთიდან ჩამოსვლამდე), დაზავებოდა მეფეს. მერე შედგა სოლოლაკის მთაზე შეტაკება, სადაც, ლეკთა დახმარების მიუხედავად, აბდულა-ბეგი დამარცხდა ერეკლე II-სთან, თავი შეაფარა სამშვილდეს თავის უფროს ვაჟ აგასისა[161] და ქართველ თავადთა ნაწილთან ერთად. თუმცა, ის იქიდანაც ეხმარებოდა ტფილისის ნარიყალის ციხეში ჩამდგარ სპარსულ გარნიზონს.

---

[161] გარკვეული დრო ის იყო მეფე ერეკლე II-ის ტყვე, მაგრამ შემდეგ შაჰის ბრძანებით გაუშვეს თავრიზში. ასეთივე რამ გადახდა აბდულა-ბეგის მეორე შვილს, როსტომ-მირზასაც.

ეს ერეკლე II-ის ბრწყინვალე სამხედრო წარმატება იყო, რაც ქიზიყის მოურავ პაპუნა ანდრონიკაშვილის (აბდულა-ბეგის ქალიშვილ მარიამ-ბეგუმის მომავალი მამამთილის) თანადგომამაც განაპირობა. 1748 წლის 22 ივნისს ერეკლე II-ის გამარჯვებისა და ნარიყალის ციხის აღების შემდეგ სპარსებმა დატოვეს ტფილისი[162].

ყოფილ მეტოქეებს შორის მშვიდობამ დაისადგურა. ერეკლე II-ემ აბდულა-ბეგს ბოლნისი და საბარათიანოც კი უბოძა, თუმცა შემდგომ ის გააძევა და, როგორც ზემოთ ითქვა, შეთქმულისა და რწმენაგანდგომილის ვაჟი დავითი შეთქმულებაში გარევის გამო სიკვდილით დასაჯა 1765 წელს. პაპუნა ორბელიანის მიხედვით, 1751 წელს აბდულა-ბეგი იყო მინბაში ერევნის ციხესიმაგრეში და ერევნისვე ბეგლარბეგი.

პოლიტიკური, და არა მხოლოდ პოლიტიკური, სიტუაცია XVII საუკუნის პირველ ნახევარსა და XVIII საუკუნეში საქართველოში ურთულესი და არაერთგვაროვანი იყო. ამ და სხვა გარემოებათა გამო რთულად და არაერთმნიშვნელოვნად ვითარდებოდა მეფეთა, სამეფო ოჯახის წევრთა თუ ქართველ არისტოკრატთა ურთიერთობანიც. პირველწყაროებმა და საისტორიო ლიტერატურამ შემოინახა საკმაოდ ძუნწი ცნობები განხილული პორტრეტების („შაოსანი ჭაბუკი“ და „ბავშვიანი ქალი“) სავარაუდო მოდელებისა და მათი სამახლობლო წრის ცხოვრება – ქმედებათა შესახებ. თუმცა, საისტორიო თარიღებისა და სამხედრო შეტაკებათა შესახებ ჩანაწერთა მიღმა ხშირად არ ჩანს მისი შემოქმედი ადამიანი, ხასიათი და მოვლენათა საბაბ-მიზეზები.

საისტორიო მეცნიერება, როგორც წესი, მოვლენათა და ისტორიული პიროვნებების ქმედებებს ხსნის სახელმწიფო ინტერესებით, პატრიოტული შემართებით, მაგრამ მათს მიღმა იკარგება და შეუცნობელი რჩება პიროვნული პირველმიზეზები, მორალურ-ზნეობრივი ორიენტირები და კატეგორიები: სიყვარული, სიძულვილი, ღალატი, შური, შურისძიება, უკიდეგანო სწრაფვა გამდიდრებისკენ, ძალაუფლებისკენ, სახელისკენ და ა.შ. მუხანათობა-ვერაგობა (აბდულა-ბეგის მსგავსი), არცთუ იშვიათი XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში, მიანიშნებდა უსაზღვრო ეგოიზმზე და არყევდა საოჯახო თუ დინასტიურ ფასეულობებს. ასეთ დროს არ დაგიდევდნენ კომპრომისს სინდისსა და სახელმწიფო ინტერესებს შორის. სამშობლოს ღალატით ხელს უწყობდნენ მის დაქუცმაცებას და მაშინ

---

162 პაპუნა ორბელიანი. *ამბავნი ქართლისანი.* თბილისი, 1981, გვ. 19-20,53-54, 68, 125, 128, 130-131, 236; П. Иоселиани. *Описание древностей города Тифлиса.* Тифлис, 1866, стр. 186-187.

მეფეთა გვირგვინთდებას ახორციელებდნენ შაჰები და სულთნები. ძნელთუძნელესი იყო სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნება, როცა ქორწინდებოდნენ ან ხარჭად ისვამდნენ უცხო რჯულისას, როცა ქალიშვილებს, პირადი გამორჩენის მიზნით, ანგარებით ათხოვებდნენ. უკიდეგანოდ გავრცელებული მეტიზაცია, პოლიგამია, სიცრუე და პირმოთნეობა, ცხოვრების მიზნად ბრძოლა-დაპირისპირების, მარადიული მტრობის დასახვა სახეს უცვლიდა ეთნოსებსა და ეპოქას. ჩვენ ბევრი რამ არც კი ვუწყით ამ ორი პორტრეტის პერსონაჟების ცხოვრების გზის შესახებ, რაც შეპირობებული იყო მათი თანამედროვე ცვალებადი ეპოქით. მიუხედავად ამისა, მაინც გავაგრძელებ თხრობას იმ პირთა შესახებ, რომლებიც შეიძლება დაკავშირებულნი იყვნენ ამ პორტრეტების – „შაოსანი ჭაბუკი“ და „ბავშვიანი ქალი“ სავარაუდო პროტოტიპებთან. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აბდულა-ბეგის (ბატონიშვილ არჩილის) ექვს შვილთაგან უმცროსი ქალიშვილი მარიამ-ბეგუმი იყო თავრიზის გამგებელ აზატ-ხანის[163] მეუღლე. აზატ-ხანი იზრდებოდა იბრაჰიმ-ხან აფშარის (ავღანის)[164] კარზე და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სპარსეთში ესოდენ მომრავლებულ ავღანთა შორის. აზატ-ხან ავღანი (იყო ავღანელი გილზაების ტომიდან. ისინი 1720-იან წლებში შეიჭრნენ სპარსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ 1737-1738 წლებში გაძევებულ იქნენ იქიდან ნაზირ-შაჰის – 1736 წლიდან სპარსეთის შაჰინშაჰის მიერ) გახდა თანამდგომი და სარდალი ნაზირ-შაჰისა, ხოლო 1747 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ სპარსეთში პოლიტიკური არეულობის წყალობით განიდიდა თავი როგორც მამაცმა მეომარმა, უზბეკი და ავღანი რაზმების დახმარებით დაიპყრო თავრიზი (გახდა მისი გამგებელი) და ურუმია. გარკვეული ხანი იგი მთელ აზერბაიჯანსაც განაგებდა. უმაღლესი ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ აზატ-ხანმა განიზრახა სრულიად სპარსეთის დაპყრობა და შაჰობა[165]. თავისი მომავალი სიმამრის, აბდულა-ბეგის, დამარცხების შემდეგ აზატ-ხანი, ისევე

163 ალბათ იგი თავრიზს მართავდა 1751 წლიდან 1754 წლამდე, როცა სპარსეთი დაიშალა წვრილ ფეოდალურ სამფლობელოებად და ქერიმ-ხან ზენდმა დაიმორჩილა სამხრეთი აზერბაიჯანი.

164 ავღანთა ბელადი, ფარსის ავღანი მმართველი, რომელიც 1728 წელს გაიქცა კონსტანტინოპოლში.

165 აზატ-ხანი ნაზირ-შაჰის საგანძურის მსხვილ ალმასს ფლობდა. ეს ალმასი მოგვიანებით სრულიად შემთხვევით ხელში ჩაუვარდა ერეკლე II-ს. 1795 წელს ტფილისზე თავდასხმისას აღა-მაჰმად-ხანი უშედეგოდ ეძებდა ამ ალმასს ქართველი მეფის გაძარცვულ სასახლეში. ერეკლე II-ის გარდაცვალების (1798) შემდეგ დედოფალმა დარეჯანმა გაუგზავნა ეს ძვიფასი ქვა თავის გერსა (საგვარეულო ძვირფასეულობასთან ერთად) და საქართველოს ახალ მეფე გიორგი XII-ს (როგორც ღვთისმოსავმა ადამიანმა, მან თავისთვის მხოლოდ ორი ხატი დაიტოვა). П. Бутков. *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год*. Санкт-Петербург, 1869, часть II, стр. 341; С.Г. Гмелин. *Путешествие по России для исследования трех царств естества*. Санкт-Петербург, 1806, стр. 184.

როგორც ზოგიერთი მუსულმანი ხანი, არ შეურიგდა ერეკლე II-ის გამარჯვებასა და მის მომძლავრებას სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ არენაზე. რეაქციულად განწყობილმა ქართველმა თავადებმა საკუთარ პოლიტიკურ ბრძოლაში აზატ-ხანი დასაყრდენად დაიგულეს. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ აბდულა-ბეგის ვაჟიშვილებიც. მათ სურდათ, აზატ-ხანის – საქართველოს ამ დაუძინებელი მტრის დახმარებით, ხელში ჩაეგდოთ ქართლის სამეფო[166].

ბატონიშვილი დავით ბაგრატიონი (მეფე გიორგი XII-ის შვილი) წერს[167], რომ აზატ-ხანი, ძლიერი და დაუნდობელი, ამბოხებდა სპარსეთს, ჩამოვიდა ერევანში და დაემუქრა მოსახლეობას დატყვევებითა და მოოხრებით. ერევნელებმა დახმარებისათვის მიმართეს მეფე თეიმურაზ II-ს. მან საშველად გაუგზავნა თავისი შვილი ერეკლე. აზატ-ხანს ქართველი მეფის ჯარის მცირერიცხოვნობა სიცილადაც არ ეყო, თავის გამარჯვებაში დარწმუნებულმა გააშლევინა სანადიმო სუფრა თავის კარავში, მაგრამ შემდგომ იძულებული გახდა, მიეტოვებინა სამხედრო ბანაკი, თავისი კარავიც და სიკვდილისგან თავი რომ დაეღწია, გაქცეულიყო მდინარე არაქსამდე. ერეკლე II-ემ გაიმარჯვა აზატ-ხანის 18 ათასიან არმიაზე ყირბულახთან (ერევნის სიახლოვეს) 1751 წელს. ამ ბრძოლის შესახებ თხრობისას პაპუნა ორბელიანი[168] აღნიშნავს, რომ ქართველი მეფე იბრძოდა ვითარცა ლომი. სხვა საისტორიო წყარო[169] მოგვითხრობს, რომ ერეკლე ბრძოლის დაწყებამდე ჩამოხდა ცხენიდან, ჩაიმუხლა, ილოცა და გამამხნევებელი მოწოდებით მიმართა თავის 4 ათასიან ჯარს და უმხედართმთავრა მას. აზატ-ხანმა თავის ერთ-ერთ ხელქვეით ხანს უბრძანა ქართველი მეფის დატყვევება. მან მშვილდი სტყორცნა ერეკლეს, თუმცა, საბედნიეროდ, წარუმატებლად. ერეკლემ თავად

---

166 *საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე* (ს. ჯანაშიას რედაქციით). თბილისი, 1943, გვ. 338, 340, 345, 349.

167 დ. ბაგრატიონი. *საქართველოს ისტორია*. თბილისი, 1971, გვ. 159, 161.

168 პაპუნა ორბელიანი. *ამბავნი ქართლისანი*. თბილისი, 1981, გვ. 185-188.

169 გ. გოცაძე. *პირველი ქართული ჟურნალი (სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი)*. სსრ-ის შსს-ის საარქივო სამმართველოს ჟურ. *„საისტორიო მოამბე“*. თბილისი. 1952. № 6. გვ. 295. მასში ავტორი მიმოიხილავს სოლომონ დოდაშვილის *„მეფობა ირაკლი მეორისას“*, რომელიც პირველად დაიბეჭდა ჟურნალში – *სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი* სათაურით–*ქართული ისტორია. მეფობა ირაკლის მეორისა.* ჟურ. *„სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“*. ტფილისი, 1832, №№ 3-4, გვ. 49-58 და 73-80.

ესროლა ხანს, რომელიც უსულოდ ცხენიდან ძირს დაეცა. ერეკლე II-ის გამარჯვებას აზატ-ხანზე ძალიან დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა[170]. ისინი კიდევ დიდხანს მტრობდნენ. ალბათ აზატ-ხანი დარწმუნდა, რომ საქართველოსთან ბრძოლა მას ვერ გაუკაფავდა გზას მისთვის ეგზომ სასურველი სპარსეთის ტახტამდე. ამიტომ იგი სამშვიდობო ზავს დათანხმდა და 1753 წელს საქართველოში თავისი ჩაფარი გამოაგზავნა ქართველი ცოლის შერთვის თხოვნით. ქართველი ცოლი მას სჭირდებოდა, რათა დაერღვია ერთიანი მუსულმანური ანტიქართული ფრონტი და განემტკიცებინა ქართლ-კახეთის სამეფოთა ავტორიტეტი. მამა-შვილი თეიმურაზ II და ერეკლე II დათანხმდნენ მტრის ამ წინადადებას[171].

გადაწყდა, რომ აზატ-ხანისთვის მიეთხოვებინათ თეიმურაზ II-ის დისშვილი (მისი დის–ქეთევანისა და აბდულა-ბეგის ქალიშვილი) მარიამ-ბეგუმი. საქმროს მოეწონა საპატარძლო და ის პატივი, როგორითაც ჩამოაბრძანეს პატარძალი. მეფის მდივანბეგ იოანე ორბელიანისა და ზაალ თოფანყჩიაღასის (მხედართმთავრის) თანხლებით მარიამ-ბეგუმი მიჰგვარეს აზატ-ხანს. მანაც, თავის მხრივ, დიდგვაროვან ავღანთა მეშვეობითა და მირზა-შაფი იავრიელის (ნაზირ-შაჰის ყოფილი უახლოესი ადამიანის) თავკაცობით ქართველ მეფეებსა და ქართლ-კახეთის თავადობას გაუგზავნა ჯორ-აქლემკიდებული მდიდრული ძღვენი (ოქრო, ვერცხლი, სამკაულები ძვირფასი თვლებითა და თვალმარგალიტით). აზატ-ხანმა დიდუდიდესი პატივით მიიღო თავისი საცოლის თანმხლებნი, ხელუხვად უძღვნა მათ ხალათები და ფული, ქართველ მეფეებს კი გაუგზავნა ჩაფარი მადლიერებით საცოლისათვის, ასევე მეფისადმი ერთგულებისა და სიყვარულის პირობით. დაქორწინებიდან სულ მალევე აზატ-ხანი ისპაჰანის დასაპყრობად გაეშურა[172], სადაც ის ყოველდღე ნადიმობდა იოანე ორბელიანსა და ზაალ მხედართმთავართან ერთად.

1755 წელს ქალიშვილსა და სიძეს ესტუმრა ქეთევან-ხანუმი. თავრიზის მბრძანებელი ქართველ სიდედრს შეეგება დიდი პატივით, მერე კი უხვი საჩუქრებით ხელდამშვენებული ერევანს გაისტუმრა[173]. ალბათ ამ დროისათვის (1755) მარიამ-ბეგუმს უკვე ჰყავდა ვაჟი (ერთადერთი?) ახმად-ხანი (?), სავარაუდო პროტოტიპი ბიჭისა

---

170 მ. სამსონაძე. *საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში.* თბილისი, 1988, გვ. 81.

171 იქვე. გვ. 104.

172 იმ დროს ისპაჰანში იჯდა ქერიმ-ხან ზენდი, რომლის დაუძინებელი მტერი იყო აზატ-ხანი.

173 პაპუნა ორბელიანი. *ამბავნი ქართლისანი.* თბილისი, 1981, გვ. 208-209, 237.

პორტრეტზე „შაოსანი ჭაბუკი.“ მის შესახებ არსებობს ცნობა, რომ 1785 წელს ჯაფარ-ხანის ბრძანებით ის მეთაურობდა ქაშანის აღების დროს ჯარს, მაგრამ დაამარცხა აღა-მაჰმად-ხან ყაჯარმა.

ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი[174] თვლის, რომ, როცა აზატ-ხანი 1756 წელს შეეტაკა გილანისა და მაზანდარანის მმართველ მოჰამედ-ჰასან-ხანს, მეორე წელს თავრიზს უკვე განაგებდა მოჰამედ-ჰასან-ხანი, აზატ-ხანმა კი ტფილისში გაქცევით უშველა თავს (სხვა ცნობებით, ყაზვინში)[175]. ლ. შენგელია წერს, რომ ქერიმ-ხან ზენდსა და ყაჯარებთან საბოლოო დამარცხების შემდეგ აზატ-ხანი, მიმოეფანტა რა თავისი რაზმები, გაიქცა ქურთისტანში. იქიდან თავრიზში დაბრუნდა, მაგრამ ამჯერადაც მიაშურა საქართველოს საზღვრებს. დამარცხებულმა აზატ-ხანმა ერეკლე II-ეს წერილი აახლა თხოვნით, რომ მას ის მიეღო თავის სამსახურში. მეფე მიუხვდა აზატ-ხანს ცბიერებას (სინამდვილეში მას განზრახული ჰქონდა ლეკების მეშვეობით ერეკლე II-ის მოკვლა), შეაპყრობინა ყაზახში, ჩამოაყვანინა ტფილისში და 2 წლის განმავლობაში საპატიო ტყვეობაში ამყოფა[176]. ეს მოხდა 1760-იან წლებში. ადრე კი, აზატ-ხანმა, რომელმაც დაიპყრო ერაყი და აზერბაიჯანი, იწოდა შაჰის სახელი, განიზრახა ერეკლე II-ზე ეძია შური ყირბულახთან 1751 წლის დამარცხების გამო[177]. ვიდრე აზატ-ხანი ტყვედ იმყოფებოდა ერეკლე II-სთან, მეფესა და სპარსეთის, ფაქტობრივად, ახალ შაჰს–ქერიმ-ხან ზენდს შორის წარმოებდა ცხოველი მიმოწერა მათი საერთო მტრის თაობაზე. სპარსეთისათვის აზატ-ხანის გადაცემის სანაცვლოდ ქერიმ-ხან ზენდი პირობას იძლეოდა, ეღიარებინა ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფო (რაც შემდგომ მან მართლაც აღასრულა) და 1763 წელს ქართველ მეფესთან გამოაგზავნა თავისი ელჩიონი მდიდრული ძღვნით[178].

---

174 *ზ. შარაშენიძე. ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი, 1970, გვ. 20, 41-42, 123; ლ. შენგელია. ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს (ირანის ისტორია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში). თბილისი, 1973, გვ. 80.*

175 პაპუნა ორბელიანი თვლის, რომ 1757 წელს მოჰამედ-ჰასან-ხანმა (ფათი-ხანის შვილმა) დაამარცხა აზატ-ხანი, ხელთ იგდო მისი ციხესიმაგრეები, არსენალი და დაატყვევა მისი ცოლ-შვილი. თავად აზატ-ხანი გაიქცა ურუმიაში.

176 სხვა ცნობებით, 5 წელი. აზატ-ხანისა და ერეკლე II-ის ურთიერთობის შესახებ იხ.: ლ. შენგელია. *ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს (ირანის ისტორია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში).* თბილისი, 1973, გვ. 80.

177 ქმედებანი და განზრახვანი აზატ-ხანისა გახდა ერთ-ერთი მიზეზი თეიმურაზ II-ის რუსეთს გამგზავრებისა. ის არცთუ უსაფუძვლოდ შიშობდა აზატ-ხანის მიერ საქართველოს შესაძლო დალაშქვრის გამო.

178 1779 წლამდე, ქერიმ-ხანის გარდაცვალებამდე, აზატ-ხანი ერთგულად ემსახურებოდა მას. ქერიმ-ხანი ზენდების ერთ-ერთი–ლურის ტომის ბელადი იყო. 1753 წლიდან ისპაჰანსა და სამხრეთ აზერბაიჯანსაც განაგებდა, 1760 წლიდან კი–მთელ სპარსეთს. მას მიიჩნევდნენ გონიერ და

საქართველოს სამეფო სახლის ავღანი სიძის ბედ-იღბლის უფრო სრული სურათის წარმოსაჩენად მოვიხმობ ქერიმ-ხან ზენდის, ერეკლე II-ისა და უცნობი სპარსი დიდებულის წერილებს[179] უცვლელად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (გამომდინარე წერილების შინაარსიდან). ქერიმ-ხანის კარის უცნობი სპარსი[180] დიდებულისა თუ უფლისწულის წერილი ერეკლე II-სადმი: „სპარსეთის შაჰი დიდად მადლიერია აზატ-ხანის დატყვევების გამო, ვინაც ააჯანყა სპარსეთის დიდი ნაწილი და ხელყო საერთო სიმშვიდე აზერბაიჯანში, სპარსეთსა და ფარსში. ახლა მისი უდიდებულესობისადმი მეგობრობისა და კეთილგანწყობის საბოლოო დასტურად, გთხოვთ, გამოაგზავნოთ აზატ-ხანი სპარსეთში აქაური საკარო იასაულების – ზამან-ხან-ბეკისა და აბდულ-გაფარ-სულთნის თანხლებით“[181].

თავად ქერიმ-ხანის წერილი საქართველოში მყოფი აზატ-ხანისადმი შემდეგი შინაარსისაა: „თქვენო ღირსებავ, უკვე 5 თუ 6 წელი აქაურობისგან მოშორებით ატარებთ დროს, მაგრამ ჩვენ გვსურს ჩვენთან გიხილოთ და გამოვხატოთ თქვენდამი ჩვენი მეგობრობა და პატივისცემა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენი ღირსება გარკვეულად შიშობს, მაგრამ არ იწუხოთ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ უნათლესი ქართველი მეფე ერეკლეს მიერ თქვენდამი გამოვლენილი პატივის გათვალისწინებითა და მისივე ნებით თქვენ გამოემგზავრებით ჩვენთან, ჩვენ თავს არ მივცემთ უფლებას, უკადრისად მოგეპყროთ. ამიტომ თქვენ შეგიძლიათ აქ დაბრუნდეთ სრული რწმუნებით თქვენდამი ჩვენი კეთილგანწყობისა, ასევე ვარწმუნებთ თქვენს ღირსებას, რომ ჩვენ არავითარი გულისწყრომა არ გვექნება თქვენ მიმართ, თუ გადაწყვეტთ, სამუდამოდ დარჩეთ საქართველოში, თქვენი ოჯახი კი–თავრიზში. მათ კვლავ არ მოაკლდებათ ჩვენი კეთილწყალობა“.

კიდევ ერთი წერილი ქერიმ-ხანისა ერეკლე II-სთან: „თქვენმა უნათლესობამ ინება ეშუამდგომლა, რათა ჩვენ აზატ-ხანის სახელზე გაგვეცა საგანგებო სიგელი მისი უსაფრთხოების პირობით.

სამართლიან მმართველად. ის თავის თავს შაჰად არ მოიხსენიებდა, არამედ „სახელმწიფოს გამგებლად“. აირჩია რა თავისთვის დედაქალაქად შირაზი, ქერიმ-ხანი ბევრს აშენებდა, მოიწვია ოსტატები და მხატვრები მთელი სპარსეთიდან და შირვანიდან. ერეკლე II-ს სთხოვა თავისი ჰარემისათვის ქართველ გოგონათა გამოგზავნა, მაგრამ ერეკლემ უარი შეუთვალა.

179 *Грузинские дворянские акты и родословныя росписи (Материали для истории Грузии).* Изд. с предисловием и примечаниями А.С. Хаханова. Москва, 1893, стр. 29-30, 32, 34. წერილები დაუთარიღებელია.

180 ალ. ხახანაშვილის ატრიბუცია.

181 იგულისხმება ქერიმ-ხან ზენდის უმცროსი ხელქვეითები.

აღვასრულებთ რა თქვენს თხოვნას, ჩვენ აზატ-ხანს ვუგზავნით საგანგებო სიგელს იმ შემთხვევისათვის, თუ თქვენ ინებებთ აზატ-ხანის ჩვენთან გამოგზავნას, ჩვენ მას მისი ღირსების საკადრის პატივს მივაგებთ. ჩვენთან მისი გამოგზავნა მით უფრო დროულია, რომ მისი ოჯახი და ვაჟიშვილი ჩვენთან იმყოფებიან. თქვენი წინასწარი შეტყობინების თანახმად, მისი თანხლებისათვის ჩვენ გამოვყოფთ ბადრაგს, რომელიც მას დაელოდება ერევანში, მაგრამ თუ თქვენ უნათლესობას სურს მისი საქართველოში დატოვება, ჩვენ არ შევეწინააღმდეგებით ამას.“

ერეკლე II-სადმი ქერიმ-ხანის მიერ მიწერილ მომდევნო წერილში დასტურდება აზატ-ხანის გაგზავნა შირაზში: „გამოვხატავთ რა თქვენი ჩვენდამი გამოვლენილი გულწრფელი მეგობრობის გამო სრულ მადლიერებას, თქვენი შუამდგომლობისადმი პატივისცემის ნიშნად, ჩვენ საკადრისად მივიღეთ აზატ-ხანი“.

არც ერთი ამ წერილთაგანი არაა დათარიღებული, მაგრამ ცნობილია, რომ 1763 წელს ერეკლე II-ემ ქერიმ-ხანისაგან მიიღო მდიდრული ძღვენი ტყვე აზატ-ხანის მისთვის გადაცემის გამო. იმავე წელს ქერიმ-ხანმა ცნო ერეკლე II ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფედ. ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, რომ აზატ-ხანმა საქართველოში დაჰყო 5 თუ 6 წელი, თუმცა ისტორიკოსები საუბრობენ მის ორწლიან ტყვეობაზე. შეიძლება, დანარჩენი დრო იგი კიდევ სადმე სხვაგან იმყოფებოდა. გავითვალისწინოთ, რომ 1757 წელს აზატ-ხანი უკვე აღარაა თავრიზის გამგებელი, მეუღლე და ვაჟიშვილი 1763 წლისთვის შირაზში იმყოფებოდნენ მძევლებად ან საპატიო ტყვეებად. მათ შეეძლოთ ესარგებლათ ქერიმ-ხანის კეთილი ნებით, რამეთუ ისინი იყვნენ ერეკლე II-ის ნათესავები. ქართველ მეფესა და ქერიმ-ხანს შორის კი არსებობდა კეთილსურვებითი დამოკიდებულება.

ერეკლე II, როცა დაეთანხმა, გადაეცა თავისი დაუძინებელი მტერი აზატ-ხანი ქერიმ-ხანისათვის, ხელმძღვანელობდა პრაგმატული მიზნით. აქ, უდავოა, იმ ფაქტორმაც ითამაშა როლი, რომ მისი მტრის – აზატ-ხანის მეუღლე იყო ქართველი ბატონიშვილი, თანაც მისივე ნათესავი, რომელიც იძულებელყვეს, დიდი ხნით მეუღლისაგან მოშორებით ეცხოვრა.

ბატონიშვილ მარიამ-ბეგუმ არჩილის ასულ ბაგრატიონისა და მისი მეუღლის – აზატ-ხან ავღანის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ძუნწი (სამწუხაროდ!) ბიოგრაფიული მონაცემები შესაძ-ლებლობას იძლევა, მხოლოდ ვივარაუდოთ პორტრეტების – „ბავშვიანი

ქალი“ და „შაოსანი ჭაბუკი“ შექმნის დრო. თუ ამ სურათების სავარაუდო პროტოტიპები დაქორწინდნენ 1753 წელს, 1754 (ან 1755) წელს კი მათ უკვე შეეძინათ ვაჟი (რომელიც პორტრეტზე ათიოდე წლისაა) და იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ აზატ-ხანი ერეკლე II-ის ტყეობიდან გაათავისუფლეს და ქერიმ-ხანთან შირაზში გააგზავნეს 1763 წელს (ის სპარსეთში ქერიმ-ხანის გარდაცვალებამდე – 1779 წლამდე იმყოფებოდა), გამოდის, რომ ორივე პორტრეტი შეიძლება შექმნილიყო 1760-იანი წლების დასაწყისში სპარსეთში. უკვე ამ წლებში ბევრი ადგილობრივი მხატვარი (რა წარმომავლობისა არ უნდა ყოფილიყო იგი), XVIII საუკუნის დასაწყისიდანვე იყენებდა ზეთით ფერწერის ტექნიკას და ტრადიციული სპარსულის პარალელურად ნერგავდა ევროპული ფერწერის გარკვეულ ხერხებს. ისინი ქმნიდნენ პარადულ პორტრეტებს, გამოსახავდნენ დიდგვაროვან ვაჟებსა და გოგონებს, ასევე სიუჟეტურ კომპოზიციებს. არაპირდაპირ ჩვენ მიერ შეთავაზებული დათარიღების მიმანიშნებელი შეიძლება იყოს ის ფაქტიც, რომ 1920 წელს საქართველოს ეროვნული გალერეის ძველი ფერწერის სურათთა ნუსხაში[182] „ბავშვიანი ქალი“ და „შაოსანი ჭაბუკი“ XVII საუკუნითაა დათარიღებული. რა თქმა უნდა, უმართებულოდ ადრეულ დათარიღებას, ისევე როგორც ატრიბუციას პორტრეტებისა, როგორც „სპარსი ქალი ბავშვითა“ და „ახალგაზრდა სპარსი“, შეუძლებელია დაეთანხმო, მაგრამ საინტერესოა სხვა რამ: ამ პორტრეტების კერძო კოლექციებიდან მუზეუმში შემოსვლამდე ისინი არ დაუთარიღებიათ XIX საუკუნის დასაწყისით[183]; მიაჩნდათ სპარსული ხელოვნების ნიმუშებად. ამასთან თვლიან, რომ „შაოსანი ჭაბუკი“ ზენდის ეპოქის, ე. ი. 1750-1779 წლების, პორტრეტულ ხელოვნებაში მამაკაცური სილამაზის მყარად დამკვიდრებული ეტალონის გამოხატვაა, რაც ასევე ნაწილობრივ ადასტურებს მისი შექმნის სავარაუდო თარიღს–1760-იანი წლების დასაწყისს, ასევე ვერსიას, რომ ჭაბუკის შესაძლებელი პროტოტიპია აზატ-ხანი. დასახელებულ პერიოდში უწვერულ ჭაბუკებად ყველაზე ხშირად გამოისახებოდნენ სამხედროები, გამოსახულებათა შესრულების მანერა ხასიათდებოდა სახეთა მსუბუქი მოდელირებით, კონტურული ხაზების რბილი დენადობით (რაც შეინიშნება ჩვენ მიერ განხილულ პორტრეტებშიც). „შაოსანი ჭაბუკის“ კოსტიუმზე შ. ამირანაშვილი წერს, რომ ის არის: „Иранский, распространенный в Грузии в конце

182 ხელოვნების მუზეუმის საინფორმაციო კოლექციების ხელნაწერთა – მემუარული განყოფილება. ფ. №2, აღწერა №.2, საქმე №2, გვ 3. 1920 წ.

183 Ш.Я. Амиранашвили. *Иранская живопись*. Тбилиси, 1941, стр. 25.

XVIII в.“[184]. უბრალო ლოგიკაა, თუ ამგვარი კოსტიუმი საქართველოში გავრცელებული იყო XVIII საუკუნის დასასრულ, სპარსეთში ამის მოდა უნდა ჩასახულიყო უფრო ადრე. ეს დამატებითი არგუმენტია მეორე ვერსიის სასარგებლოდ ამ ორი პორტრეტის პერსონაჟთა პროტოტიპების შესახებ, ანუ მათი შექმნის თარიღის – 1760-იანი წლების შესახებაც. ესვე ეხება „ბავშვიანი ქალის“ კოსტიუმსაც, მაგრამ ერთი შენიშვნით: ზენდის ეპოქაში ქალები ატარებდნენ დიაგონალურად დაზოლილ ფართო შარვლებს, გამჭვირვალე, თეთრ პერანგსა და ა. შ.

გასათვალისწინებელია, რომ „ბავშვიანი ქალის“ პერსონაჟი (კონკ-რეტული ისტორიული პირი) დიდგვაროვანი ქართველი ქალია, მცხოვრები სპარსეთის კულტურულ-ყოფით გარემოში. ამიტომ მას შეეძლო რაღაც (კაბა, თავსაბურავი, ვარცხნილობა, კოსმეტიკა) თავის სამოსში შეეცვალა შერეული ქართულ-სპარსული მანერის მიხედვით. სხვათა შორის, დიდგვაროვანი ქართველი ქალი ამგვარად შეიძლებოდა სამშობლოშიც შემოსილიყო. ვახუშტი ბაგრატიონი წერს, რომ საქართველოში სპარსთა მოძალების პერიოდში ჩაცმითა და საკვებით ბაძავდნენ სპარსულს. იგი აღწერს წამახულ ქუდებს („შაოსან ჭაბუკზე“ გამოსახულის მსგავსს), აბრეშუმისა თუ შალის კაბას ქამრით, აბრეშუმის ან ბამბის პერანგს, ქალების კაბა-ახალუხს, ყელმოხსნილ, გამჭვირვალე პერანგს, ბოლოებდაშვებულ ქამარსა და სპარსულ ფეხსაცმელს[185].

სპარსული ხელოვნების მკვლევარნი (ლ. დიბა, ირ. კოშორიძე)[186] ხაზს უსვამენ, რომ ამ ორი პორტრეტის პერსონაჟთა ჩაცმულობაში შავი ფერის სიჭარბე დამახასიათებელია თავრიზული სამხატვრო სკოლისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი ავტორი ამ სკოლის წარმომადგენელია, თავრიზის მმართველ აზატ-ხანის კართან დაახლოებული მხატვარი. ამ შემთხვევაშიც არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ 1760-იან წლებში აზატ-ხანი ავღანი აღარ მართავდა თავრიზს. მხატვარს შეეძლო, შეექმნა აზატ-ხანისა და მისი მეუღლის პორტრეტი შირაზში ან სპარსეთის სხვა ქალაქშიც, სადაც ცხოვრობდა ცოლ-ქმარი 1763 წელს, ოჯახის თანაცხოვრების აღდგენის შემდეგ.

ისტორია დუმს და არას გვაუწყებს მარიამ-ბეგუმ ბაგრატიონის ოჯახის

---

184 იქვე.

185 ვახუშტი ბაგრატიონი. *საქართველოს გეოგრაფია.* თბილისი, 1904, გვ. 183.

186 ირ. კოშორიძე. *სილამაზის ესთეტიკური კანონი გვიანირანულ ფერწერაში.* საქართველოს ხელოვნების მუზეუმის *ნარკვევები.* თბილისი, 2004, ტ. IX, გვ. 139-140, 142, 147, 150.

შემდგომი ბედის შესახებ. შესაძლებელია, მეუღლის სიკვდილის ან მასთან განქორწინების შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში და მეორეჯერ იქორწინა რევაზ პაპუნას ძე ანდრონიკაშვილზე[187]. მათთან ერთად დამკვიდრდა სოფელ ვეჯინში, თავისი მეორე ქმრის მამულში. ჰყავდათ თუ არა ცოლ-ქმარ ანდრონიკაშვილებს საერთო შვილები, უცნობია, მაგრამ ანდრონიკაშვილების საგვარეულოს შთამომავლები, რომლებსაც ეს პორტრეტები ერგოთ, ინახავდნენ მათ ყოველგვარი გაცხადების გარეშე. ეს გასაგებიცაა, რადგან მარიამ-ბეგუმის ოჯახი (მისმა მამამ, პაპამ, მრავალრიცხოვანმა ახლო თუ შორეულმა ნათესავმა მიიღო ისლამი და ატარებდა მუსულმანურ სახელს[188]) და მისი პირველი ქმარი აზატ-ხანი უპირისპირდებოდნენ თავისივე თავიანთვე ნათესავებს, სურდათ ტახტის ხელში ჩაგდება და საქართველოს აოხრებდნენ გამუდმებული ბრძოლებითა და თავდასხმებით. ამისთვის არ ერიდებოდნენ ცბიერებას, დაუნდობლობასა და მოჩვენებით მორჩილებას თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მიმართ.

187 Думин С., Чиковани Ю.,... *Дворянские роды...* Москва, 1998, т. 4, стр. 122, таблица 52. არაა მითითებული არც რევაზ ანდრონიკაშვილის ცხოვრების თარიღები და არც შთამომავლები. ანდრონიკაშვილთა წარმოდგენილ გენეალოგიაში დასახელებულია რევაზ ანდრონიკაშვილის ძმის შვილიშვილი–ზაქარია იესეს ძე, რომლის ოჯახიდან შემოვიდა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში „ბავშვიანი ქალი“ და „შაოსანი ჭაბუკი“. რევაზ ანდრონიკაშვილი იყო ბიძა მალხაზ ანდრონიკაშვილისა, რომელიც, თავის მხრივ, ბიძად ერგებოდა იესე ანდრონიკაშვილს.

188 საქართველოს მუსულმანი მეფეები 1632-1744 წლებში მართავდნენ.

შაოსანი ჭაბუკი
ტილო, ზეთი 179x83.5

ბავშვიანი ქალი
ტილო, ზეთი 179x83.5

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი.

ირინა ძუცოვა
ორი პორტრეტის ისტორია

Ирина Дзуцова
История двух портретов

რედაქტორები
ნანა შერვაშიძე, ნინო ნადარაია

დაკაბადონება, დიზაინი
მიხეილ მეჩიტიშვილი

ტირაჟი: 100 ეკზ.

თბილისი 2016